ცხინვალის კონფლიქტის უცხოური ხედვა A3
კონფლიქტის ზონა - ფოტორეპორტაჟი A8
გულახდილად B6

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 14 აგვისტო, 2004 წელი. №192 (741) | ფასი 50 თეთრი

# ისინი მალე დაბრუნდებიან



ლიახვის ხეობელი ბავშვები ახალ სასწავლო წელს მშობლიურ კერებზე და მშობლიურ სკოლებში შეხვდებიან.

## მიხეილ სააკაშვილი: „თავს არ გავისულელებთ...”

ვერიკო თევზაძე

*13 აგვისტო. 22. 45 სთ – კანცელარიაში მიდის სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების დარგში გოგა ხაინდრავა და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან ხელმოსაწერად მიაქვს დოკუმენტი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ჟვანია ამ დროს კანცელარიაში არ იმყოფება.*

***00.10 სთ*** *– პრესა, რომელსაც ხაინდრავასთან რამდენიმე სართული აშორებს, სახელმწიფო მინისტრისგან სატელეფონო საუბრით იტყობს, რომ* ***ჟვანიამ დოკუმენტს ხელი მოაწერა.***

***00.40 სთ -*** *კანცელარიაში მიდის შინაგან საქმეთა მინისტრი და აცხადებს, რომ* ***კონფლიქტის ზონაში სროლები შეწყვეტილია.***

***00.57 სთ –*** *კანცელარიაში მიბრძანდა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და ჟურნალისტებს აცნობა, რომ* ***დოკუმენტს კოკოითმაც მოაწერა ხელი.***

*45 სთ. ხაინდრავა შუაღამის ბოლო კომენტარს აკეთებს, რის შედეგადაც ცხადი ხდება: დღეს გაიმართება ძალოვანთა თათბირი, რომელმაც უნდა შეიმუშავოს დაშორიშორების კონკრეტული სქემა. ქართული მხრიდან ამ თათბირში მონაწილეობას მიიღებენ ირაკლი ოქრუაშვილი და გიორგი ბარამიძე. ხაინდრავას თქმით, ძალოვანები ცხინვალში არ შეიკრიბებიან. ამ ეტაპზე თათბირი ნეიტრალურ ზონაში ჩატარდება. დღის მეორე ნახევარში ნავარაუდევია ზურაბ ჟვანიას ჩასვლა ცხინვალში და ჟვანია-კოკოითის პირისპირ დიალოგი.*

**“ჩვენ არ დავუშვებთ ამ ტერიტორიის ჩაბარებას კრიმინალების ხელში.”**

**“საქართველოს ხელისუფლება არ შეეგუება ჰუმანიტარული კატასტროფის განვითარებას ცხინვალის რეგიონში,”** – საქართველოს პრესიდენტის და პრემიერ- მინისტრის ამგვარი კატეგორიული განცხადებების მიუხედავად, გუშინ მთელი დღის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში ვითარება დაძაბული რჩებოდა. სეპარატისტებმა ჟვანიას ესკორტს ცეცხლი გაუხსნეს, ესროლეს

გაგრძელება A3 გვერდზე

## ნინო ბურჯანაძე: "მეც შეურაცხყოფილი ვარ..."

ლელა მჭედლიძე

ვანათი, საცხენეთი, ჯოჯიანთ უბანი, ბელითი, აწრისხევი... ეს ის სოფლებია, საიდანაც სროლასა და საფრთხეს ქართულმა მოსახლეობამ ბავშვები გამოარიდა. სადაც დაბრუნებას, უკვე უბავშვებოდ, ქალები კვლავ აპირებენ. ამ ხალხის ძირითადი ნაწილი ახლა ერედვშია თავმოყრილი და ელის... მესამე დღის განმავლობაში კანტიკუნტად თუ მასირებულად, ერედვშიც ისვრიან. **“ერედვში სამშვიდობო ძალების საგუშაგო, პოლიცია და ადგილობრივი მოსახლეობაა, რომელიც თავის სოფელს იცავს. სამი დღეა, რაც უფრო ინტენსიური სროლები და დაბომბვაა. დაჭრილია სამი მშვიდობიანი მოსახლე და სამი ჯარისკაცი, პოლიციელები. დაახლოებით, ათ ჭურვამდე აფეთქდა სოფელში. დაზიანდა სახლები. საპასუხო სროლა ჩვენი მხრიდან არ ყოფილა,” -** განმარტა სამშვიდობო ძალების ბატალიონის მეთაურმა ალეკო კიკნაძემ ჩვენთან საუბარში.

თავად ერედველების შეფასებით, “ბეემპედან” ნასროლი ტყვიებით დაზარალდა ტერაშვილების, რაზმაძეების, ქრისტესიაშვილების ოჯახები, დაზიანდა სახლები.

**“სროლა დილიდან დაიწყო. სადღაც, შვიდი საათისთვის ეზოში გავედი, სახლში შევბრუნდი თუ არა, ეგრევე ტყვიები მოაყარეს. კიდევ კარგი, ფანჯარასთან არავინ იყო, თორემ”...** მოკლედ, ქრისტესიაშვილები სიკვდილს გადაურჩნენ. ანასხლეტმა ოჯახის დიასახლისი მსუბუქად დაჭრა. დილანდელი შემთხვევის ნაკვალევის წაშლა ხელადვე დაიწყეს. ამოთხრილი ორმო ამოავსეს, ტყვიებისაგან

გაგრძელება A2 გვერდზე

## არ შეიძლება, რუსებთან კონფლიქტს რუსები აგვარებდნენ

*ის პოლიტიკური განცხადება, რომელიც პარლამენტმა გუშინდელ სხდომაზე მიიღო, ცხადყოფს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ოდნავ შემთბარი ურთიერთობების ეპოქა დასრულდა და ორ მეზობელ ქვეყანას კვლავ ჩვეული, ანუ ღია დაპირისპირების პერიოდი დაუდგა. გუშინდელი განცხადებით, ქართულმა მხარემ რუსეთი ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარედ აღიარა. ამავე დროს, პარლამენტის სხდომაზე არაერთხელ გაისმა, რომ უკიდურესად დაძაბული ვითარების მიუხედავად, საქართველო ყველა ღონეს იხმარს, რათა დაპირისპირება ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტში არ გადაიზარდოს.*

თამარ მჭედლიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ქართული მხარის ასეთი პოზიცია სულაც არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებას არ ძალუძს, ოს სეპარატისტებს სამხედრო ძალა დაუპირისპიროს. **“ასეთი ძალა საქართველოს იმაზე მეტი აქვს, ვიდრე საჭიროა. თუმცა, ქვეყნის ხელისუფლებას არ სურს, სისხლი დაიღვაროს და ამიტომ სამშვიდობო პროცესის მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანია,”** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ერთი სიტყვით, სავსებით ნათელია, რომ ქვეყანა მოვლენების განვითარების ნებისმიერი სცენარისთვის მზად არის. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტის პროვოცირების მთავარ სულისჩამდგმელად საქართველოს პარლამენტი რუსეთის პოლიტიკურ ელიტას ასახელებს. თუკი აქამდე კრიტიკის მთავარი ადრესატი რუსეთის დუმა იყო, გუშინ ქართველმა პარლამენტარებმა უკვე მეზობელი ქვეყნის მმართველ ელიტას შეუტიეს და ანტიქართულ ქმედებებში, რუსეთის პარალმენტთან ერთად, აღმასრულებელი ხელისუფლებაც დაადანაშაულეს. დეპუტატმა ალექსანდრე შალამბერიძემ კი შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებლობა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს დააკისრა.

პარლამენტის მიერ გუშინ მიღებული განცხადების ტონი ზოგიერთ დეპუტატს ზედმეტად აკადემიურიც კი ეჩვენება, მაგრამ ფაქტია, რომ მასში ქართული მხარის მოთხოვნები საკმაოდ მკაფიოდ არის გამოხატული – ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის შეწყვეტას, ახალი საერთაშორისო მანდატის შემუშავებასა და საერთაშორისო კონტინგენტით დაკომპლექტებული სამშვიდობო ძალებით არსებულის ჩანაცვლებას ითხოვს. აქვე დავძენთ, რომ ამ განცხადების ადრესატები მსოფლიოში მოქმედი ყველა კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციაა. თავისთავად, განცხადების ტექსტი რუსეთის მხარესაც დაუყოვნებლივ გაეგზავნება. ჯერ კიდევ უცნობია ოფიციალური მოსკოვის საპასუხო რეაქცია, თუმცა ისიც ცხადია, რომ საქართველოს პარლამენტის ასეთი მკაცრი ტონი რუსეთში ახალი ანტიქართული ისტერიის საფუძველი გახდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

### პოლიტიკა

#### ცხინვალში დენთის სუნი ტრიალებს



პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

A3

### ეკონომიკა

#### საბიუჯეტო ცვლილებები დამტკიცებულია



სამაჩაბლოში განვითარებულმა მოვლენებმა პოლიტიკური აქცენტები საქართველოს ბიუჯეტის განხილვისგან გადაანაცვლა. შესაბამისად, პარლამენტმა, რომლის დღის წესრიგის მთავარი თემა საბიუჯეტო ცვლილებების განხილვა გახლდათ, პრემიერ-მინისტრის გარეშე, საკმაოდ წყნარად წარიმართა.

A4

### უცხოეთი

#### ისრაელმა შესაძლოა, გოლანის მაღლობები დატოვოს



გეგმა ღაზას სექტორიდან შეიარაღებული ძალებისა და მოსახლეობის სრულ გაყვანას და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე არსებული ასზე მეტი დასახლებიდან ოთხის დახურვას გულისხმობს.

A5

### სამართალი

#### თბილისში გავრცელებული დანაშაული

კრიმინალის სახეობებიდან ერთ-ერთი ყველაზე “მოდური” დანაშაული თბილისში სამარშრუტო ტაქსების დაყაჩაღება გახდა. კრიმინალის ეს სახეობა დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებისთვის ყველაზე სარფიანი გამოდგა.

A7

### ამინდი

| | 14/8 | 15/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | 35 |
| ქუთაისი | 36 | 38 |
| ბათუმი | 33 | 39 |
| სოხუმი | 31 | 34 |
| ფოთი | 33 | 37 |
| თელავი | 31 | 34 |
| ზუგდიდი | 34 | 37 |
| გორი | 29 | 33 |
| ახმეტა | 31 | 34 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8325 |
| ევრო | 2.2340 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3275 |
| რუბლი | 0.0626 |

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ფოტორეპორტაჟი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## მოკლედ

### საგარეო უწყების განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ცხინვალის რეგიონში ოსური მხარის მიერ პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას კორტეჟისთვის ცეცხლის გახსნას პროვოკაციად აფასებს და პარტნიორ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოს ხელისუფლების მშვიდობიანი კურსის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. საქართველოს საგარეო უწყების მიერ გუშინ საღამოს გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ პროვოკაციული თავდასხმა სწორედ იმ მომენტში განხორციელდა, როცა საქართველოს ხელისუფლება სამშვიდობო ინიციატივებითა და პირდაპირი დიალოგის დაჟინებული მოთხოვნით გამოვიდა. "ცხინვალის რეგიონში მიზანმიმართული პროვოკაციული ქმედებები გააქტიურდა და ვითარება ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარს აღწევს, რომლის მიზანს სამშვიდობო პროცესის ჩაშლა და პოლიტიკური დიალოგის შეფერხება წარმოადგენს," - ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ აღნიშნული პროცესები 9-11 აგვისტოს, საქართველოს თავდაცვისა და სახელმწიფო მინისტრების მოსკოვში ვიზიტის დროს პროგრესის გარკვეული ნიშნების გამოკვეთის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან შეხვედრის მზადყოფნის გამოთქმის, ცხინვალში შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის მიმდინარეობის და საქართველოში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური დელეგაციის ვიზიტის ფონზე ვითარდება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მეგობარ და პარტნიორ სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ადეკვატური შეფასება მისცენ ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებს და საქართველოს ხელისუფლების მშვიდობიან კურსს დაუჭირონ მხარი. **ინტერ-პრესი**

### რუსები თავს იმართლებენ

რუსეთის სახელმწიფო დუმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩევი არალოგიკურს უწოდებს საქართველოს პარლამენტის მიერ 13 აგვისტოს მიღებულ სპეციალურ განცხადებას, რომელშიც ქართული მხარე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალებს, ფაქტობრივად, უნდობლობას უცხადებს. კოსაჩევის განცხადებით, ქართველი პარლამენტარები თავის გადაწყვეტილებას რუსი სამშვიდობოების უმოქმედობით ხსნიან, თუმცა რუსი დეპუტატი მიიჩნევს, რომ "რუსი სამხედროები თავიანთ ფუნქციებს ბრწყინვალედ ასრულებენ". "ქართველ კოლეგებს შევახსენებ, რომ რუსი სამშვიდობოებისთვის განსაზღვრული მანდატი ითვალისწინებს მხარეთა იმ დრომდე დაშორიშორებას, ვიდრე კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარების წინაპირობები არ შეიქმნება," - განაცხადა კოსაჩევმა. რაც შეეხება ქართული მხარის ინიციატივას სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციის შესახებ, როგორც რუსეთის ფედერაციის საგანგებო დავალებათა ელჩი მიხაილ მაიოროვი აცხადებს, მოსკოვში მიაჩნიათ, რომ ამის აუცილებლობა არ არსებობს. "ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციის ან ეუთო-ს მანდატის გაფართოების აუცილებლობა არ არსებობს. ეუთოს, ბუნებრივია, შეუძლია, რომ კონფლიქტის მოგვარებაში დიდი წვლილი შეიტანოს, მაგრამ მისი მთავარი ამოცანაა, ვითარების ოპერატიული და ობიექტური შეფასება, შერეულ საკონტროლო კომისიასთან და სამშვიდობო ძალებთან თანამშრომლობა," - მიაჩნია მაიოროვს. **მედია-ნიუსი**

### კოკოითი კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისკენ მოგვიწოდებს

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერი, 13 აგვისტოს ათენში ოლიმპიური თამაშების გახსნასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, კონფლიქტის დარეგულირების მშვიდობიან გზას დაუბრუნდეს. ცხინვალის დე ფაქტო პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ მიმართვაში აღნიშნულია, რომ 13 აგვისტოს, ოლიმპიადის გახსნის დღეს, ედუარდ კოკოითმა საქართველოს ხელისუფლებას მოწოდებით მიმართა: "მშვიდობის, სიკეთისა და სპორტის იდეალების, როგორც ოლიმპიური თამაშების სიმბოლოს პატივისცემის გამო, შეწყვიტოს კონფლიქტის ზონაში ყოველგვარი პროვოკაციული ქმედება, რომელსაც ძმათამკვლელი ომი შეუძლია გამოიწვიოს, გამოიყვანოს რეგიონში შეყვანილი ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირება და ქართულ-ოსური კონფლიქტის სამშვიდობო დარეგულირების გზას დაუბრუნდეს". მიმართვაში ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის და მთელი ოსი ხალხის მხრიდან კეთილი ნების ეს ნაბიჯი ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების სურვილის კიდევ ერთი დადასტურებაა. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს ასევე, მეორე და მესამე მოსმენით ბიუჯეტის სამ თანმდევ კანონპროექტს "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ", "წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" და "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ". უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მეორე მოსმენით დაამტკიცა ასევე ბიუჯეტის ორი თანმდევი ორგანული კანონპროექტი: "უზენაესი სასამართლოს შესახებ" და "საერთო სასამართლოების შესახებ". რაც შეეხება მესამე ორგანულ კანონპროექტს პროკურატურის შესახებ, დეპუტატებმა მას მეორე მოსმენით მხარი არ დაუჭირეს. ამ კანონპროექტებს პარლამენტი სექტემბერში დაუბრუნდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ორი მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაცია დაამტკიცა. ნატო-ს მუდმივმოქმედ საპარლამენტო დელეგაციას პარტია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების" გენერალური მდივანი, დეპუტატი გიორგი არველაძე უხელმძღვანელებს, მეორეს - შავი ზღვის საპარლამენტო მუდმივმოქმედ დელეგაციას - მიხეილ მაჭავარიანი. **მედია-ნიუსი**




# ნინო ბურჯანაძე: "მეც შეურაცხყოფილი ვარ..."

პირველი გვერდიდან

გასხეპილი ვაზის ტალავერის ჩამონაყარიც მიასუფთავეს. პირველ და მეორე სართულზე ჩამსხვრეული შუშების ნაცვლად ახლის ჩასმა კი ველარ მოასწრეს. ოჯახი ჩვეულებრივად აპირებს ცხოვრების გაგრძელებას. ცოტა ეშინიათ, ძირითადად, იმის გამო, რომ ოჯახის უფროსი მათზე ინერვიულებს.

"გამარჯობა, სიმბა," - ტერაშვილების დაცარიელებულ სახლში ქართველი სამშვიდობოები ასე უშველებელ ნაგაზს მიესალმნენ, რომელმაც ადრინდელისაგან განსხვავებით, სტუმრების საშინელი ყეფით ან კუდის ქიცინით დახვედრას კვლავ წოლა ამჯობინა, შემოსულებს ნაღვლიანად მიაჩერდა. სახელდახელოდ დაკეტილი სახლი ეუთო-ს დამკვირვებლებმა ქართული სამშვიდობო ძალების რამდენიმე წარმომადგენელთან ერთად დაათვალიერეს. სახლის პატრონი, მეზობლების თქმით, სოფლიდან ოჯახის გასახიზნად გავიდა. **"ეგ რომ მოკლა, ახლა აქედან არ წავა. მაგარი ბიჭია, ჯინიანი."** დამკვირვებლებს არა, მაგრამ ჩვენ კი არ დაგვიმალა ერთ-ერთმა მეზობელმა. **"კომენტარებისათვის თბილისის ოფისს მიმართეთ,"** - ასეთი პასუხით სცადა ჩვენი მოცილება ორი დამკვირვებლიდან ერთ-ერთმა. ბევრი არც მეორეს ულაპარაკია. მაგრამ მაინც თქვა, რომ **"მაშინ, როცა კონფლიქტის ზონაში, რუსეთის საგარეო უწყების დაანგარიშებით, ეუთო-ს 10 დამკვირვებელი იმყოფებოდა, სინამდვილეში მხოლოდ ორნი იყვნენ. თუ სურვილი არსებობს, ერთი ადამიანიც ბევრის გაკეთებას მოახერხებს, მაგრამ ახლა, როცა ორგანიზაციის წარმომადგენელთა რიცხვი დაახლოებით ათამდე გაიზრდება, უფრო დიდ ტერიტორიას გააკონტროლებენ".**

"შვილო, თქვენ გეცოდინებათ რამე, გაგვაგებინეთ მაინც, რა ხდება," - ასე შეგვხვდნენ ერედვში კულტურის სახლის წინ გამართულ ბირჟაზე შეკრებილები. შუქი აქ მესამე დღეა, რაც არ აქვთ. ამბებს კანტიკუნტად, ძირითადად, ისევ ქართველი სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებისგან იგებენ. ასე გაიგეს ზურაბ ჟვანიას ამბავიც.

ერედვის კულტურის სახლთან გუშინ, დილიდან ის ვანათელი და აწრისხეველები შეგროვილიყვნენ, ვინც ცხინვალთან ახლოს მდებარე ქართული სოფლებიდან ბავშვები სამშვიდობოს გამოიყვანეს. ბევრმა - თავისი სოფლიდან არცთუ ძალზე მოშორებით, ზოგმა - თბილისში, ან სხვა ქალაქებში. მოკლედ, ვინც სად მოახერხა. ის მშობლები, ძირითადად - ქალები, ვინც ბავშვები საშიშ ზონას გამოარიდა, უკან აპირებდნენ შესვლას. კულტურის სახლთან ისინი ჯერ ლიახვის მაჟორიტარი დეპუტატის, გურამ ვახტანგაშვილის მოლოდინში შეგროვილიყვნენ: "შეგვპირდა, რომ ჩვენს სოფლებში დაგვაბრუნებს. ჰოდა, ველოდებით". კულტურის სახლთან ვახტანგაშვილი დაგვიანებით, სამაგიეროდ, პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად მივიდა, ბურჯანაძესთან ერთად კი - პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში, მიხეილი ქარელი და დეპუტატი ვასილ მაღლაფერიძე. ბურჯანაძე უფრო მეტს ისმენდა, ვიდრე ლაპარაკობდა. პარლამენტის თავმჯდომარისათვის თავისი სატკივარის გაზიარება ნამდვილად ბევრს უნდოდა.



ნინო ბურჯანაძე ცხინვალში არ შეუშვეს.

გოგიტა ბაბაძის ფოტო



აქაურობას არ დავტოვებთ, ჩვენი მიწაა.

**"გვითხარით, რა უნდა გააკეთონ ჩვენმა ბიჭებმა, რომლებიც იმ სოფლებში არიან დარჩენილი? ოსები თუ ქართველებთან შედარებით პატარა ერია, ქართველები რა, რუსებთან შედარებით პატარა ერი არა ვართ?"** - ასეთი არგუმენტი წაუყენეს ბურჯანაძეს შეკრებილებმა.

**"ჩვენ არ გვინდა, ძალა გამოვიყენოთ,"** - უპასუხა სტუმარმა.

**"არ გინდათ და, ჩვენ დაგვხოცავენ. ვითომ დასასვენებლად ჩამოვიდა ხალხი და ომში კი ამოყვეს თავი. თქვენი დიდი იმედი გვაქვს და თუ შეგიძლიათ, გვიხსენით. თუ არა და, ჩვენი კაცები აქ იბრძოლებენ, ქალები წამოვალთ და პარლამენტის წინ დავდგებით,"** –დაჰპირდნენ პარლამენტის თავმჯდომარეს ვანათელი ქალბატონები.

**"ეგ რომ შველოდეს, პირველი მე წავიდოდი და დავდგებოდი. როცა შველოდა, დავდექი. ძალიან ძნელია, მაგრამ ყველაფერი უნდა გაგვეკეთებინა, რომ ომი არ დაწყებულიყო. თუ მეტი საშველი არ იქნა, ომი დაიწყება და ველარავინ გაგვამტყუნებს. მეც შეურაცხყოფილი ვარ, როცა ჩემს სამშობლოში ვიღაცას ჩემს ტერიტორიაზე შეშვებას ვეხვეწები და არ მიშვებენ, არ მატარებენ. ვითმენთ და ვყლაპავთ ამას, ბევრ რამეს, იმიტომ, რომ სისხლისღვრა და ომი არ იყოს,"** – ძველი და ახალი გამოცდილება გაუზიარა ბურჯანაძემ შეკრებილებს. **"აქაურობას არ დავტოვებთ, ჩვენი მიწაა,"** - ერთხმად აცხადებდნენ შეკრებილები.

**"ჩემი შვილი ჯარისკაცია. კვირაზე მეტია, რაც ესვრიან, ბომბავენ. ტყვია-წამალი კი აქვთ, მარა იმდენი, ჩვეულებრივ ჯარისკაცს რომ აქვს. მუხლისჩოქვით მოგმართავთ, იქნება რამით დაეხმაროთ. იქ ერთადერთი შვილი და ძმისშვილები მყავს. ჩემს შვილს ჩემს სამშობლოს შევწირავ. დღეს ჩამოვიდა, დაჭრილები გამოიყვანა, მოვიდა მშიერი და გაუბედურებული. მოგვხედეთ. რომ მოვკვდეთ, აქედან არ წავალთ. ჩვენ გვერდში გიდგავართ ყველა, მარა თქვენც მოგვხედეთ,"** - ბურჯანაძეს ასე უკვე ერედველი კაცი ემუდარებოდა... ბურჯანაძე ხალხს შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას დაჰპირდა. ხალხის დიდი ნაწილი კი მას საპასუხოდ ჰპირდებოდა, რომ თუ მათი გადაყვანა ძველ საცხოვრებელ ადგილას სხვა გზით ვერ მოხერხდებოდა, ისინი თავის სოფლებში უკვე თავისით, ტყე-ტყე, ფეხით გადავიდოდნენ.

ერედვის მერე პარლამენტის თავმჯდომარე უკვე ერგნეთისაკენ გაემართა. იმ ადგილას, სადაც სულ ცოტა ხნის წინ დიდი ფული ტრიალებდა. სადაც შემოსული კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობა დუღდა და გადმოდუღდა. ძველი დროიდან აქ სახელდახელოდ გამართული, უკვე ცარიელი დახლები შემორჩა. აქა-იქ თითო-ოროლა მოვაჭრეც, რომელიც, გაურკვეველია, რით ვაჭრობს. შიდა ქართლის პოლიციის დანაყოფები ერგნეთში რიგ-რიგობით მორიგეობენ. გუშინ ხაშურის პოლიციის ჯერი იყო.

**"ჩვენი მიზანი კონტრაბანდის აღკვეთაა. დიდი პარტიები არა, მაგრამ პატარა პარტიებით საქონლის შეტანას ისევ ცდილობენ. ძირითადად - ფქვილის, სიგარეტის. ასე ადვილად ვერ გადაეჩვევიან. პრეზიდენტმა თქვა, არ უნდა შემოვიდეს კონტრაბანდაო და არც შემოვა,"** – ხაშურის პოლიციის უფროსის, ნუგზარ კურტანიძის განმარტებით, ასეთია ერგნეთში გამაგრებული პოლიციელების დავალება. პოსტზე მყოფებს შეიძლება ესროლონ კიდეც. მაგრამ, როგორც თავად პოლიციელები ამბობენ, ძირითადად, შესაშინებლად.

ერგნეთში პოლიციელებთან მცირე ხნით ნინო ბურჯანაძეც გამაგრდა. თანმხლებ პირებთან ერთად, ცალკე - ცხინვალის ხელისუფლების, ცალკე - რუსეთის წარმომადგენელთა პასუხის მოლოდინში. პარლამენტის თავმჯდომარე გუშინ ცხინვალში შესვლისა და ედუარდ კოკოითთან შესვლისათვის იღვწოდა. ცხინვალი, თურმე, ისევ პარლამენტის თავმჯდომარის ინტერესებიდან გამომდინარე, არ დათანხმდა დიალოგს ქვეყნის მეორე პირთან. სხვადასხვა ადრესატისაგან, რომლებთან დაკავშირებას პარლამენტის თავმჯდომარე როგორც თავად, ისე თანაშემწეების დახმარებით ცდილობდა, პასუხი ერთნაირად ჟღერდა: **"ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ თქვენს უსაფრთხოებას".** ამაზე ბურჯანაძეს თავისი პასუხი აქვს: **"თუ ოსეთის პრეზიდენტი ცხინვალს ვერ აკონტროლებს, ვერ უზრუნველყოფს პარლამენტის თავმჯდომარის გადაადგილების უსაფრთხოებას პატარა მონაკვეთზე, მხოლოდ ერთ ქუჩაზე, რომლითაც უნდა გავიაროთ, მაშინ რატომ აქვს კოკოითს პრეტენზია მთლიანად "სამხრეთ ოსეთის" გაკონტროლებისა?"** პარლამენტის თავმჯდომარემ ერგნეთი დატოვა. მაგრამ იქაურებს მალე დაბრუნებას დაჰპირდა: **"დავბრუნდებით... და არა მხოლოდ ერგნეთში".**

# არ შეიძლება, რუსებთან კონფლიქტს რუსები აგვარებდნენ

პირველი გვერდიდან

სავსებით ლოგიკურია, რომ საქართველოს პარლამენტმა რუსეთის მმართველ ელიტას უკვე ღიად შეუტია. მანამდე, რუსეთის დუმაზე თუ რუს ცისფერჩაფხუტიანებზე სიტყვიერი თავდასხმები რომ არანაირ შედეგს არ მოიტანდა, ამაში ეჭვი არც ქართველ პარლამენტარებს, არც პოლიტოლოგებს არ ეპარებოდათ – "არყის ბარიგა" გენერალი ნაბზდოროვი კვლავ რუსი მშვიდობისმყოფელების მეთაურად რჩებოდა. რაც შეეხება რუსეთის დუმას. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ იქ შესული პოლიტიკური ძალები მთლიანად პუტინის ადმინისტრაციის მიერ იმართებიან და რუს პარლამენტართა მხრიდან გაჟღერებული ნებისმიერი აგრესიული განცხადება მხოლოდ საკუთარი თვითშემოქმედების შედეგი ნამდვილად არ არის. შესაბამისად, კრემლის პოლიტიკის აქტიური და მოურიდებელი კრიტიკა უკვე იმის მანიშნებელია, რომ ქართული მხარისთვის დათმობებზე და რუსეთთან ვაჭრობაზე წასვლა კატეგორიულად მიუღებელია.

როგორც პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა განაცხადა, აუცილებელია სამშვიდობოთა ინტერნაციონალიზაცია და ამ კონფლიქტის მოგვარებაში რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართვა. **"მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ ჩვენ მშვიდობა გვინდა. უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთი არის ამ პროცესების მთავარი რეგულატორი და იმ დადგენილებით, რომელიც დუმამ მიიღო, მათ კბილები გამოაჩინეს. ჩვენი განცხადება პასუხია იმ ქმედებებზე, რაც კონფლიქტის რეგიონში ხდება. მანამდე ჩვენ არ ვუპასუხეთ დუმის დადგენილებას. ეს ბუნებრივი იყო, რადგან არ გამოვეხმაურეთ დემაგოგიას. თუმცა, დღეს დაუშვებელია, არ ვუპასუხოთ ტყვიებს, დანგრეულ სახლებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ, რუსეთის მედიატორის როლის აღიარებით, დიპლომატიური შედეგისთვის მიეღწიათ, თუმცა ეს შედეგი ვერც მათ და ვერც მთლიანად საქართველომ ვერ დაინახა. ამიტომაც საქართველოს პარლამენტს უფლება არ აქვს, დღეს ცხინვალში არსებულ გამწვავებულ ვითარებასთან დაკავშირებით, არ აღიაროს რუსეთი, როგორც კონფლიქტში მონაწილე მხარე. რუს სამშვიდობოებს ამოფარებულმა ბანდიტურმა ფორმირებებმა, რომლებიც რუსეთის სრული მხარდაჭერით და ხელშეწყობით დევნილი ქართველები ახორციელებენ, კონფლიქტის ზონა უნდა დატოვონ. რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი, "დეჟურნირა" და "არყის ბარიგა" ნაბზდოროვი კი "ცისფერი ჩაფხუტის" მანდატის სირცხვილია,"** - განაცხადა გაბაშვილმა.



პარლამენტმა ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა.

იური ლობჟანიძის ფოტო

რაც შეეხება თავად განცხადებას. საქართველოს პარლამენტის კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ქართული მოსახლეობის მასირებული დაბომბვები ხორციელდება ადგილობრივი სეპარატისტული, კრიმინალური ხელისუფლების უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელშეწყობით და მიზნად ისახავს საქართველოს ხელისუფლების ჩათრევას ფართომასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებაში.

პარლამენტის განცხადებით, განსაკუთრებით ალმაშფოთებელია, რომ ეს ყველაფერი ხდება რეგიონში დისლოცირებული რუსული სამშვიდობო ძალების უშუალო მხარდაჭერითა და მონაწილეობით. **"ახლა უკვე ნათელია, თუ რა მიზნით ხდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მხრიდან შეიარაღებითა და რაკეტებით დატვირთული სამხედრო კოლონების შემოსვლა როკის გვირაბის გავლით, რომლის მონიტორინგსაც უკვე დიდი ხანია, ითხოვს საქართველოს ხელისუფლება, და რატომ იწვევდა ქართული მხარის მიერ აღნიშნული საკითხის არაერთგზის დაყენება რუსი სამხედროების განსაკუთრებულ გაღიზიანებას... განვლილი 13 წლის მანძილზე ნათლად გამოჩნდა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებს არ შესწევთ უნარი, მათზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულონ. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული ვერც ერთი კონფლიქტის შედარებითი სტაბილირებაც კი ვერ მოხერხდა, რაც ნათლად ადასტურებს, რომ რუსეთის ფედერაცია არ არის დაინტერესებული, სამართლიანად გამოიყენოს მისთვის ამ სივრცეში, სამწუხაროდ, ექსკლუზიურად მინიჭებული მშვიდობისმყოფელის ფუნქცია და მის მიზანს წარმოადგენს მხოლოდ პოლიტიკური გავლენის შენარჩუნება მეზობელ სუვერენულ სახელმწიფოებში კონფლიქტების მანიპულირების გზით,"** - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს პარლამენტი მიიჩნევს, რომ რუსეთი წარმოადგენს არა მშვიდობისმყოფელსა და შუამავალს, არამედ კონფლიქტის ერთ-ერთ მხარეს, რომელიც ყველაფერს აკეთებს საშიში სტატუს-კვოს შესანარჩუნებლად და ვითარების საბოლოოდ დარეგულირების თავიდან ასაცილებლად. **"ამის კიდევ ერთ დადასტურებას წარმოადგენს რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილის ვლადიმირ ჟირინოვსკის 11 აგვისტოს საზღვაო სტუმრობა აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან, როდესაც მის ესკორტირებას საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ქართული მხარის დაუკითხავად ახდენდნენ რუსული სამხედრო ხომალდები. ეს ქმედება წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებისა და გაერო-ს წესდების ფეხქვეშ გათელვას და სხვაგვარად ვერ შეფასდება, თუ არა რუსეთის ფედერაციის ოფიციალური სტრუქტურების მიერ სეპარატიზმისა და ტერორიზმის პირდაპირი მხარდაჭერა,"** - აღნიშნულია განცხადებაში.

პარლამენტი მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციებს და მეგობარი სახელმწიფოების მთავრობებს, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური მექანიზმები, რათა არ დაუშვან საქართველოში სიტუაციის ძალადობრივი, თავსმოხვეული დესტაბილიზაცია და დაეხმარონ საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტების მშვიდობიანი, სამართლიანი და საბოლოო გადაწყვეტის პროცესში.

საგულისხმოა ისიც, რომ პარლამენტართა ნაწილმა გუშინ დაგომისის ცნობილი ხელშეკრულების გაუქმება და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოსვლა მოითხოვა. არ არის გამორიცხული, სულ მალე საქართველოს პარლამენტი ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდეს.

და ბოლოს: გუშინ პარლამენტმა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე მომუშავე საპარლამენტო კომისიის შემადგენლობა დაამტკიცა. მასში თავდაპირველად 15 დეპუტატს უნდა ემუშავა, თუმცა პარლამენტართა დაჟინებული მოთხოვნით, ნინო ბურჯანაძემ კომისიის შემადგენლობა 23 კაცამდე გაზარდა. კომისიის წევრთაგან 11 "ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატების" წევრი იქნება, სამი - ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარის", ოთხი - ფრაქცია "მაჟორიტარის", ორი - ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის", სამი კი - დამოუკიდებელ დეპუტატთა საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენელი. პარლამენტის გადაწყვეტილებით, კომისიას ვასილ მაღლაფერიძე უხელმძღვანელებს. როგორც მაღლაფერიძემ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ შაბათი დასვენების დღეა, საქართველოში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გათვალისწინებით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისია პირველ შეკრებას 14 აგვისტოს მაინც გამართავს. აქვე დავძენთ, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისია როგორც აფხაზეთის, ასევე სამაჩაბლოს საკითხებზე იმუშავებს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მიხეილ სააკაშვილი: „თავს არ გავისულელებთ...“

პირველი გვერდიდან

ბავშვებით სავსე ავტობუსებსაც, პარლამენტის თავმჯდომარეს ცხინვალში შესვლის ნება არ დართეს.

მიხეილ სააკაშვილი მაინც ჯიუტად იმეორებდა, რომ სეპარატისტები **"წვრილმანი შეტევებით"** მიზანს ვერ მიაღწევენ. პრეზიდენტი ირწმუნება, **"სულ რომ ყირაზე დადგეს ყველაფერი",** ქართული სოფლებიდან გამოხიზნული ბავშვები სექტემბერში მშობლიურ სკოლებში გააგრძელებენ სწავლას.

საგანგებო ბრიფინგზე ჟვანიამ განაცხადა, რომ **"ოსმა სეპარატისტებმა ქართული მოსახლეობა ცხივალის რეგიონში ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზე მიიყვანა."** პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, **მარტო გუშინ კონფლიქტის ზონიდან 800-ზე მეტი ბავშვი გამოიყვანეს.**

ჟვანია ახმოვანებს უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს ხელისუფლების მიერ კიდევ ერთხელ დაფიქსირებულ პოზიციას, კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ: **"მიუხედავად ასეთი უმძიმესი ვითარებისა, ჩვენ კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს: ჩვენი არჩევანი არის, დაუყოვნებლივ გავმართოთ სამშვიდობო მოლაპარაკებები. მივაღწიოთ პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას".**

პრემიერმა, ამასთანავე, აღნიშნა, რომ სეპარატისტები და მათ უკან მდგარი რუსეთი დიალოგზე უარს ამბობენ და მიდიან **"ვითარების უკიდურეს პროვოცირებაზე".** მოვლენათა კიდევ უფრო გართულების შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრმა პასუხისმგებლობა ოსურ და რუსულ მხარეს დააკისრა. **"ჩვენ არ გვაქვს უფლება, 8 ათასი ადამიანი დიდი ლიახვის ხეობაში და 6 ათასი ადამიანი პატარა ლიახვის ხეობაში დავტოვოთ მხარდაჭერის გარეშე."**

სამშვიდობო პროცესებზე საუბრისას გუშინ პრეზიდენტმა საკაშვილმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე საჯაროდ გაიხსენა კრახი, რომელიც 1992-1993 წლებში რუსეთთან მოლაპარაკებებს მოჰყვა. იგი საუბრობდა სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, რომელთა გაფორმებიდან რამდენიმე დღის შემდეგ საქართველომ დაკარგა აფხაზეთი. **"რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა მივყვეთ სამშვიდობო პროცესებს, მაგრამ თავს არ გავისულელებთ..."**

გუშინ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ აღნიშნეს საეთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის შესახებ. წუხელ პრეზიდენტი შეხვდა ამერიკი ელჩს საქართველოში რიჩარდ მაილსს და ეუთო-ში ამერიკის ელჩს სტივენ მინიკესს. დახურული შეხვედრის შემდეგ საგანგებო ბრიფინგზე მინიკესმა განაცხადა, რომ რუსეთს გადამწყვეტი როლი ენიჭება კონფლიქტის მოგვარებაში. **"ეუთო-მ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს რუსეთთან კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად."** ეუთო-ში ამერიკის ელჩი ირწმუნება, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა ეუთო-მ ცხინვალის ზონაში თავისი მანდატი გააფართოოს. სტივენ მინიკესის განცხადებით, **"საქართველოს ხელისუფლებას აქვს საიმისო რესურსები, რომ მოწინააღმდეგე მხარე დიალოგში ჩააბას."**



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*საქართველოს ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონში, ჯერ-ჯერობით, ცეცხლის ჩაქრობას მიაღწია.*

ამ სიტყვებიდან რამდენიმე საათის შემდეგ კოკითმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დოკუმენტს ხელი მოაწერა. გოგა ხაინდრავას თქმით, კოკოითის თანხმობაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის რუსეთის დიპლომატიას, ცხინვალში მყოფ რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩს მირონოვს და კენიაკინს, რომელიც ამჟამად მაიოროვის ფუნქციას ასრულებს.

ორი საათის შესრულებისას სახელმწიფო მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კონფლიქტის ზონაში სროლები არ ისმოდა.

წუხელ, როცა მსოფლიოს კეთილი ნების ძალები ათენში ოლიმპიური ცეცხლის ანთებას ზეიმობდნენ, საქართველოს ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონში, ჯერ-ჯერობით, ცეცხლის ჩაქრობას მიაღწია.

კონფლიქტის ქრონიკა

# ცხინვალში დენთის სუნი ტრიალებს

ნინო გომართელი

კონფლიქტის ზონაში ტყვიების ზუზუნი გუშინწინ მთელი ღამის განმავლობაში ისმოდა, სროლები ქართული სოფლების მიმართულებით სარაბუკის მხრიდან, დაახლოებით, ღამის სამ საათზე დაიწყო და დილის 10 საათამდე გაგრძელდა მცირედი ინტერვალებით. ისროდნენ როგორც მსხვილკალიბრიანი ყუმბარმტყორცნებიდან, ასევე ტანკებიდან და ჯავშანმანქანებიდან. დანგრეულია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. მშვიდობიან მოსახლეობაში არიან დაზარალებულებიც, ორი ქალი და ერთი მამაკაცი ოსი ბოევიკების მიერ სოფელ სარაბუკის მხრიდან წარმოებული ინტენსიური ცეცხლის შედეგად დაიჭრა.

სამივე დაჭრილი ტყვიავის საავადმყოფოში გადაიყვანეს, აქედან ორი მსუბუქად იყო დაჭრილი, რომლებიც პირველადი დახმარების აღმოჩენის შემდეგ გაუშვეს. ერთი ქალბატონი შედარებით მძიმე მდგომარეობაში იყო, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პარალელურად, ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ოსური შეიარაღებული ფორმირებები და რუსეთიდან ჩამოყვანილი სნაიპერები კვლავ მობილიზებულები იყვნენ დიდი ლიახვის ხეობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მაღალმთიან ადგილებში.

საქართველოს მთავრობის პირები მონაცვლეობით ჩადიან კონფლიქტის ზონაში, ეცნობიან სიტუაციას, აკეთებენ გამაფრთხილებელ და მკაცრ განცხადებებს, თუმცა ჯერჯერობით, უშედეგოდ. ოსური მხარე ცეცხლს მათაც უხსნის.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი კონფლიქტის ზონაში მთელი ღამე იმყოფებოდა, მაგრამ მაშინ, როდესაც იგი დიდი ლიახვის ხეობიდან შემოვლითი გზით პატარა ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში მიემართებოდა, ოსურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა მის კორტეჟს სხვადასხვა სახის იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. პრემიერ-მინისტრის ცეცხლის ზონიდან გაყვანა მოხერხდა.

**"ეს რუსეთის ხელისუფლების და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობის პასუხია საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკაზე და დღეს სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვის წინადადებაზე, ოსი ბოევიკებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კორტეჟი იყო და რომ მას სწორედ ამ დროს და ამ ადგილზე უნდა გაევლო, ამდენად ნათელია, რომ ისინი მიზანმიმართულად, დამიზნებით ისროდნენ,"** - აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ ფაქტის კომენტირებისას.

გუშინ დილით, დიდი ლიახვის ხეობაში მყოფმა პრემიერ-მინისტრმა სოფელ თამარაშენში მელანაშვილების ოჯახი მოინახულა და ოსი სნაიპერის მიერ მოკლული თამაზ მელანაშვილის ჭირისუფლებს პირადად მიუსამძიმრა.



*პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.*

შემდეგ ზურაბ ჟვანია აჩაბეთი-ქურთის მონაკვეთზე ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა, სადაც მოულოდნელად სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ერთადერთი ქართველი წარმომადგენელი ვაჟა ხაჭაპურიძე გამოჩნდა.

იგი ესაუბრა პრემიერს და დაჰპირდა, რომ ცხინვალში ჩასვლის შემდეგ ყველაფერს გააკეთებს, რათა თვითაღირებული სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე დაითანხმოს.

**"თუ ედუარდ კოკოითი ზურაბ ჟვანიასთან დიალოგის დაწყების გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პირადად დავწერ განცხადებას და დღესვე წავალ პოსტიდან,"** - დასძინა მან.

თუმცა, ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მორჩილმა ქართველმა ხაჭაპურიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეხვედრა უახლოესი ორი დღის განმავლობაში ნამდვილად არ მოხერხდება.

**"ცხინვალის ხელისუფლების მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ედუარდ კოკოითმა ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრის გადაწყვეტილება მიიღო და შერეული საკონტროლო კომისიისგან აღნიშნული შეხვედრის ცხინვალში ორგანიზება მოითხოვა, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, ეს შეხვედრა დღეს ან ხვალ გაიმართოს,"** – თქვა მან.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ცხინვალის რეგიონიდან თბილისში ბრუნდება, მისივე განცხადებით, იგი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდება და კონფლიქტის ზონაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით კონსულტაციებს გამართავს.

გუშინვე ტყვიავში განახლდა სპეციალური შტაბის სხდომა, რომელიც რეგიონიდან მოსახლეობის უსაფრთხო გამოყვანას უზრუნველყოფს.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

მოდის პრემიერი, მაგრამ რეგიონში ჩადის შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი.

ცხინვალის რეგიონში გუშინ საღამოს გაემგზავრნენ ასევე, თბილისში ვიზიტით მყოფი "ჯეიმსთაუნის" ფონდის წარმომადგენლები და ცნობილი პოლიტოლოგი ვლადიმირ სოკორი. ისინი კონფლიქტის ზონაში, სიტუაციის შეფასების მიზნით, მთელი ღამის განმავლობაში დარჩნენ, მაგრამ საინტერესო იყო გამგზავრებამდე მათ მიერ ჩატარებული პრესკონფერენცია.

ამერიკელები საქართველოს ხელისუფლებას 1992 წელს გაფორმებული დაგომისის ხელშეკრულებიდან გამოსვლას ურჩევენ, რომლის საფუძველზეც ცხინვალის რეგიონში რუსი სამშვიდობოები მოქმედებენ.

**"უკვე აშკარაა და ყველასათვის ნათელია, რომ რუსეთი აღარ არის უბრალო მომრიგებელი კონფლიქტებში და ის კონფლიქტის ერთ-ერთი მხარეა, რომელიც აშკარა მხარდაჭერას უცხადებს სეპარატისტებს,"** – განაცხადა ვლადიმირ სოკორმა.

მისივე აზრით, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კოფნლიქტების მოგვარება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ შეიცვლება ფორმატი, რომლითაც ამჟამად დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

ამასთან, ამერიკელ პოლიტოლოგს მიაჩნია, რომ საერთაშორისო საზოგადოება ამ კონფლიქტების მოგვარებაში უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს.

**"აღნიშნული კონფლიქტები სცდება რეგიონულ მნიშვნელობას და საერთო მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად უნდა განიხილებოდეს. კავკასიაში განვითარებულ მოვლენებს და არასტაბილურ ვითარებას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებაზე. კარგი იქნება, თუ აღნიშნული კონფლიქტების დარეგულირებაში აქტიურად ჩაერთვება ნატო და აქ ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება დაიწყება,"** - აღნიშნა სოკორმა, რომელსაც დაგეგმილი აქვს, ამგვარი რეკომენდაციებით მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებს და, მათ შორის, ნატო-ს მიმართოს.

მიმოხილვა

# კონფლიქტის უცხოური ხედვა

ნინო გომართელი

საქართველოს ცხელი ზაფხული დაუდგა, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. უკვე რამდენიმე დღეა, არ ცხრება ბრძოლა ცხინვალის რეგიონში და მთელი ქართული საზოგადოების ყურადღება ფოკუსირებულია მხოლოდ ამ საკითხზე.

მაგრამ ქართულ-ოსური კონფლიქტი არა მხოლოდ ჩვენი პრობლემა და საანალიზო თემაა. უკვე ორი დღეა, რაც მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო საშუალებები საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, თუმცა თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში, მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებენ. რუსულ პრესაში, როგორც მოსალოდნელია, ჭარბობს სუბიექტურობა და მიკერძოება, დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები კი სავსეა ანალიტიკური სტატიებით, რომლებიც თამამად, ხანდახან კრიტიკულადაც ახასიათებენ რეალობას, თუმცა ერთი კი ნათელია - რუსეთი ღიად უჭერს მხარს ოსეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას, შეერთებული შტატები კი – სააკაშვილს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი რუსეთს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებაში აქტიურ ჩარევას ურჩევს. დეპარტამენტის წარმომადგენელმა ადამ ერელიმ გუშინ კომენტარი გააკეთა სამხრეთ ოსეთის რეგიონში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

**"ამერიკის მთავრობას მუდმივი კონტაქტი აქვს საქართველოს ხელისუფლებასთან და ფლობს ინფორმაციას, რომ მდგომარეობა კონფლიქტის ზონაში საკმაოდ დაძაბულია. მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, დააჩქაროს მოლაპარაკებების დაწყება და ყველაფერი გააკეთოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისთვის. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოფიციალური რუსეთის პოზიციასაც, რომელიც მხარეებს ოთხმხრივი სამშვიდობო კომისიის თანდასწრებით სთავაზობს მოლაპარაკებებს. ამერიკა მხარს უჭერს რუსეთის პოზიციას და მოუწოდებს, აქტიურად ჩაერთოს კონფლიქტის მოგვარების საკითხში,"** - განაცხადა ადამ ერელიმ.

რაც შეეხება რუსულ საინფორმაციო საშუალებებს: რადიოსადგურ "გავარიტ მასკვა"-ს ჟურნალისტი გუშინ, ნაციონალური სტრატეგიის ინსტიტუტის პრეზიდენტთან სტანისლავ ბელკოვსკისთან საუბრობდა თემაზე "იქნება თუ არა ომი საქართველოში".

ცხინვალში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვისას, სტუმარი დაჟინებით აცხადებს, რომ სრულმასშტაბიანი ომი ამ რეგიონში სექტემბერში დაიწყება.

**"და ეს მოხდება მაშინ, როდესაც რუსეთი ღიად იტყვის უარს სამხრეთ ოსეთის მხარდაჭერაზე, მათ შორის - სამხედრო დახმარებაზე. როდესაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დარწმუნდება, რომ გადამწყვეტ მომენტში სამხრეთ ოსეთი მასთან ერთი-ერთზე დარჩება, ის ომს დაიწყებს,"** – ამბობს სტანისლავ ბელკოვსკი.

იგი ირწმუნება, რომ სააკაშვილი ცდილობს, ფსიქოლოგიური დესტაბილიზაცია დანერგოს ოსურ მოსახლეობაში და ამის დასამტკიცებლად, პრეზიდენტის მკაცრ და დაუნდობელ გაკრიტიკებას არ ერიდება.

**"მართალია, სააკაშვილი ხელისუფლებაში შეერთებული შტატების მხარდაჭერით მოვიდა, მაგრამ იგი მისი დანიშნული არ არის, ის ტიპური ლენინური ტიპაჟის რევოლუციონერია, რომელიც მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს იყენებს იმისთვის, რომ ხელისუფლება შეინარჩუნოს. თუ მისი რეჟიმის განმტკიცებას ხელს რუსეთთან მეგობრობა შეუწყობს და არა ამერიკასთან, ის გადაერთვება რუსეთზე."**

რასაკვირველია, ცხინვალის კონფლიქტს უყურადღებოდ არ ტოვებს რუსეთის სახელმწიფო ტელევიზია "რასია", მოვლენებს კი საოცარი სენტიმენტალურობით აღწერს. ჟურნალისტი სიუჟეტს იწყებს ფრაზით "ცხინვალში სროლის ხმა საავადმყოფოებშიც კი ისმის". შემდეგ კი მოდის ოს ექიმებთან ჩაწერილი ინტერვიუები.

**"ეს რაღაც საშინელებაა. მსგავსი რამ არასოდეს მინახავს, თუმცა პირველი ომის დროსაც აქ ვიყავი და ვმუშაობდი,"** – ამბობს ერთ-ერთი მათგანი.

საინფორმაციო არხი აშკარად ცდილობს რუსეთის როლის ვითომდა არარსებობის დამტკიცებას და სამშვიდობოების გამართლებას: **"რუსმა მშვიდობისმყოფელებმა მეომარ მხარეებს არაერთხელ მიმართეს თხოვნით, დაეყარათ იარაღი და მოლაპარაკებების მაგიდასთან დამსხდარიყვნენ,"** – აცხადებს საინფორმაციო პროგრამა "ვესტი"-ს წამყვანი.

მეტად კრიტიკულია რუსული გაზეთი "იზვესტია", რომელიც, მართალია, ინტერვიუს აქვეყნებს საქართველოს თავდაცვის მინისტრთან გიორგი ბარამიძესთან, თუმცა შესავალს დიდ იდეურ დატვირთვას აძლევს.

**"სამხრეთ ოსეთში ხუთშაბათს ღამით დაწყებული, ფაქტობრივად, საომარი მოქმედებები არის "პასუხი" რამდენიმე საათით ადრე მოსკოვში, რუსეთის გენშტაბის და საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ ხელმოწერილი შეთანხმებისა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან ყველა შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის შესახებ. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან ინტერვიუში ბარამიძე აცხადებს: "ჩვენს გეგმაში რომ ომის დაწყება შედიოდეს, რეგიონის სრული დემილიტარიზაციის მომხრენი არ ვიქნებოდით,"** – ასეთია პროლოგი აღნიშნული გაზეთის მთავარი თემისა.

გუშინ გამოაქვეყნა სტატია "მოსკოვსკი კომსომოლეცმაც", სათაურით "ეს ომია – სამხრეთ ოსეთში სროლები მიმდინარეობს აკრძალული იარაღებით", პირველივე ფრაზა კი ასე ჟღერს: **"ოსეთში დიპლომატია დაივიწყეს, იქ ახლა მხოლოდ იარაღი საუბრობს".** მასალაში ქრონოლოგიურად არის აღწერილი კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენები, თუმცა კომენტარებს იქ მხოლოდ რუსული მხარე აკეთებს.

**"ისვრიან არა მუდმივად, არამედ პერიოდულად, ოსური სოფლებისკენ და ერთდროულად ოთხი წერტილიდან. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ვიღაც სერიოზულ შეიარაღებულ შეტაკებას უკეთებს პროვოცირებას,"** - ამბობს ნიკოლაი ბარანოვი ინტერვიუში.

**"ქართველები კი, პირიქით, ამტკიცებენ, რომ სროლა ქართული სოფლების მიმართ ხორციელდება,"** – კომენტარს აკეთებს ჟურნალისტი.

"ომი განრიგით" – ასეთი სათაურით აქვეყნებს სტატიას რუსული საინფორმაციო საშუალება "ვრემია ნოვოსტეი".

**"სამხედრო მოქმედებები სამხრეთ ოსეთში უკვე, ტრადიციულად, შუაღამეს იწყება, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეები ქართულ და ოსურ სოფლებს ცხრილავენ. დილისკენ სროლა წყდება და იწყება საინფორმაციო ომი. მხარეები ურთიერთს სდებენ ბრალს კონფლიქტის პროვოცირებაში, რის შემდეგაც ერთმანეთს კვლავ მოლაპარაკებათა მაგიდასთან დაჯდომას სთხოვენ. ამასთან, თბილისი რეგულარულად არასასიამოვნო სიტყვებით მოიხსენიებს რუსეთს, რომლის სამშვიდობოებსაც ან არ შეუძლიათ, ან არ სურთ შეწყვიტონ "სეპარატისტების" გამოხტომები,"** – წერს ჟურნალისტი მიხეილ ვიგანსკი და არ ერიდება ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორიც არის, მაგალითად, **"ქართული მხარე ირწმუნება, რომ ყველაფერი სულ სხვანაირად ხდება,"** და ეს წინადადება მას შემდეგ მოდის, რაც დე ფაქტო ხელისუფლება ბრალდების ხელს ჩვენსკენ იშვერს.

თავისებური ხედვა აქვს გაზეთ "კომერსანტს", სტატიის ავტორი ცხინვალის კონფლიქტს უკავშირებს თურქეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტს თბილისში.

**"ქართველებისა და სამხრეთ ოსეთის მხარეების შერიგებას სხვა ქვეყნებიც შეუერთდნენ. თბილისში ვიზიტით მყოფი რეჯებ ერდოგანი ქართველებს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში დახმარებას დაჰპირდა, რუსეთი კი ვალერი ლოშჩინინის პირით ყველას აფრთხილებს – სიტუაცია ყოველ წუთს იძაბება და ნებისმიერ მომენტში შესაძლოა, კონტროლიდან გამოვიდეს. შედეგები კატასტროფული იქნება".**

დაუნდობელია "რასიისკაია გაზეტა", რომელმაც გუშინ გამოაქვეყნა სტატია "გუშინ იყო ომი. ხვალ?". და აი, რას წერს ავტორი: **"სამხრეთ ოსეთში, ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ღამით მომხდარი სროლების შედეგად ცხინვალის საავადმყოფოში მოხვდა 34 მძიმედ დაჭრილი ადამიანი. მსუბუქად დაჭრილებს უკვე აღარავინ თვლის. დაზარალებულები იატაკზე წვანან, ან სარდაფში. საავადმყოფოში დარჩენა სახიფათოა, რადგან მუდმივად არის სროლები. არ დარჩენილა არც ერთი მთლიანი ფანჯარა."**

იმავე სტატიაში ვკითხულობთ: **"1992 წლის შემდეგ პირველად, ცხინვალის დაცხრილვისას გამოყენებულ იქნა მძიმე ტექნიკა, ის ტექნიკა, რომლის ხმარებაც კონფლიქტის ზონაში აკრძალულია. სამშვიდობოებს ასეთი იარაღი არ აქვთ. როგორც ცნობილია, თბილისი რუს სამშვიდობოებს სდებს ბრალს, რომ მძიმე ტექნიკის გამოყენებით ცხრილავენ ქართულ სოფლებს,"** – წერს რუსული საინფორმაციო საშუალება.

ანალიტიკურ სტატიას აქვეყნებს "რადნაია გაზეტა", სადაც ავტორი ცდილობს, ახსნა მოუძებნოს როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის ქმედებებს ცხინვალის კონფლიქტთან მიმართებაში.

**"ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კვლავ სროლებია. შთაბეჭდილება იქმნება, რომ რუსეთ-საქართველოს სიტყვიერმა შეტაკებებმა შესაძლოა, სიტუაცია ფართო შეიარაღებულ ომამდე მიიყვანოს, მაგრამ ეს ასე არ მოხდება და ამას რამდენიმე ახსნა აქვს.**

**პირველ რიგში, მთელ კავკასიაში დესტაბილიზაცია ხელს არ აძლევს არც რუსეთს და არც დასავლეთს. რუსეთი თავისი შიდა პრობლემის მოგვარებით არის დაკავებული. მეორეც, საქართველოში კონფლიქტის დაწყება საფრთხეს შეუქმნის დასავლეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობას. პრინციპში, საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის და დასავლეთის პოზიცია ერთნაირია."**

როგორც მოსალოდნელია, ბრიტანული და ამერიკული პრესა მეტად ობიექტურია, ისინი ვითარების ობიექტური შეფასებისკენ მიილტვიან და ამისთვის მოქიშპე მხარეების პოზიციებს შეულამაზებლად აფასებენ.

აი, ბრიტანული ობიექტურობის მაგალითი – "თაიმსი"-ს გუშინ გამოქვეყნებული სტატია "სამხრეთ ოსეთს საომარი შეტაკებები არყევს".

ავტორი სებასტიან სმიტი განვითარებულ მოვლენებს მონაწილე ყველა მხარის პოზიციას ყოველგვარი შელამაზების გარეშე აშუქებს.

"ორივე მხარე – ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ მომზადებული ქართველი სამხედროები და, როგორც ამტკიცებენ, რუსი ინსტრუქტორების მიერ მომზადებული ოსი ბოევიკები – ერთმანეთს ბრალს სდებს პირველად ცეცხლის გახსნაში.

საქართველოს ოფიციალური პირები ამბობენ, რომ ქართულ სოფლებში სამი ადამიანი მოკლეს, ერთი ქალი კი დაჭრილია. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების თქმით, მათი მხრიდან 26 ადამიანია დაჭრილი".

მთელი სტატია იგივე სტილით ვითარდება.

ამერიკული "In The National Interest" წერს:

**"მაშინ, როდესაც კავკასიაში კრიზისის კულმინაცია ახლოვდება, ამერიკის შეერთებული შტატები მოულოდნელად აცხადებს, რომ წლის ბოლოსთვის, საქართველოს სპეცნაზს მილიონნახევარი აშშ დოლარის ღირებულების უახლესი შეიარაღება გადაეცემა. ეს, თავის მხრივ, გვაფიქრებინებს, რომ მიხეილ სააკაშვილი შტატების აშკარა მხარდაჭერით სარგებლობს, და რასაც ის აკეთებს, სავსებით ჯდება ამერიკის პოლიტიკაში."**

დაბოლოს, ჩემი მხრიდანაც მინდოდა მეთქვა: მართალია, მსოფლიო საინფორმაციო გიგანტები ცხინვალის კონფლიქტის ანალიზს დიდ დროს უთმობენ, მაგრამ ეს მათთვის მხოლოდ რიგითი ამბავია. მტკივნეულად კი ამ საკითხს მხოლოდ ქართველები თუ აღიქვამენ. საქართველოს შიდა პრობლემის მოგვარებაც ხომ მარტოდმარტო ჩვენი ხელისუფლების ხელშია.

# საბიუჯეტო ცვლილებები დამტკიცებულია

*სამაჩაბლოში განვითარებულმა მოვლენებმა პოლიტიკური აქცენტები საქართველოს ბიუჯეტის განხილვისგან გადაანაცვლა. შესაბამისად, პარლამენტმა, რომლის დღის წესრიგის მთავარი თემა საბიუჯეტო ცვლილებების განხილვა გახლდათ, პრემიერ-მინისტრის გარეშე, საკმაოდ წყნარად წარიმართა. გუშინ, საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომამ, 137 ხმით სამის წინააღმდეგ, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები დაამტკიცა.*

თამარ ხორბალაძე

ამას წინ უძღოდა ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განმარტებები იმასთან დაკავშირებით, რომ შენიშვნები, რომელიც არსებობდა, ნაწილობრივ გათვალისწინებულია. რაც შეეხება მიწისძვრით დაზარალებულთათვის გათვალისწინებული თანხების გაზრდას, ნოღაიდელმა აღნიშნა, რომ ამის შესაძლებლობა ბიუჯეტს ჯერჯერობით არ გააჩნია, ისევე როგორც არ არსებობს სახსრები "თბილტრანსის" მძღოლების შიდა ვალის დასაფარად. მინისტრის თქმით, აღნიშნული პრობლემები ადგილობრივმა ბიუჯეტებმა უნდა მოაგვარონ.

რაც შეეხება 1989 წლის 9 აპრილს მოწამლულთათვის გათვალისწინებულ თანხებს, როგორც ნოღაიდელმა აღნიშნა, საჭირო ხარჯების დათვლა გრძელდება და, ბიუჯეტში ფინანსური რესურსების გაჩენის შემთხვევაში, ეს პრობლემა გადაწყდება.

პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატმა ბეჟან ბუცხრიკიძემ უმწეო მოსახლეობის დამატებითი სამედიცინო მომსახურებისათვის ხარჯების გაზრდა მოითხოვა.

**"საპენსიო ფონდში მიმდინარეობს პენსიონერთა და სოციალურად დაუცველი სხვა ფენების რეგისტრაცია, ფონდისათვის გამოყოფილ თანხებში შეიძლება გაჩნდეს დაზოგილი სახსრები, რომლებიც უმწეოთა დამატებითი სამედიცინო მომსახურებისათვის უნდა მიიმართოს,"** - განაცხადა საპასუხოდ ნოღაიდელმა.

ფინანსთა მინისტრის აზრით, ბიუჯეტის კანონში ამგვარი მოთხოვნის ჩადება გაუმართლებელია, რადგან დამატებითი თავისუფალი სახსრების გაჩენის შემთხვევაში მათი დახარჯვის გადაწყვეტილება პარლამენტმა უნდა მიიღოს.

გუშინ პარლამენტში, ქვეყანაში გახშირებული სტიქიური უბედურებისგან გამომდინარე, ამ მიმართულებით დამატებითი სახსრების გამოყოფის შესახებაც დაისვა კითხვები.

მაგალითად, ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი მამუკა კაციტაძე გუშინ ონის რაიონში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთათვის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გათვალისწინებას მოითხოვდა.

მამუკა კაციტაძემ განაცხადა, რომ ონის რაიონს წარმოუდგენელი კატასტროფა დაატყდა თავს. წყალდიდობის გამო მოშლილია კომუნიკაციები, რამდენიმე სოფელი რაიონულ ცენტრს ვერ უკავშირდება. **"ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, 400 დამსვენებელი შოვში ჩარჩა. მართალია, პანიკა არ არსებობს, მაგრამ აუცილებელია, ბიუჯეტმა ოპერატიული ხარჯები გასწიოს,"** - განაცხადა კაციტაძემ.

ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით მთავრობა უკვე მუშაობს. ბიუჯეტში ამგვარი გადაუდებელი ოპერატიული სამუშაოებისთვის, საერთო ჯამში, 5 მლნ. ლარია გათვალისწინებული, საიდანაც ონში თანხები გადაირიცხება.

**"ფინანსური პრობლემები არ შეიქმნება. აღდგენითი სამუშაოები უკვე დაწყებულია და მაქსიმალურად სწრაფად მიმდინარეობს,"** - დასძინა ფინანსთა მინისტრმა.

გუშინ კვლავ გაიხსენეს "თბილავიამშენის" თემაც:

პარლამენტარი ლევან გაჩეჩილაძე ბიუჯეტის საშემოსავლო პარამეტრიდან "თბილავიამშენის" პრივატიზაციიდან დაგეგმილი შემოსავლის ამოღებას მოითხოვდა. როგორც გაჩეჩილაძემ განაცხადა, **"ბიუჯეტში არ უნდა იყოს ასახული "თბილავიამშენის" პრივატიზაციიდან დაგეგმილი შემოსავალი, რადგან ეს ობიექტი გამჭვირვალედ არ იყიდება".**

**"როცა პრივატიზაციის პროცესი გამჭვირვალედ წარიმართება და გვეცოდინება, კონკრეტულად როგორი სქემით ხდება "თბილავიამშენის" პრივატიზაცია, ბიუჯეტში მისგან მიღებული შემოსავალი მაშინ უნდა გავითვალისწინოთ,"** - განაცხადა გაჩეჩილაძემ და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობასთან ერთად, საპარლამენტო უმრავლესობას დააკისრა.

სხდომაზე მყოფი ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განმარტებით, საშემოსავლო პარამეტრიდან "თბილავიამშენის" პრივატიზაციიდან დაგეგმილი შემოსავლის ამოღება ვერ მოხერხდება, რადგან აღნიშნული შემოსავლები ხარჯებში უკვე მთლიანად გადანაწილებულია.

გაჩეჩილაძე ფინანსთა მინისტრს არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ხარჯების გაწევა პრივატიზაციიდან მიღებულ შემოსავალზე არ არის დამოკიდებული, რადგან პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლით საგარეო ვალების მომსახურება იგეგმება. **"თბილავიამშენი" ბუნდოვანი სქემით იყიდება. ნუ შეიყვანთ მოსახლეობას და პარლამენტს შეცდომაში და ნუ ეცდებით, სოციალური ხარჯები პრივატიზაციის აუცილებლობას მიაწეროთ,"** - დასძინა მან.

საბოლოო ჯამში, პარლამენტმა ბიუჯეტის ცვლილებები, როგორც მოსალოდნელი იყო, უპრობლემოდ დაამტკიცა. მიღებული კანონის მიხედვით, ბიუჯეტის საშემოსავლო პარამეტრი 223 მლნ. ლარით გაიზარდა. აქედან დაგეგმილია 85,5 მლნ. ლარის ოდენობის დამატებითი საგადასახადო შემოსავლის მობილიზება. იგეგმება 125,7 მლნ. ლარის არასაგადასახადო შემოსავლების აკრეფა, საიდანაც 77 მლნ. ლარი პროკურატურის მიერ მობილიზებული თანხებია. "თბილავიამშენის" პრივიტიზაციიდან მთავრობა 61 მლნ. ლარის მიღებას გეგმავს.

წარმოქმნილი ჭარბი შემოსავლის პირობებში გაიზარდა ბიუჯეტიდან გასაწევი თანხების მოცულობაც. დამატებით მობილიზებული თანხებით დაგეგმილია 97 მლნ. ლარის დავალიანებების გასტუმრება, აქედან, საპენსიო დავალიანებები - 37 მლნ. ლარი, პედაგოგთა ერთი თვის სახელფასო დავალიანება - 12 მლნ. ლარი, განათლებისა და მეცნიერების სისტემაში ორი თვის სახელფასო დავალიანება - 5 მლნ. ლარი, ჯანდაცვის პროგრამების დავალიანება - 7 მლნ. ლარი, ენერგოკომპანიების მიმართ არსებული დავალიანება - 15 მლნ. ლარი, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საწევროს დავალიანება - 3,7 მლნ. ლარია. ჭარბი შემოსავლის პირობებში დამატებით თანხებს მიიღებენ შინაგან საქმეთა სამინისტრო (59,4 მლნ. ლარს), თავდაცვის სამინისტრო (24,6 მლნ. ლარს), საპენსიო ფონდი (37 მლნ. ლარს), საგზაო ფონდი (20 მლნ. ლარს). იგეგმება ენერგეტიკის სუბსიდირება 27,7 მლნ. ლარით. მეცნიერებათა აკადემიაში გასტუმრებული იქნება ორი თვის სახელფასო დავალიანება, სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლისათვის გამოყოფილ თანხებს კი ბიუჯეტში 1,5 მლნ. ლარი დაემატება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" 13 აგვისტოს თბილისში, ე. წ. ელიავას ბაზრობის ტერიტორიაზე კიდევ ერთი ახალი ფილიალი გახსნა.

ამ ადგილას ბანკის ფუნქციონირება განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის. ბანკი მომხმარებელს მომსახურებას მიკროსესხების მიმართულებით გაუწევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** ბათუმის საოლქო საგადასახადო ინსპექცია საქართველოს საგადასახადო სისტემის ერთიან ქსელში ჩაერთო. როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტში აცნობეს, აღნიშნულმა დეპარტამენტმა ბათუმის საოლქო საგადასახადო ინსპექციას 10 ახალი კომპიუტერი "პენტიუმ-4'', ამდენივე მუდმივი დენის წყარო და 5 პრინტერი გადასცა. **პრაიმ-ნიუსი**


## "ეი-ი-ეს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**16 აგვისტოს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**

ჯანაშიას, შანიძის, ტატიშვილის, ხორავას, ყაზბეგის ქუჩების მაცხოვრებლებს.


# ორი ავარია სამ დღეში

*ბოლო სამი დღის განმავლობაში 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "იმერეთი" ავარიულად უკვე მეორედ გამოირთო. ავარიამ ორჯერვე ქვეყნის ელექტროსისტემის მთლიანი პარალიზება გამოიწვია. ავარიის გამო, გუშინ მთელ საქართველოს ელექტროენერგიის მიწოდება რამდენიმე საათის განმავლობაში შეუწყდა.*

სოფო თბილელი

გუშინ, დაახლოებით 13:15 საათზე, ავარიულად გამოირთო მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი "იმერეთი". "საქართველოს ელექტროსისტემაში" არ გამორიცხავდნენ, რომ ავარიის მიზეზი შესაძლოა, უამინდობა ყოფილიყო. თუმცა, ზუსტი მიზეზი უცნობია. ელექტროენერგია რამდენიმე საათის განმავლობაში არ მიეწოდებოდა არც სასიცოცხლო ობიექტებს. ენერგოსისტემაში მომხდარმა ავარიამ თბილისის მეტროპოლიტენის პარალიზებაც გამოიწვია. მეტროპოლიტენის სამმართველოს სადისპეტჩეროს ინფორმაციით, ელექტროენერგიის გათიშვის შედეგად ექვსი მატარებელი გვირაბში დარჩა. მეტროს გვირაბებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა მგზავრების ევაკუაცია.

ცენტრალურმა სადისპეტჩერომ სისტემის აღდგენა და სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებისათვის ელექტროენერგიის მიწოდება მხოლოდ ავარიიდან საათნახევრის შემდეგ შეძლო. თუმცა, მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება მხოლოდ დამატებითი სიმძლავრეების მიღების, კერძოდ, „ქართლი 2"-ის ჩართვის შედეგად გახდა შესაძლებელი. მთლიანად სისტემის აღდგენა მხოლოდ სამ საათში მოხერხდა.

სადისპეტჩეროში განაცხადეს, რომ „იმერეთის" გამორთვამ ავტომატურად ენგურჰესში აგრეგატების გაჩერებაც გამოიწვია. „იმერეთის" გადამცემ ხაზზე მომხდარ ავარიას გუშინვე საგანგებო ბრიფინგით გამოეხმაურა "სახელმწიფო ელექტროსისტემის" დისპეტჩერიზაციის აღმასრულებელი დირექტორი ჟუან ლა გრანჟი. მისი თქმით, გადამცემ ხაზზე მომხდარმა ავარიამ სისტემა „ნულზე" დასვა და ენერგოსისტემაში მომხდარი ავარიის ლიკვიდაცია "ენგურჰესზე" არსებული ტექნიკური პრობლემის გამო გაჭიანურდა. ავარიის კონკრეტული მიზეზები "სახელმწიფო ელექტროსისტემის" დისპეტჩერიზაციის აღმასრულებელი დირექტორისთვისაც უცნობი იყო. მისი თქმით, მიზეზების დასადგენად, "საქრუსენერგოს" დავალებით, ადგილზე გაგზავნილია სპეციალური ჯგუფი

გუშინ "იმერეთზე" მომხდარი ავარია ბოლო სამი დღის განმავლობაში რიგით მეორეა. 10 აგვისტოს, 21.00 საათზე "იმერეთის" გადამცემი ხაზი ძლიერი ქარიშხლისა და ჭექა-ქუხილის გამო გამოირთო. მაშინ მისი ჩართვა ავარიიდან მხოლოდ საათსა და 30 წუთში მოხერხდა.

მიმდინარე კვირის განმავლობაში მომხდარი ავარიების შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, რომ დასავლეთის და აღმოსავლეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი მეორე ალტერნატიული ხაზის მშენებლობამდე საქართველოს ენერგოსისტემა მსგავსი ავარიებისაგან დაზღვეული არ არის. **"ნებისმიერი ძლიერი ქარის ან სხვა არახელსაყრელი კლიმატური პირობების დროს "იმერეთის" ავარიულ გამორთვას უნდა ველოდოთ, ამიტომ დღის წესრიგში დგას ალტერნატიული მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის საკითხი, რომელიც დონორთა მიერ ენერგოსექტორისათვის გამოყოფილი თანხებით უნდა დაფინანსდეს,"** - განაცხადა გილაურმა. მისივე თქმით, 500-კილოვოტლიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის - „იმერეთის" ალტერნატიული გადამცემის აშენებისათვის 105 მილიონი დოლარია საჭიროა. ენერგეტიკის მინისტრის ინფორმაციით, საქართველოსთვის გამოყოფილი მილიარდი დოლარიდან ენერგეტიკისათვის, სავარაუდოდ, 300 მილიონი დოლარი იქნება გათვალისწინებული. აქედან, „ენგურჰესის" რეაბილიტაციის დასრულებას დამატებით 50 მილიონი დოლარი სჭირდება, „საქართველოს სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" აღრიცხვიანობის მოწესრიგებას – 100 მილიონი დოლარი, „ვარდნილჰესების" რეაბილიტაციას – 50 მილიონი დოლარი, იმერეთის ჰესების აღდგენას კი – 17-20 მილიონი დოლარი. დონორების საბოლოო გადაწყვეტილება სექტემბერ-ოქტომბერში გახდება ცნობილი.

გუშინდელი ავარია ენერგეტიკის მინისტრმა უამინდობას, კერძოდ, ძლიერ წვიმებს დაუკავშირა. მისი განცხადებით, ჭარბი ენერგორესურსების წყალობით, 14 აგვისტოდან, ორი კვირის განმავლობაში, ქვეყნის მასშტაბით 24-საათიანი ელქტრომომარაგება დაიწყება. სასიამოვნო სიახლის გავრცელებასთან ერთად გილაურმა მოსახლეობას მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდისაკენ მოუწოდა.

მინისტრის თქმით, მომავალი ზამთრის სეზონისათვის ენერგობალანსი უკვე დამტკიცებულია და ყველა გადამხდელი მომხმარებელი ზამთრის განმავლობაში 24-საათიანი ელექტროენერგიით მომარაგდება, ხოლო არგადამხდელებისთვის 2-საათიანი ელქტრომომარაგება დაწესდება.


ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში

მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან

გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში

უკვე წლიური 17%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე



*პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში*

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: | 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ქავთარაძის გამზ. 58

# ისრაელმა შესაძლოა, გოლანის მაღლობები დატოვოს

*ისრაელის არმიის მაღალჩინოსნის განცხადებით, ისრაელმა შესაძლოა, გოლანის მაღლობებიდან თავისი ჯარი გამოიყვანოს, რაც სირიასთან მომავალი სამშვიდობო ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.*



*გეგმა ღაზას სექტორიდან შეიარაღებული ძალებისა და მოსახლეობის სრულ გაყვანას და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე არსებული ასზე მეტი დასახლებიდან ოთხის დახურვას გულისხმობს.*

ისრაელის არმიის მეთაურმა, გენერალმა მოშე იაალონმა გაზეთ "ედიოტ ახრონოტ"-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს ნაბიჯი ისრაელის უსაფრთხოებას საფრთხის ქვეშ არ დააყენებს.

გოლანის მაღლობები სირიას 1967 წელს ჩამოერთვა. ებრაელი სამხედროები ყოველთვის აცხადებდნენ, რომ მაღლობები მათ "უსაფრთხოების ბუფერის" როლში სჭირდებოდათ.

თუმცა, გენერალმა იაალონმა აღნიშნა, რომ არმიას ისრაელის საზღვრების დაცვა იმ შემთხვევაშიც კი შეეძლებათ, თუ პოლიტიკური გადაწყვეტილებით, სირიას ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონი გადაეცემა.

2003 წელს სირიამ ისრაელს გოლანის მაღლობებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების განახლება შესთავაზა. მოლაპარაკებები 2000 წელს ჩიხში მოექცა, როდესაც ისრაელის მთავრობამ, რომელსაც მაშინ ეჰუდ ბარაქი ხელმძღვანელობდა, გოლანის მაღლობების სანაცვლოდ, ტივერიადის ტბის გასწვრივ არსებული სტრატეგიული ზოლი მოითხოვა. დამასკომ ეს წინადადება უარყო.

ამავე დროს, ხუთშაბათს ისრაელის ვიცე-პრემიერმა ეჰუდ ოლმერტმა განაცხადა, რომ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს დატოვება, სავარაუდოდ, მარტო ოთხ ებრაულ დასახლებას არ შეეხება, რომლებიც არიელ შარონის გეგმის მიხედვით უნდა იქნას ლიკვიდირებული.

ოლმერტის თქმით, ისრაელს, თუ მას თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ დარჩენა სურს, ზოგიერთი რაიონის დატოვების გარდა, სხვა აღარაფერი დარჩენია.

არსებული გეგმა ღაზას სექტორიდან შეიარაღებული ძალებისა და მოსახლეობის სრულ გაყვანას და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე არსებული ასზე მეტი დასახლებიდან ოთხის დახურვას გულისხმობს.

როგორც კორესპონდენტები აღნიშნავენ, ეჰუდ ოლმერტს პრემიერმინისტრთან საკმაოდ ახლო ურთიერთობები აქვს და ზოგჯერ, მისივე ნებართვით, შარონის ამ თუ იმ იდეას ახმიანებს. თუმცა, შარონის კანცელარიის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელთა სახელებიც არ სახელდება, აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრი ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოადგილეს არ ეთანხმება.

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და ღაზას სექტორში არსებული დასახლებები უკანონოა, თუმცა ისრაელი ამას სადავოდ მიიჩნევს.

შარონის მოწოდების თანახმად, მომავალ წელს ღაზას სექტორიდან 7 ათასი ადამიანისა და შეიარაღებული ძალების გაყვანა უნდა დასრულდეს. თუმცა, დასავლეთ სანაპიროსთან დაკავშირებული გეგმები ასეთი ყოვლისმომცველი არ გახლავთ.

ისრაელი ღაზას სექტორში საზღვრების, სანაპირო ზოლისა და საჰაერო სივრცის კონტროლის უფლებას შეინარჩუნებს. ეჰუდ ოლმერტის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატებიც კი, რომელიც ისრაელის, პრაქტიკულად, ერთადერთ მეგობრად მიიჩნევა, თითქმის მთელი დასავლეთ სანაპიროდან ისრაელის წასვლას მოითხოვს.

მან ასევე განაცხადა, რომ ისრაელის მიერ კონტროლირებული ტერიტორიების შემცირება გამოიწვევს იმას, რომ ებრაულ სახელმწიფოში ებრაელები უმრავლესობაში იქნებიან.

***ბი ბი სი***

# ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია „ჩრდილიდან" გამოდის

ხუთშაბათს ჩრდილოეთ ესპანეთის ზღვისპირა ქალაქებში სანტანდერსა და ხიხონში აფეთქებები გაისმა, - იტყობინება "როიტერსი".

აფეთქებების დრო თითქმის ემთხვევა ერთმანეთს, სულ რამდენიმე წუთია განსხვავება. ეს ქალაქები კი ერთმანეთისგან 130 კილომეტრით არის დაშორებული.

სანტანდერში ასაფეთქებელი მოწყობილობები ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ ადგილას, ადგილობრივი მთავრობის შენობის მახლობლად იყო დამონტაჟებული. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აფეთქებას ძლიერი ნგრევა არ გამოუწვევია და მხოლოდ ერთი ადამიანი დაშავდა.

ამ ამბის გასვლიდან 10 წუთის შემდეგ, აფეთქება გაისმა ხიხონის სანაპიროზეც, ამ შემთხვევაშიც ხალხმრავალი ადგილი იყო შერჩეული. დაზარალებული აქაც მხოლოდ ერთია.

აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში, აფეთქების წინ ანონიმური ზარები გაისმა, სადაც ბასკური ტერორისტული ორგანიზაციის "ეტა"-ს მიერ ორგანიზებულ "მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ განცხადება კეთდებოდა. მართალია, ჯერჯერობით ესპანურ პოლიციას "ეტა"-ს კავშირზე აღნიშნულ აფეთქებებთან მტკიცებულებები არ გააჩნია, მაგრამ ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ "ეტა"-ს ორგანიზებულ აქციასთან გვაქვს საქმე.

ბასკური "ეტა" ევროპაში მოქმედი ექსტრემისტული ორგანიზაციებიდან ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონეა. პირველად მის შესახებ 1968 წელს ალაპარაკდნენ. მას შემდეგ ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ტერაქტებს 850 ადამიანი შეეწირა. "ეტას" ხელწერა იმითაც გამოირჩევა, რომ ისინი ბოლო დროს ტერორისტულ აქტებს უმთავრესად ესპანეთის საკურორტო ზონებში აწყობენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში ბასკები მსხვერპლიან აქციებს ერიდებიან. ბოლო ერთი წლის მანძილზე, ბასკი ექსტრემისტები ჩრდილში იყვნენ მოქცეულები. ორგანიზაციის პასიურობა, განსაკუთრებით, 11 მარტის მადრიდის ტერაქტის შემდეგ შეიმჩნევა.

## ორი სიტყვით

**დიდი ბრიტანეთი.** ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის "მი-5"-ის ყოფილი ხელმძღვანელი სტივენ ლენდერი ახალ ეროვნულ სამართალდამცავ ორგანოს ჩაუდგება სათავეში, რომელიც ამერიკული ფედერალური დაზვერვის ბიუროს ანალოგი იქნება. ლენდერი "მი-5"-ს ექვსი წლის განმალობაში ხელმძღვანელობდა, 2002 წლამდე. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა დევიდ ბლანკეტმა განაცხადა, "ბრიტანული ფედერალური დაზვერვის ბიურო"-ს ფუნქცია ნარკოტიკებით ვაჭრობის, ადამიანებით ვაჭრობის, ბავშვების პორნოგრაფიის გამავრცელებლებისა და მსხვილი თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა იქნება. ახალი უწყება, სადაც დაახლოებით 5 ათასი ადამიანი იმუშავებს, ფართომასშტაბიანი უფლებამოსილებით იქნება აღჭურვილი. ბლანკეტის განცხადებით, "ორგანიზებული დანაშაულის ზრდასთან ერთად დამნაშავეთა მოქმედება უფრო მოქნილი ხდება და საჭიროა პარალელურად ჩვენი რესურსების დახვეწაც". **როიტერი**

■ ■ ■

**ჩინეთი.** ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტაიფუნ "რანანიმის" მსხვერპლთა რაოდენობამ, უკანასკნელი მონაცემებით, 115 ადამიანს მიაღწია. გარდა ამისა, არიან დაშავებულნიც, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 2 000-ია. სტიქიამ ყველაზე მეტად ჩჟენძიანის პროვინციის ქალაქი ვენლინი დააზარალა. დაზარალებულთა გადასარჩენად და დახმარების აღმოსაჩენად ჩასულ მაშველთა ჯგუფებს სტიქიური უბედურების ზონაში შემზარავი სურათი დახვდათ. განადგურებულია ათიათასობით სახლი და სხვა შენობა-ნაგებობები, განადგურებულია სატელეფონო ხაზები და ელექტროსადენები. ჯერ ბოლომდე არაა შეფასებული ზარალის ოდენობა, თუმცა ამ დროისთვის იგი უკვე 2 მლრდ აშშ დოლარს აღწევს. დიდი რაოდენობით ადამიანური მსხვერპლის თავიდან აცილება სტიქიური უბედურების ზონიდან მხოლოდ მოსახლეობის (400 000 კაცი) დროული ევაკუაციის წყალობით გახდა შესაძლებელი. ეს ყველაზე მასშტაბური ტაიფუნია, რომელიც თავს დაატყდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიმდინარე წელს. **იტარ-ტასი**

# ყინულის სასახლე ცხელ უდაბნოში

*საფარმურატ ნიაზოვის, იგივე თურქმენბაშის ახირებები დიდი ხანია, აღარავის უკვირს, თუმცა მისი ბოლო ჩანაფიქრისთვის "უცნაურის" ეპითეტით შემკობაც კი რბილად ნათქვამი იქნება. ის ნამდვილად ცდება ლოგიკისა და საღი აზრის ფარგლებს.*

გინახავთ ოდესმე ყინულის სასახლე უდაბნოში? ალბათ, არასდროს... ეს უფრო ბავშვური ოცნებაა, ვიდრე რეალობა – ისეთივე აბსურდად ჟღერს, როგორც ცხელი თოვლი ან მშრალი წყალი. მაგრამ, აი, თურქმენბაშის გადაწყვეტილებით უდაბნოს თაკარა მზის ქვეშ ყინულის სასახლე აღიმართება. რას იზამ, თუკი ხელისუფალს ასე სურს, უნდა შესრულდეს კიდეც..... "მოდით, ყინულის სასახლე ავაშენოთ, - უზარმაზარი და დიდებული, რომელიც ათას კაცს დაიტევს," - არ ზღუდავს ფანტაზიას "თურქმენთა მამა" ტელევიზიით გამოსვლისას. და თუ ცენტრალური აზიის ნავთობით მდიდარი ქვეყნის უახლოეს ისტორიას გადავხედავთ, გამორიცხული არ არის, რომ ეს პროექტი განხორციელდეს კიდეც.

საუბარია აშხაბადის მიმდებარე კოპეტდაღის მთისწინეთში ყინულის სასახლის აგებაზე, სადაც ქალაქელები ფუნიკულიორით ავლენ. ნიაზოვი გეგმებსაც ამხელს: "ჩვენი ბავშვები იქ თხილამურებით სრიალს ისწავლიან, მოზრდილები კი კაფე-რესტორნებში გაერთობით."

საერთოდ, ნიაზოვი ცნობილია ექსტრავაგანტული სამშენებლო პროექტებით. თურქმენეთში ამჟამად მსოფლიოში უდიდეს მეჩეთს აშენებენ. ქვეყანა არც სხვადასხვა სახის სასახლეების დეფიციტს უჩივის. თურქმენბაშის სიყვარული გრანდიოზული კონსტრუქციებისადმი საყოველთაოდ ცნობილია. თუმცა, ამჯერად საქმე უფრო სერიოზულადაა. თურქმენეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი უდაბნოს წარმოადგენს, განსაკუთრებული ცხელი კლიმატით. მართალია, ყინულის სასახლის მშენებლობის ადგილი, კოპეტდაღის მთები საკმაოდ დიდ სიმაღლეზეა ზღვის დონიდან, მაგრამ მაინც გაუგებარია, როგორ აპირებენ თურქმენები ზაფხულის მცხუნვარე მზის სხივებისაგან ყინულის დაცვას.


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრო აცხადებს

## კონკურსს სახელწოდებით "მომავალი იწყება დღეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწყებს სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამას, რომლის მიზანია საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ჩართვა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. პროგრამით გათვალისწინებულია:

საქართველოს არაქართულენოვანი სკოლებისთვის ქართული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი სასკოლო სახელმძღვანელოების მიწოდება.

დღემდე საქართველოს არაქართულენოვანი სკოლები სარგებლობენ აზერბაიჯანში, სომხეთსა და რუსეთში გამოცემული სახელმძღვანელოებით, რომელთა შინაარსი ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება საქართველოს განათლების სისტემაში დამტკიცებულ სასწავლო პროგრამასა და გეგმას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეტაპობრივად დაიწყებს არაქართულენოვანი სკოლებისთვის ქართული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი სასკოლო სახელმძღვანელოების მიწოდებას. წელს სამინისტრომ უკვე შესიყიდა 200 000 ლარის ღირებულების ქართული ენის (შესაბამის ენაზე ადაპტაციით), ისტორიის და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები ეროვნული უმცირესობების ენებზე, რომლებიც აგვისტოს მიწურულიდან ამ სკოლებს მიეწოდებათ 100%-ით, 1-11 კლასელებისთვის. ყოველწლიურად ეს პროცესი განვითარდება იქამდე, სანამ ყველა საგანში არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები მიიღებენ მათ მშობლიურ ენაზე დაბეჭდილ, მაგრამ ქართული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამის, სახელმძღვანელოებს.

სასკოლო პარტნიორობის პროექტის ამოქმედება.

პროექტის მიზანია საქართველოში ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლების დაახლოვება-დამეგობრება. უკვე გამოცხადებულია საგრანტო კონკურსი. ერთწლიანი გრანტის ღირებულება 100 000 ლარია. საპროექტო განაცხადების შემოტანის უფლება 27 აგვისტომდე აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ კოალიციებს, სკოლებს. საგრანტო კონკურსში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს აქტივობა, რომელიც მიმართული იქნება ქართული და სომხური, ქართული და აზერბაიჯანული, ქართული და ოსური (სულ სამი წყვილი, დასაშვებია ერთი წყვილის დამატებაც) სკოლების და დასაახლოვებლად.

უმნიშვნელოვანესი აქტივობაა საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არსებულ საშუალო სკოლებში ქართული ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელთა ვაკანტურ ადგილებზე დღევანდელი კონკურსის გამოცხადება.

საკონკურსო განაცხადები მიიღება 3 სექტემბრამდე. კონკურსი ჩატარდება 7-8 სექტემბერს, გასაუბრების ფორმით. კონკურსში დაიშვებიან მასწავლებლები, რომლებიც არ ცხოვრობენ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. კონკურსში გამარჯვებულ მასწავლებლებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაუწევს რეკომენდაციას ვაკანტური ადგილების დასაკავებლად. კონკურსში გამარჯვებულები მიიღებენ ანაზღაურების პაკეტს, რომლის შემადგენლობაშია: 300 ლარი ხელფასის სახით, 100 ლარი ბინის ქირის ანაზღაურება და 30-დან 100 ლარამდე (დაშორების მიხედვით) საგზაო ხარჯების ანაზღაურება.

***ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების შესარჩევი კონკურსის -
"მომავალი იწყება დღეს" ჩატარების დებულება***

**1. კონკურსის ორგანიზება**

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატურების შესარჩევი კონკურსს ატარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 12 აგვისტოს N144 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისია ამ ბრძანებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

**2. კონკურსში მონაწილეობის კანდიდატები**

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება შესაბამისი პედაგოგიური კვალიფიკაციით და რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ არის ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

**3. კანდიდატთა მიერ წარსადგენი დოკუმენტები**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) საკონკურსო განაცხადი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემუშავებული ფორმის მიხედვით)

ბ) პირადობის დამადასტურებელი და რეგისტრაციის მოწმობის ასლები;

გ)შესაბამისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ავტობიოგრაფია;

ე) 1 ფოტოსურათი;

ვ) სამოტივაციო წერილი (კანდიდატის კონკურსში მონაწილეობის მოტივები, მიზნები და ამოცანები);

ზ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) პროფესიული გადამზადების და/ან შესაბამისი კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი მოწმობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) არაუმეტეს 2 რეკომენდაციისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**4. საკონკურსო დოკუმენტების წარდგენის ვადა**

საკონკურსო განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის მიღება წარმოებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 52) 2004 წლის 3 სექტემბრამდე.

**5. კანდიდატების შერჩევა წარმოდგენილ დოკუმენტაციის საფუძველზე**

საკონკურსო კომისია 2004 წლის 5 სექტემბერს გამოაცხადებს იმ კანდიდატების ნუსხას, რომელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დებულების მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

**6. კანდიდატების შერჩევა გასაუბრების საფუძველზე**

1. მე-5 პუნქტის საფუძველზე საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას 2004 წლის 7-8 სექტემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

2. გასაუბრებისას საკონკურსო კომისია შეაფასებს კანდიდატის პიროვნული თვისებებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან. კომისია ითვალისწინებს აგრეთვე კანდიდატის მოქალაქეობრივ შეგნებას, მის მიერ განხორციელებულ მოქალაქეობრივ აქტივობებს.

3. გასაუბრების შედეგები გამოცხადდება 2004 წლის 9 სექტემბერს.

**7. გასაუბრების გავლის შედეგები**

1. გასაუბრების შედეგად საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რეკომენდაციას გაუწევს შესაბამისი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების დირექტორების წინაშე.

2. ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების მიერ 1-ლი ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანდიდატების შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში ამ მასწავლებლებზე გავრცელდება "ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატურების შესარჩევი კონკურსის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 12 აგვისტოს N144 ბრძანებით გათვალისწინებული სახელფასო დანამატები და შეღავათები.

**8. კონკურსის შედეგების გასაჩივრება**

კონკურსის შედეგების გასაჩივრება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## "მომავალი იწყება დღეს"

*გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ოფიციალურად გამოაცხადა კონკურსი "მომავალი იწყება დღეს".*

დალი კუპრავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანია საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ჩართვა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ამ პროგრამით გათვალისწინებულია საქართველოს არაქართულენოვანი სკოლებისთვის ქართული საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი სასკოლო სახელმძღვანელოების მიწოდება. დღემდე არაქართულენოვანი სკოლები სარგებლობენ აზერბაიჯანში, სომხეთსა და რუსეთში გამოცემული სახელმძღვანელოებით, რომელთა შინაარსი, ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამება საქართველოს განათლების სისტემაში დამტკიცებულ სასწავლო პროგრამასა და გეგმას. წელს სამინისტრომ უკვე შეისყიდა 200 000 ლარის ღირებულების ქართული ენის (შესაბამის ენაზე ადაპტაციით), ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები, რომლებიც აგვისტოს მიწურულიდან ამ სკოლებს მიეწოდებათ. ეს პროცესი ყოველწლიურად განვითარდება იქამდე, ვიდრე არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები ყველა საგანში არ მიიღებენ მათ მშობლიურ ენაზე დაბეჭდილ, მაგრამ ქართული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამის სახელმძღვანელოებს.

სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის შემადგენელი ნაწილია სასკოლო პარტნიორობის პროექტის ამოქმედებაც. უკვე გამოცხადებულია საგრანტო კონკურსი და გამარჯვებულმა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ აქტივობა, რომელიც მიმართული იქნება ქართული და სომხური, ქართული და აზერბაიჯანული და ქართული და ოსური სკოლების დასაახლოებლად.

პროგრამის უმნიშვნელოვანესი აქტივობაა საქართველოს არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არსებულ საშუალო სკოლებში ქართული ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის პედაგოგების ვაკანტურ ადგილებზე კონკურსის გამოცხადება. კონკურსში გამარჯვებულ მასწავლებლებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაუწევს რეკომენდაციას ვაკანტური ადგილების დასაკავებლად. კონკურსში გამარჯვებულები მიიღებენ ანაზღაურების ხუთასლარიან პაკეტს (300 ლარი ხელფასი, ასი ლარი საცხოვრებელი და ასი-საგზაო ხარჯების ანაზღაურება). საკონკურსო განცხადებები მიიღება 3 სექტემბრამდე; კონკურსი ჩატარდება 7-8 სექტემბერს გასაუბრების ფორმით. კონკურსში დაიშვებიან მასწავლებლები, რომლებიც არ ცხოვრობენ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში.

დღეს კი განათლების და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია აჭარას ეწვევა - შუახევის, ხულოს, ქედის სკოლებს კომპიუტერებს და სასკოლო სახელმძღვანელოებს გადასცემს.

### შენიშვნა

გაზეთ "24 საათის" ამა წლის 11 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში - "მეტრო დიდუბის გვირაბი მოვაჭრეებს ველარ შეიფარებს" – ნახსენებ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თბილისის ქონების მართვის სამმართველოს 2002 წლის 28 მაისის 70 ბრძანებით მოწყობილ კონკურსზე ფიზიკური პირი არჩილ გელოვანი, მართლაც, გამოვცხადდი გამარჯვებულად და შპს თბილისის "მეტროპოლიტენის" ბალანსზე რიცხულ მეტროსადგურ "დიდუბის" მიწისქვეშა გასასვლელი იჯარით გადმომეცა. საიჯარო ხელშეკრულება 10 წლის ვადით გაფორმდა. ამის შემდეგ დამქირავებელთან ყოველთვიურად ფორმდება ქირავნობის ხელშეკრულება, სადაც კატეგორიულად აკრძალულია მალფუჭებადი პროდუქტით: ძეხვეულით, თევზეულით, ხილ-ბოსტნეულითა და პურით ვაჭრობა. რაც შეეხება სტატიაში ნახსენებ გარე მოვაჭრეებს, ისინი მოიჯარის იურისდიქციაში არ შედიან. არც ის არგუმენტია მისაღები, რომ მეტროს გვირაბი მოვაჭრეთა თავშესაფარია. არ ყოფილა შემთხვევა, მალფუჭებადი პროდუქტით მოვაჭრეეებს გვირაბისთვის შემოეფარებინოთ თავი. იქ დამატებითი ადგილი არც არის. მეტრო დიდუბის მიწისქვეშა გასასვლელი არ არის გარე ვაჭრობა - მას საგადასახადო ორგანოებში ბაზრობის სტატუსი აქვს მინიჭებული.

*არჩილ გელოვანი*

## როგორ აღვადგინოთ ავარიული სახლები მინიმალური ბიუჯეტით

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის მთავრობა, რამდენიმე წელიწადია, თავს იმტვრევს იმაზე ფიქრით, ქალაქის მწირი ბიუჯეტით ათასობით ავარიული სახლი ისე მაინც გაამაგროს, რომ მობინადრეებს თავზე არ ჩამოექცეთ. ამ დროს კი საკრებულოს ფრაქცია "სამართლიანობის" თავმჯდომარე ჯუმბერ შენგელია აცხადებს, - საკრებულოს უმრავლესობა ხელს რომ არ მიშლიდეს, ჩვენი ფრაქციის მიერ შემუშავებული პროექტი ავარიული სახლების პრობლემას მინიმალური საბიუჯეტო სახსრებითაც მოაგვარებდაო. "სამართლიანობის" იდეას საკრებულოს ფრაქციათა უმრავლესობა და ავარიული ბინების სარეაბილიტაციო ცენტრის ხელმძღვანელიც იწონებს.*



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ქალაქის მთავრობას საშუალება ეძლევა ავარიულ სახლებში მცხოვრებთა საბინაო პირობები გააუმჯობესოს.*

ფრაქცია "სამართლიანობის" მიერ შემუშავებული პროექტი, "ადგილობრივი საკუთრების საბინაო ფონდის შექმნისა და ავარიული საცხოვრებელი ფონდის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ," ამა წლის ივლისის დასაწყისში, ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცებამდე წარედგინა განსახილველად საკრებულოს. უმრავლესობას პროექტის მიმართ პრეტენზიები აღმოაჩნდა და მისი მიღება სამომავლოდ გადადო. როგორც "სამართლიანობის" თავმჯდომარე ჯუმბერ შენგელია აცხადებს, პროექტი მიზანმიმართულად დაიბლოკა. **"არ მოსწონთ, რომ ჩვენი ფრაქცია კარგად მუშაობს, თორემ სხვა რა მიზეზი უნდა ყოფილიყო. პროექტი სხდომამდე ყველა ფრაქციამ შეისწავლა და ძალიანაც მოიწონა"**, – ასე ხსნის საკრებულოს უმრავლესობის საქციელს შენგელია.

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს, საქართველოს დედაქალაქის შესახებ კანონის საფუძველზე, დაფუძნდეს შერეული საკუთრების სააქციო საზოგადოება, სადაც თბილისის მთავრობა აქციების 25 პროცენტის მფლობელი იქნება. დანარჩენ დამფუძნებლებს კი უნდა წარმოადგენდნენ ინვესტორები, რომელთა წილიც 25 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. **"ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერ მოქალაქეს მიეცემა საშუალება, მცირე დანაზოგითაც კი, გახდეს საზოგადოების დამფუძნებელი, ან მონაწილეობა მიიღოს საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში. საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებლად თბილისის მთავრობის ყოფნა კი ინვესტორებისთვის იმის გარანტი იქნება, რომ საზოგადოების საქმიანობას სახელმწიფო გააკონტროლებს და საინვესტიციო სახსრები დაცული იქნება"**, – აცხადებს შენგელია.

სააქციო საზოგადოების ფუნქციაში შევა როგორც საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სახლების აშენება, ასევე, ავარიული სახლების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება. შექმნილი საბინაო ფონდის ნაწილს სამეწარმეო საქმიანობისთვის (ყიდვა-გაყიდვა) გამოიყენებენ, ქალაქის მთავრობას კი საშუალება მიეცემა, ფონდის საკუთარი წილით ავარიულ სახლებში მცხოვრებთა საბინაო პირობები გააუმჯობესოს.

პროექტის განსახორციელებლად მისი ავტორები 2004 წლის ბიუჯეტიდან 655 ათასი ლარის გამოყოფას ითხოვდნენ. **"ამ თანხის მოძიება მთავრობას არ უნდა გაუჭირდეს, მით უმეტეს, რომ ერთ წელიწადში ბიუჯეტს ეს თანხა უკანვე დაუბრუნდება. ჩვენი პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სახელმწიფო წელიწადში 760 ათასი ლარის მოგებას მიიღებს"**, – აცხადებდა შენგელია. თუმცა, ქალაქის მთავრობას აღნიშნული პროექტისთვის თანხის გამოძებნა მაინც გაუჭირდა.

როცა "სამართლიანობამ" აღნიშნული პროექტი შესასწავლად საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს წარუდგინა, მათი უმრავლესობა დასკვნაში აცხადებდა, რომ პროექტის დამტკიცებას მხარს დაუჭერდა. თუმცა, შემდეგ საკრებულოს წევრთა ნაწილმა პროექტის დაწუნების მიზეზად მასში აღმოჩენილი ხარვეზები დაასახელა. **"პროექტის იდეას ყველა ეთანხმება, მაგრამ მასში გარკვეული საკითხები დასახვეწია. თუკი ეს ხარვეზები ამოივსება, მის დამტკიცებას წინ ვერაფერი დაუდგება"**, – აცხადებს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარე დავით ხუციშვილი. ამავე აზრს იზიარებს საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომისიის ხელმძღვანელი სოსო ეგუტია. ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ჯემალ სადაღაშვილი კი არ მალავს, რომ პროექტის დაწუნების მიზეზი საბიუჯეტო სახსრების უქონლობა იყო. **"წლევანდელ ბიუჯეტში პროექტის განსახორციელებლად საჭირო სახსრები ვერ მოიძებნა. მაშინ ქალაქის ავარიული ბინების სარეაბილიტაციო ცენტრისთვის არ უნდა გამოგვეყო თანხები"**, – ამბობს სადაღაშვილი.

ავარიული ბინების სარეაბილიტაციო ცენტრის ხელმძღვანელი ზურაბ ახმეტელი კი პროექტს იწონებს: **"დღეს ათასობით გაჭირვებული მოქალაქე გვყავს, მაგრამ პრეზიდენტმაც რომ მოინდომოს, მათთვის ერთ ბინას ვერ იპოვის. ბიუჯეტს ავარიული სახლების აღდგენის სახსრები არ აქვს. კერძო მესაკუთრე კი მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებული არაფრით არის. შერეული საკუთრების სააქციო საზოგადოების შექმნა ნამდვილად საუკეთესო გამოსავალია. მოსკოვში საბინაო პრობლემა სწორედ ასეთი გზით გადაჭრეს. ამ საკითხებზე ადრევე რომ გვემუშავა, ქალაქის მთავრობას დღეს 500-600 ბინა მაინც ექნებოდა".**


## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს აუქციონს

**2004 წლის 17 სექტემბერს გასაყიდად გამოტანილი**
იქნება ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული შემდეგი ობიექტები:

| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 2464,29 [illegible] | 1751,28 | 506016 | 10000 | [illegible] |
| 2 | [illegible] | 277,87 | 101,1 | 71398 | 2150 | [illegible] |
| 3 | [illegible] | 51,56 | 64,5 | 11630 | 300 | [illegible] |
| 4 | [illegible] | 161,4 | 36 | 41417 | 1200 | [illegible] |
| 5 | [illegible] | 62,06 | 69,13 | 15593 | 400 | [illegible] |
| 6 | [illegible] | 140,76 | 175 | 34788 | 1000 | [illegible] |
| 7 | [illegible] | 218,08 | 86,4 | 55418 | 1500 | [illegible] |
| 8 | [illegible] | 193,13 | 79,2 | 49793 | 1500 | [illegible] |
| 9 | [illegible] | 36,18 | 32,97 | 8960 | 200 | [illegible] |
| 10 | [illegible] | 261,96 | 204,6 | 64153 | 1900 | [illegible] |

[illegible]

**2004 წლის 20 სექტემბერს გასაყიდად გამოტანილი**
[illegible]

| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 2096,6 | 81,1 | 69768 | 2000 | [illegible] |
| 2 | [illegible] | 106,84 | 26,9 | 16378 | 400 | [illegible] |
| 3 | [illegible] | 24,55 | 6,27 | 3834 | 100 | [illegible] |
| 4 | [illegible] | 84,9 | 31,48 | 16731 | 500 | [illegible] |
| 5 | [illegible] | 13,89 | 24,82 | 2547 | 100 | [illegible] |
| 6 | [illegible] | 114,7 | 113,2 | 16859 | 450 | [illegible] |
| 7 | [illegible] | 97,24 | 110,6 | 26419 | 800 | [illegible] |
| 8 | [illegible] | 63,86 | 79,95 | 16016 | 450 | [illegible] |
| 9 | [illegible] | 64,9 | 75,9 | 9354 | 300 | [illegible] |
| 10 | [illegible] | 87,9 | 74,8 | 19440 | 550 | [illegible] |

[illegible]

**2004 წლის 22 სექტემბერს გასაყიდად გამოტანილი**
[illegible]

| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 52,7 | 38,38 | 9687 | 250 | [illegible] |
| 2 | [illegible] | 19,73 | 38,38 | 5213 | 150 | [illegible] |
| 3 | [illegible] | 34,43 | - | 3440 | 100 | [illegible] |
| 4 | [illegible] | 5,29 | 4,6 | 1081 | 50 | [illegible] |
| 5 | [illegible] | 23,61 | 4,81 | 4342 | 150 | [illegible] |
| 6 | [illegible] | 40,17 | 79,4 | 8744 | 250 | [illegible] |
| 7 | [illegible] | 66,9 | 60,77 | 11688 | 350 | [illegible] |
| 8 | [illegible] | 15,67 | 23,94 | 2741 | 80 | [illegible] |
| 9 | [illegible] | 15 | 9,83 | 2861 | 100 | [illegible] |
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

[illegible]

**განცხადებების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში ყოველ დღე შაბათ კვირის გარდა და მთავრდება 2004 წლის 21 სექტემბრის 18 საათზე.**
**მისამართი: ქ. ბათუმი, სულხან-საბას N7.**

აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხოეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს ან ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.
განმცხადებელმა აუქციონში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
**ა-** დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
**ბ-** ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, ბეს სიდიდე უნდა იყოს ქონების საწყისი ფასის მინიმუმ 10 პროცენტი;
**გ-** აუქციონში მონაწილეობის მისაღებათ შესაძენი მონაწილის ბილეთის საბანკო ქვითარი. ბილეთის ფასი შეადგენს ფიზიკურ პირთათვის 10 ლარს. იურიდიულ პირთათვის 50 ლარს;
**დ-** პირადობის მოწმობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
**ე-** ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით;
იურიდიული პირები დამატებით ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს;
თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს:
მიმღები: ცენტრალური შემოსულობების სატრანზიტო ანგარიში N300121500. მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3000.
აუქციონები ჩატარდება ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. N6 ყოფილი მინისტრთა საბჭოს შენობის მეორე სართულზე სააქტო დარბაზში, დღის 12 საათზე.
აუქციონში გამარჯვებულის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).
**დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ 7-30-28; 7-66-71.**

# ერონვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი არაკორუფციული დანაშაულისთვის დააკავეს

*საქართველოს ერონვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, ყოფილი პარლამენტარი ნოდარ ჯავახიშვილი, რომელიც სამართალდამცველებმა გუშინწინ დააკავეს, სავარაუდოდ, დღეს წარდგება სასამართლოს წინაშე. ამჯერად, მართლმსაჯულება მხოლოდ იმას გადაწყვეტს, შეუფარდოს თუ არა მას წინასწარი პატიმრობა.*



იური ლოზოდინის ფოტო

*თავის დროზე ნოდარ ჯავახიშვილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან დეპუტატის იმუნიტეტმა იხსნა.*

გუშინწინ საკუთარ სახლში დაკავებული ნოდარ ჯავახიშვილი წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს. მას სამართალდამცველები ოთხი წლის წინ ჩადენილ დანაშაულს ედავებიან, რომლის გამოც პასუხისგებას ერონვნული ბანკის ყოფილი თავმჯდომარე მხოლოდ იმის გამო გადაურჩა, რომ მას პარლამენტარის იმუნიტეტი იცავდა.

საქმე ეხება 2000 წელს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას. ავტომანქანა, რომელსაც მაშინ უკვე პარლამენტის წევრის სტატუსის მქონე ჯავახიშვილი მართავდა, ფეხით მოსიარულე მოხუც კაცს დაეჯახა და იგი მიღებული ტრავმებისაგან დაიღუპა. თავად ჯავახიშვილი არც შემთხვევის ადგილიდან მიმალულა, მსხვერპლის დაკრძალვის ხარჯებიც თვითონვე გაიღო. შემთხვევის გახმაურებისთანავე გაისმა როგორც ჯავახიშვილის დასჯის მოთხოვნები, ასევე მისი გამამართლებელი არგუმენტები, კერძოდ, ის, რომ თითქოს მსხვერპლი თავად მოძრაობდა ავტომანქანებისთვის განკუთვნილ გზაზე. თუმცა, სამართალდამცველთა მიერ მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით კონკრეტული დასკვნები მაშინ არ გაკეთებულა. ამის მიზეზი პარლამენტის გადაწყვეტილება გახლდათ, რომლითაც კანონმდებლებმა უარი თქვეს პროკურატურის მოთხოვნაზე, ნოდარ ჯავახიშვილისთვის დეპუტატის იმუნიტეტი მოეხსნათ. ეს გადაწყვეტილება პარლამენტარის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეჩერების საფუძვლად იქცა.

ვერ გეტყვით, ამდენხანს რას ელოდნენ ქართველი სამართალდამცველები - წინა მოწვევის პარლამენტისთვის უფლებამოსილების შეწყვეტიდან და, შესაბამისად, ჯავახიშვილის იმუნიტეტის გარეშე დარჩენიდან, უკვე კარგა ხანია გასული. თუმცა, ფაქტია, რომ ამჟამად ნოდარ ჯავახიშვილი უკვე ცნობილია ბრალდებულად სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რომელიც გულისხმობს პირის მიერ ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობას და ითვალისწინებს შვიდ წლამდე პატიმრობას. გამოძიების პროცესში პატიმრობაში მისი დატოვების საკითხს კი სასამართლო გადაწყვეტს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თერჯოლა.** შინაგან საქმეთა თერჯოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ადრე ნასამართლევი ტყიბულელები კახა ქათამაძე, დავით და ვარლამ ბოჭორიშვილები დააკავეს, რომლებიც გუშინწინ თერჯოლის რაიონში მომხდარ ყაჩაღობაში არიან ეჭვმიტანილები. თერჯოლის პოლიციის ცნობით, გუშინწინ სოფელ ძევში გამავალ საავტომობილო მაგისტრალზე ბოროტმოქმედები გადაჭრილი თოფებით თავს დაესხნენ შპს "არტის" კუთვნილ ავტომანქანა "ტოიოტას" და მძღოლს "არტის" კუთვნილი 700 ლარი წაართვეს. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დაკავებულები წინასწარი პატიმრობის საკანში იმყოფებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ჭიათურა.** გუშინ დილით, ჭიათურელმა პოლიციელებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 19 წლის ადგილობრივი ლაშა გოგსაძე დააკავეს, რომლის სახლის ჩხრეკისას 1992 წლის გამოშვების "ა-კა-ემ"-ის სისტემის ავტომატი და "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი ამოიღეს. ლაშა გოგსაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით აღიძრა. დაკავებულს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში მკვლელობა მოხდა. ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, გუშინწინ ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯერჯერობით დაუდგენელი მარკისა და ნომრის მიკროავტობუსი გაჩერდა, საიდანაც მრავლობითი ჭრილობების მქონე, 20 წლის ჯიმშერ ხურციძე და 19 წლის ლევან მესხაძე ჩამოაგდეს. მესხაძე მძიმე ჭრილობების გამო რამდენიმე წუთში ავტოსადგურის ტერიტორიაზე გარდაიცვალა, ხოლო ხურციძე ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მიკროავტობუსი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მომხდარზე სამართალდამცველებმა მოკვლევა დაიწყეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მუხიანის მე-2 მიკრორაიონში დააკავეს დედაქალაქში მოქმედი ნარკორეალიზატორები, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფნი, პატარა გლდანში მცხოვრები, 38 წლის ქეთევან რობაქიძე და მცხეთის რაიონის სოფ. გლდანში მცხოვრები, 30 წლის ალექსანდრე ტერელუელი, რომელთა დროებითი საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულია სარეალიზაციოდ გამზადებული 0,02 გრამი ჰეროინი, 30 აბი სედალგინი, ლიმონმჟავა, მინის კოლბა ნარკოტიკული ნივთიერებების ნარჩენებით და ერთჯერადი საინექციო ნემსები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს დედაქალაქში მოქმედი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი, თემქაზე მცხოვრები, 17 წლის ლაშა ბოლქვაძე, რომელიც ორ პირთან ერთად, 10 აგვისტოს, თემქის მე-4 კვარტლის მიმდებარე ტერიტორიაზე თავს დაესხა ავტომანქანა "ვაზ"-2121 ტაქსის მძღოლს, ვაზისუბნის დასახლებაში მცხოვრებ, 32 წლის იოსებ ელიავას, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღისა და ძალადობის მუქარით გასტაცეს მობილური ტელეფონი და 120 ლარი. ბოლქვაძის ბინიდან ამოღებულია ნომერწაშლილი პისტოლეტი "ბერეტა" და ელიავასაგან გატაცებული მობილური ტელეფონი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს ოზურგეთში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი, დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტი, 31 წლის ირაკლი დოლიძე, მეტსახელად "დოლა", რომელმაც 2003 წლის 12 აპრილს, სამ პირთან ერთად, ბარათაშვილის პირველ შესახვევში მცხოვრებ, 40 წლის ნინა დობორჯგინიძეს ოჯახიდან მუქარით გასტაცა ავტომანქანა "ვაზ"-21011 და საოჯახო ნივთები. დაზარალებულს პოლიციაში არ განუცხადებია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სამტრედია.** დააკავეს სამტრედიაში მცხოვრები, 26 წლის ბადრი ბუსკაძე, რომელმაც ორ პირთან ერთად, სოფ. ხუნჯულაურიდან გაიტაცა ჯუმბერ მგალობლიშვილის ავტომანქანა "ვაზ"-2103. ამის შემდეგ თავს დაესხა სააკაძის ქუჩაზე მდებარე ლომბარდ "ალმასს", სადაც გამყიდველს ლია თევზაძეს და მოლარე მანანა შენგელიას ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცა 8000 აშშ დოლარის ღირებულების ოქროს სამკაულები. ბუსკაძისგან ამოიღეს ხელყუმბარა "ფ"-1 და ოქროს სამკაულების ნაწილი. **მედია-ნიუსი**

# თბილისში გავრცელებული დანაშაული - ყაჩაღობა სამარშრუტო ტაქსებში

კრიმინალის სახეობებიდან ერთ-ერთი ყველაზე "მოდური" დანაშაული თბილისში სამარშრუტო ტაქსების დაყაჩაღება გახდა. კრიმინალის ეს სახეობა დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებისთვის ყველაზე სარფიანი გამოდგა, რადგან სამარშრუტო ტაქსებში მგზავრების დასაყაჩაღებლად და გასაქურდად ასულ კრიმინალებს ბარიერი თითქმის არ ხვდებათ, სამუშაოს, ძირითადად, "სუფთად" ასრულებენ. საქმე ისაა, რომ მგზავრები შიშის გამო პროტესტის გამოხატვას ვერ ბედავენ და მძარცველთა საქმიანობას დაძაბულად, მაგრამ ხმის ამოუღებლად ადევნებენ თვალყურს. მძღოლები კი, ასევე, მოსალოდნელი ანგარიშსწორების გამო დუმილს ამჯობინებენ. თანაც, გავრცელებული ინფორმაციით, სამარშრუტო ტაქსების მძღოლთა ნაწილი კრიმინალებთან "შეკრულია" და, ბუნებრივია, ურთიერთობას არ დაძაბავს. თანაც, მგზავრების დაყაჩაღებისგან დამცავი მექანიზმი, ფაქტობრივად, არ არსებობს, გარდა იმ გამონაკლისისა, თუ ფაქტს შემთხვევით არ წააწყდა პოლიციელი. იმ 5 ათასზე მეტ სამარშრუტო ტაქსს, რომლებიც თბილისის ქუჩებში ყოველდღიურად მოძრაობს, პოლიციელები არ აცილებენ და ამიტომაც, ამ მხრივ, მათ საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში ნამდვილად ვერ დაადანაშაულებ.

სამარშრუტო ტაქსებში გახშირებული ძარცვა-ყაჩაღობის გამო, თბილისელებმა ძალზე კარგად იციან, თუ რომელ სამარშრუტო ტაქსშია ყველაზე მეტად საფრთხე მოსალოდნელი. ამ მხრივ, ყველაზე მეტად გამორჩეულია №4 სამარშრუტო ტაქსი. კრიმინალთა სამოქმედო სქემა მარტივია: "მარშრუტკაში" რამდენიმე პარტნიორი ერთად სხდება და მოქმედება ვაკე-საბურთალოს გზაზე, იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიასთან მიახლოებამდე იწყება. სამარშრუტო ტაქსს აჩერებენ, შემდეგ მსხვერპლს, ძირითადად - ქალებს, ხელჩანთასართმევენ და გარბიან. არის მეორე, უფრო მძაფრსიუჟეტიანი მეთოდი — ყაჩაღი მგზავრს გვერდით უჯდება, დანის გამოყენებით ემუქრება, ხელჩანთას, მობილურს, ფულს ან სხვა მისთვის საინტერესო ნივთს ართმევს და გარბის. სხვათა შორის, ამ მეთოდით, №4 სამარშრუტო ტაქსში "24 საათის" რამდენიმე თანამშრომელი დააყაჩაღეს, ერთი - გუშინწინ, და მას მობილური ტელეფონი დანის მუქარით წაართვეს.

როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, სამარშრუტო ტაქსებში ყაჩაღობაზე კვალიფიცირებულ კრიმინალთა დიდი ნაწილი თბილისელი არ არის, ისინი, ძირითადად, ე.წ. გასტროლიორები არიან, რომლებიც რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობენ თბილისის სხვადასხვა უბნებში, რაც მათი დაკავების პრობლემას ქმნის. თუმცა, მიუხედავად ამისა, "მარშრუტკების" მძარცველთა წინააღმდეგ პოლიციამ ორგანიზებული კამპანია დაიწყო და რამდენიმე სერიოზული ჯგუფი დააკავა. რამდენიმე დღის წინ ვაკე-საბურთალოს პოლიციამ მძარცველთა ხუთი ჯგუფის წევრები დააკავა. **"ჩვენ მიერ დაკავებული პირები "მარშრუტკებში" ყაჩაღობდნენ, ისინი ძალიან სერიოზული მძარცველები იყვნენ და სწორედ იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიებზე მუშაობდნენ. მათ წინააღმდეგ ძალიან სერიოზულად ვმუშაობთ და შედეგებიც გვაქვს. სხვათა შორის, ამ დანაშაულს ორგანიზებული ხასიათი ნამდვილად არ მიუღია. დანაშაულის ეს კატეგორია, არსებული სტატისტიკის მიხედვითაც, გაზრდილი არ არის. გახსნის მაჩვენებელიც სახეზეა, "მარშრუტკებში" მომხდარი ყაჩაღობიდან მხოლოდ ერთი-ორი საქმე გვაქვს გაუხსნელი და მათაც გავხსნით,"** — ჩვენთან საუბრისას განაცხადა ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს უფროსმა დავით იაშვილმა. მისივე თქმით, ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისას დაზარალებულთა დახმარებაცაა საჭირო. საუბარია სამართლებრივ პროცედურებში მონაწილეობის მიღებაზე, რაზეც ხშირ შემთხვევაში დაზარალებულები უარს აცხადებენ — ზოგს ეზარება, ზოგი კვლავაც შიშის გამო უარს აცხადებს, მონაწილეობა მიიღოს თავდამსხმელთა ამოცნობის პროცედურაში.

*24 საათი*


# საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის წერილი 13 აგვისტოს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული მიმართვის საპასუხოდ

## საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი აფიქსირებს საკუთარ პოზიციას ბატონების ვლადიმერ ჯაფარიძისა და რევაზ სულაბერიძის მოსაზრებებზე, რომელიც მათ გაზეთ "24 საათში'' გამოქვეყნებულ სარეკლამო სატატია-მიმართვაში გაახმოვანეს.

მიმართვის ავტორთა განცხადება იმის შესახებ, რომ საბითუმო ბაზარი გაუმჭვირვალე და საბაზრო პრინციპებისგან შორს მდგარი ორგანიზაციაა სიმართლეს არ შეესაბამება. ბატონები რევაზ სულაბერიძე და ვლადიმერ ჯაფარიძე ერთხელ მაინც რომ დაინტერესებულიყვნენ რამდენად გამჭვირვალეა სესბ-ის საქმიანობა, სულ მცირე თვალყური უნდა ედევნებინათ პრესისთვის, ვინაიდან სტატიები და ფინანსური ოპერაციების მონაცემები ყოველთვიურად შუქდება ბეჭდვით მედიაში. ასევე, აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია კომპანიის ვებგვერდზე. აქვე გვინდა მივმართოდ ბატონებს და სათასადო ინფორმაციის მისაღებად შევატყობინოდ სესბის ვებ-გვერდის მისამართი (www.gwem.org.ge), თუ რა თქმა უნდა ეს სურვილი მათთგან რეალურად არსებობს.

სესბ-მა სულ რაღაც 2 წელიწადში, მას შემდეგ რაც კომპანია მმართველობაში საერთაშორისო კონსორციუმ "იბერდროლას გადაეცა, შესძლო და კორუმპირებული ორგანიზაციიდან საერთაშორისო სტანდარტების მქონე კომპანიის დონემდე ავიდა. ამ ფაქტს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ერთად საქართველოს მთავრობაც აღიარებს. ბატონებს რევაზ სულაბერიძესა და ვლადიმერ ჯაფარიძეს კი სურთ ხელისუფლება შეცდომაში შეიყვანონ,ისინი საქართველოს პრეზიდენტს მიმართვის სახით სესბ-ის შესახებ არასწორ ინფორმაციას აწვდიან. კერძოდ, მათი განცხადებით ელექტრობაზრის შექმნამდე "საქენერგოს" დავალიანება 30 მილ. ლარი იყო, ხოლო სესბ-ის დავალიანება 1999 წლიდან 400 მილიონ ლარამდე დაგროვდა, რაც მათი აზრით ელექტრობაზრის არაეფექტურობაზე მიანიშნებს.

მოგახსენებთ, რომ "საქენერგოს" გაუქმების შემდეგ "საქენერგო 2000-მა" სისტემის მილიარდის და არა 30 მილიონი ლარის დავალიანება გადაიწერა. ენერგობაზრის 400 მილიონი ლარის დავალიანება კი სწორედ იმ მანკიერი სისტემის დროს დაგროვდა, რომელსაც მიმართვის ავტორები ლობირებენ. კერძოდ, ისინი გენერაციისა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის პირდაპირი ანგარიშწარმოების მომხრეები არიან. აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის პირდაპირი კონტრაქტების არსებობისას ენერგოსექტორში მოძრავი ფინანსური ნაკადი სრულიად გაუმჭვირვალე და აღურიცხავი იყო, რაც საეჭვო გარიგებებისა და კორუფციის ბუდე გახლდათ. ენერგოსექტორის ფინანსები კერძო კუთვნილებაში ხვდებოდა, რამაც ელექტროენერგეტიკულ სექტორში ესოდენ დიდი დავალიანების წარმოქმნა განაპირობა. ელექტრობაზრის ფუნქცია კი სწორედ სექტორის ფინანსური ნაკადის აღრიცხვა, მართვა და ტრანსფარენტულობის უზრუნველყოფაა, რასაც სესბი წარმატებით ახორციელებს. ამ მიმართულებით ელექტრობაზრის წარმატებულობა გახლავთ სწორედ ზემოთ ნახსენები კერძო ინტერესების მქონე პირთა გაღიზიანების საბაბიც. მიმართვის ავტორების უკმაყოფილების მიზეზი სესბ-ის მიერ ენერგოსექტორში არსებული კორუფციის წინააღმდეგ გატარებული კიდევ ერთი ღონისძიებაა. კერძოდ, ელექტრობაზარმა არსებული დავალიანებების დებიტორ-კრედიტორებისთვის დათმობის მანკიერი პროცედურა აღკვეთა. აღნიშნული პროცედურით და სასამართლოს მეშვეობით ენერგოსექტორის კუთვნილი მილიონობით ლარი ასევე კერძო პირებს ჩაუვარდათ ხელში.

სესბ-ი არ დაიწყებს მიმართვის ავტორების უსაფუძვლო ბრალდებების უარყოფას. ელექტრობაზარი უბრალოდ იმ მონაცემებს წარმოგიდგენთ, რომელიც არაერთხელ გაჟღერებულა, ამ მონაცემების საშუალებით საზოგადოება და მიმართვის ავტორები კომპანიის წარმატებული საქმიანობის შესახებ სათანადო ინფორმაციას მიიღებენ.

2002 წლის განმავლობაში სესბის მიერ მიღწეული წარმატებების შესახებ ინფორმაცია:

- 2002 წელს პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდის მაჩვენებელი 27%-დან 69.5%-მდე გაიზარდა
- გამანაწილებელი ენერგოკომპანიებიდან ელ.საფასურის გადახდის მაჩვენებელი 10-%-დან 35%-მდე გაიზარდა.
- შემცირდა ბარტერებისა და ჩათვლების მეშვეობით ანგარიშსწორება.
- 2002 წლის ბოლოს დადგინდა და შეთანხმდა მომხმარებლებთან ბუნდოვანი ფინანსური ურთიერთვალდებულებების უმრავლესობა, რასაც სესბ-სა და მის წევრებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება მოჰყვა.
- მოხდა სესბ-ის ძველი დღგ-ის დავალიანების რესტრუქტურიზაცია სამი წლის ვადით.
- გაუმჯობესდა ანგარიშსწორებისა და არაგამხდელების გამორთვების პროცედურები, რასაც შედეგად მოჰყვა ეფექტურობისა და მენეჯმენტის ანგარიშგების გაუმჯობესება და თანხების ამოღების ზრდა.
- გამჭვირვალე გახდა სესბ-ის საქმინობა, გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდება სესბ-ის მიერ წარმოებული ფინანსური ოპერაციების მონაცემები. სესბ-მა კეთილსინდისიერი ორგანიზაციის რეპუტაცია მოიპოვა.

ენერგობაზრის მართველობამ 2003 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაზარდა თანხების ამოღება. ორგანიზაცია უფრო მეტად გამჭვირვალე და ღია გახდა ბაზრის წევრებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. სესბ-ის 2003 წლის ძირითადი მიღწევები:

- 2003 წელს თანხის საერთო ამოღებამ 115 მილიონი ლარი შეადგინა, საიდანაც 70 მილიონი იყო ნაღდი ფულით და 45 მილიონი კი ჩათვლის სახით თუ ამ მაჩვენებელს შევადარებთ 2002 წელის მონაცემებთან, (საერთო ამოღება 2002 წელს 71 მილიონი ლარი), 62%-იან ზრდას მივიღებთ.
- წინა წლებთან შედარებით პირდაპირი მომხმარებლებიდან ნაღდი ფულის ამოღების მაჩვენებელი 69.5%-დან 85%-მდე გაიზარდა..
- სახელმწიფოს მიერ აფხაზეთის მოხმარების საფასურის გადახდა 9%-დან 55%-მდე გაიზარდა
- ბაზრიდან პრაქტიკულად გამოირიცხა ბარტერული გადახდები.
- გაორმაგდა გენერაციასა და მომსახურე ორგანიზაციებისტვის გასანაწილებელი თანხა. 2002 წელს აღნიშნული თანხა 26.3მილიონ ლარს არ აღემატებოდა, 2003 წელას კი 53.6 მილიონ ლარამდე გაიზარდა.
- შემუშავდა და აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცდა განაწილების ახალი მოდელი
- სატრანსფერტო ანგარიში შედარებით გათავისუფლდა დაყადაღებისგან.
- შემოღებულია ყოველვიური ანგარიშის ახალი ფორმატი, რომელიც მიუთითებს შემოსავლის წყაროზე და აკავშირებს გადახდებს ენერგიის რეალიზაციასთან. ეს ფორმატი ყველასთვის მისაღები გახდა და მისი ნახვა შეგიძლიათ ვებ-გვერდზე.
- სესბ-მა სრულად და დროულად გადაიხადა მიმდინარე დღგ-ს დავალიანება.

2004 წლის მონაცემებით სესბ-მა მიმდინარე წელს შემდეგ წარმატებებს მიაღწია:

- სესბ-ის სატრანსფერტო ანგარიშზე გაიზარდა ფინანსური ნაკადის შემოდინება. კერძოდ, 4 მილიონი ლარის ნაცვალად სესბ-ის შემოსავალი 6 მილიონ 400 ათასს ლარამდე გაიზარდა. შესაბამისად, გაუმჯობესდა გენერაციისა და მომსახურე ორგანიზაციების დაფინანსება. ივლისის თვეში ამ ორგანიზაციებს 6 მილიონ 400 ათასი ლარი გაუნაწილდათ.
- ელექტროსადგურების ხელმძღვანელობის განცხადებით, სესბ-ისგან მიღებული თანხები მათ არამხოლოდ სახელფასო დავალიანების დასაფარად, არამედ საბიუჯეტო ვალდებულებების გადასახდელად და სარეაბილიტაციო საბუშაოების ჩასატარებლადაც ყოფნით.
- სესბ-ის მიერ საერთოდ გაუქმდა ე.წ. ჩათვლების მექანიზმი.
- პირპდაპირი მომხმარებლებიდან მომხმარებულ ელ.საფასურის ამოღების მაჩვენებელმა 100%-ს მიაღწია.
- გაუმჯობესდა ძველი ვალების გადახდის მაჩვენებელი.
- გამანაწილებელი ენერგოკომპანიების მხრიდან გაუმჯობესდა თანხების ამოღება.
- შემცირდა ელექტროენერგიის დანაკარგები.
- მომხმარებლები სესბ-ის მიერ დადგენილ ლიმიტებს იცავენ.

# კონფლიქტის ზონა













გოგიტა ბახტაძის ფოტოები

## ნახევრადსავსე ლურჯი "გალუაზი"



ტაქსი ისეთივე სახიფათო ყოფილა მგზავრისთვის, როგორც მგზავრი ტაქსისთვის.

B2

## ნახევრად შიშველი მისკინა „დათვის„ კლანჭებში



ანასტასიამ სამწუხაროდ, მხოლოდ ჩოგანის ხმარება იცის.

B3

## დაუვიწყარი ძმები ბლუზები



დიდ ბრიტანეთში საუკეთესო "საუნდთრეკად" (ფილმის თანმხლები მუსიკა) "ძმები ბლუზების" მუსიკა აღიარეს.

B8

# ოლიმპიადა გაიხსნა



















B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ევროისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# აჭარა ფესტივალ „პონტოს" მასპინძლობს



გუშინ დილით თბილისი-მახინჯაურის მიმართულებით ხელოვნების ფესტივალ "პონტოს" მონაწილეთა პირველი "კულტურული" მატარებელი გაემგზავრა.

მიუხედავად გუშინდელი უამინდობისა და უშუქობისა, ხელოვანთა ტრანსპორტირება მოხერხდა.

"პონტო" ოფიციალურად დღეს, კვარიათის სანაპიროზე "პახმელია შოუთი" გაიხსნება. ამ ორიგინალური სახელწოდების შოუს მონაწილენი ნაკლებად ორიგინალურ პაექრობაში გამოიწვევენ ერთმანეთს; შეჯიბრი ლუდის სმაში, ხინკლის ჭამაში და სხვადასხვა კერძების მომზადებაში გაიმართება. "პახმელია შოუს" "ტამ-ტამ შოუ" მოჰყვება და ა.შ.

"პონტოს" ფარგლებში ბევრი კულტურული ღონისძიების გამართვაა დაგეგმილი. გარდა ცოცხალი მუსიკისა და ლიტერატურული საღამოებისა, ფესტივალზე გამოფენა-გაყიდვები, სპორტული შეჯიბრებები და თეატრალიზებული წარმოდგენები გაიმართება.

ცნობილ ხელოვანებთან ერთად ფესტივალში დებიუტანტებიც მონაწილეობენ.

მომღერლები გიორგი გაჩეჩილაძე (უცნობი) და გია ნიკოლაძე (ნიკოლშოუ) ფესტივალის შესახებ დოკუმენტური ფილმის შექმნასაც აპირებენ, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად ვიდეომოყვარულებსაც იწვევენ.

"პონტოს" 19 აგვისტოს ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის საკლუბო პროექტი "ასსა" დახურავს.

ფესტივალის ინიციატორია ბიზნესგანვითარების ცენტრი "კავკასია". ***"24 საათი"***

# უფლისციხესთან გზა აღარ მიდის



უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარის ცნობილ გვირაბთან მისასვლელი ბაქანი ადიდებულმა მტკვარმა წაიღო. შესაბამისად, ეს მონაკვეთი, რომელიც დამთვალიერებელს უფლისციხესთან აკავშირებდა, აღდგენას საჭიროებს.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში არსებული კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახა ტრაპაიძემ და სპეციალისტებმა უფლისციხეში დაზვერვითი სამუშაოები უკვე აწარმოეს.

კახა ტრაპაიძის თქმით" გვირაბთან მისასვლელი გზის აღსადგენად რამდენიმე პროექტი მზადდება. კონკურსის შედეგად გამარჯვებულ პროექტს ძეგლთა დაცვის სპეციალისტები და ინჟინერ-მშენებლები განახორციელებენ.

შესაძლოა, პროექტი ითვალისწინებდეს ან მდინარის სანაპიროს გამაგრებას, ან დაკიდული ხიდის აშენებას. გამარჯვებული პროექტისთვის საჭირო თანხებს კულტურის სამინისტრო გაიღებს", - აცხადებს კახა ტრაპაიძე.

გარდა ამ ერთადერთი გვირაბისა, უფლისციხეში მისასვლელი სხვა გზა არ არსებობს.

*მედია-ნიუსი* .

# პრემიერა რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში



წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დღეს პრემიერა გაიმართება.

რეჟისორმა რობერტ სტურუამ თეატრის სცენაზე ედუარდო დე ფილიპოს პიესა "აჩრდილები" დადგა.

რუსთავის დრამატული თეატრიდან რეჟისორ გოგი ქავთარაძის წასვლის შემდეგ ეს პირველი საპრემიერო ჩვენება იქნება. სექტემბრის თვეში კი თეატრის დასი მაყურებელს კიდევ ორ ახალ სპექტაკლს წარუდგენს. ***ინტერ-პრესი***

# ნახევრადსავსე ლურჯი "გალუაზი"

ქალაქური ამბავი

სანდრო ნავერიანი



*ტაქსი ისეთივე სახიფათო ყოფილა მგზავრისთვის, როგორც მგზავრი ტაქსისთვის.*

ჩემს მეგობართან წავედი ბ. ხ...ს ქუჩაზე, ნომერ ოთხში. ჩვეულებრივად მივედი, ისე როგორც ყოველთვის: ტაქსს დავიჭერ, ვეტყვი მისამართს და მივდივარ დანიშნულების ადგილას.

იქ უნდა დავრჩენილიყავი, მაგრამ, მეგობართან მისულს აზრები შემეცვალა და სახლში წასვლა გადავწყვიტე. არ მიშვებდა ჩემი მეგობარი. ჩემი გავიტანე, წამოვედი.

სადღაც, ზუსტად არ ვიცი, ტაქსი გავაჩერე, ვუთხარი ასე და ასე, აქა და აქ მინდა-მეთქი. ბაზარი არააო - მიპასუხა. სიხარულით ჩავჯექი, მაგრამ სად ჩავჯექი, თქვენ ხომ არც კი წარმოგიდგენიათ?! დამაყაჩაღეს.

გაინტერესებთ რა მქონდა? 10 ლარი და ერთი ნახევრადსავსე კოლოფი ლურჯი "გალუაზი". თუ "გაპის" შარვალს, "ფრენჩ ქონექშენის" მაისურს და "ბენეტონის" ჟილეტს არ ჩავთვლი. მოკლედ, ასეა თუ ისე, დამაყაჩაღეს. წაიღეს 10 ლარი და ერთი, ნახევრად სავსე კოლოფი ლურჯი "გალუაზი". საერთოდ არ ვფიქრობ იმაზე, რაც წაიღეს. ნეტა, მეტი მქონოდა, რომ შერგებოდათ მაინც, მერე ერთმანეთს დაუწყეს ჩხუბი სამზე გავყოთ, არა ოთხზეო.

იცით რაზე ამეშალა ნერვები? რაზე და, მთელი ჩემი ცხოვრებაა, როდესაც ტაქსით სამგზავრო ფული არ მაქვს, არ ვცდილობ, რომ ტაქსი გავაჩერო და ვთხოვო -ბიძაჩემო ქაშვეთამდე გამიყვანე-მეთქი, მაგრამ! არის ერთი მაგრამ: საქართველოში არის ისეთი ხალხი, რომელსაც ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. არაფერი მათ არ ანაღვლებთ, ოღონდ თავისი ოჯახი არჩინონ, ყველაფერზე წამსვლელები არიან. თავისი ოჯახი კი, ამ შემთხვევაში, მეუღლე და გაჩენილი ბავშვია, რომელიც უბედურ დღეზე დაბადებულად ითვლება.

მოყავთ ცოლები, აკეთებენ ბავშვებს, იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ ამ ბავშვს ჭამა, ჩაცმა, განთლების მიღება სჭირდება. მთავარია, ერთი ადგილი მოიქნიონ და იქ გაარტყან, სადაც საჭიროა, თორემ დანარჩენს, არაფერს აზრი არ აქვს - ყველაფერი კარგად იქნება, მე მილიონერი ვიქნები - ფიქრობენ გოიმები. მაგრამ ამ ყველაფერს ხომ აქვს დასაწყისი, ამიტომ ბოლოც უნდა ჰქონდეს, ბოლო, კი ერთია-სისულელე.

ახლა, რომ გულახდილად ვილაპარაკებ, ასე გულახდილად არასოდეს მილაპარაკია: ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი ქუჩას დავუთმე, მაგრამ რა? არც არაფერი. ყველაფერს ვაკეთებდი: ჯიხურში სიგარეტს ვთხოვდი და ვატყუებდი - ხვალ მოგცემ-მეთქი, სიკაცურკაცე (ეს სიტყვა ბესო ხვედელიძეს მოვპარე) მეგონა; სკოლაში ორიანს ვღებულობდი (შეგნებულად) და მერე ძმაბიჭებში ვბლატაობდი - ორიანი მივიღე-მეთქი; მშობლებს, მეგობრებს ვატყუებდი-ხვალ თეთრი "სემი" ("ჟიგულის" მარკის ავტომობილი) მეყოლება-მეთქი. პირველს ვეუბნებოდი - მეგობრები მჩუქნიან, მეორეს - მშობლები-მეთქი. არც "სემი" მყოლია, არც ურემი. ერთი დამპალი "ნივა" მყავდა, რომელიც ერთ თვეში ისე მოვსპე, რომ არც ძარა ვარგოდა არც სალონი. მოკლედ, რისი თქმა მინდა, ყველაფერი ვნახე: ცუდი, ძალიან ცუდი, კარგი, ძალიან კარგი, მაგრამ არასოდეს გამიკეთებია ისეთი რამ, რასაც ჩემი მეგობრები შეიძლებოდა საფრთხეში ჩაეგდო. იმ ტაქსისტმა, რომელმაც გამიჩერა და მერე "მახეში" გამაბა, არ იცოდა, რა ელოდა, მართლა, არ იცოდა. მე ნასვამი ვიყავი და ამიტომაც, ერთი წამითაც კი არ შემშინებია, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მარჯვენა საფეთქელზე, შეყენებული (გადატენილი) "მაკაროვი" მადევს, მეორე საფეთქელზე კი ვილაც ბ.ხ...ს ქუჩელი დანას მადებს და მეუბნება - ფულიო. შემეცოდა, მართლა შემეცოდა სულ ყველა, თორემ მეტი დასაკარგი არაფერი მქონია (ალბათ, ნასვამი, რომ ვიყავი მაგიტომ).

სააკაშვილი რო იძახის - ევროპა ევროპაო, რა ევროპაზეა ლაპარაკი, როდესაც ჩემ საყვარელ თბილისქალაქში ვიყავი და ყველაფერს ვფიცავარ - თავი სადღაც, დასავლეთში, რიკოთის ულელტეხილს იქით მეგონა. არა და ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ხარაგაულში და ბორჯომის ხეობაში იყო ხოლმე: სასიამოვნო სიგრილე, ზუსტად ისეთი, როგორიც დასავლეთის მთიან რაიონებში იცის, მწვანე ვაშლის ხის ძირას ნუცასთან, ლაშასთან და ნანოსთან ჯოკერის სათამაშოდ რომ მეპატიჟებიან; მტკვარი, ამვლელ-ჩამომვლელი მანქანების შუქის ფონზე, თითქოს, პირიქით მოედინებოდა და იმ დროს მახსენებდა, როდესაც ჩემ შეყვარებულთან ერთად ლიკანში, ღამ-ღამობით ვსეირნობდი და იმას ვეუბნებოდი, თუ როგორ მაგრად მიყვარს; წვიმა ცრიდა, ისედაც, ოფლისგან სველ თავს უფრო მეტად მისველებდა; ბევრი რამ მახსენდებოდა. ბევრზე მეცინებოდა, ბევრზე - მეტირებოდა. მაგრამ რა დასავლეთზეა ლაპარაკი, როდესაც ჩვენი პრეზიდენტი ამბობს - ევროკავშირში მინდა შესვლაო. საერთოდ, ცნობილი თეორემაა - ხელისუფლება აკრიტიკე, როგორი კარგიც არ უნდა იყოსო, მაგრამ ახლა, ამ თეორემაზე დაყრდნობით არ ვაკრიტიკებ ჩემს ღრმადპატივცემულ მთავრობას. თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, თუნდაც იმ უბანში, სადაც პირველად მოვხვდი, არ არის ღამის განათება, არ არის ცივილიზაციის არანაირი ნაპერწკალი. ხალხი ისევ პირამიდებით და მალვინებით (90-იანებში შარვლის ასეთი სტილი იყო მოდაში. შეიძლება პირამიდა და მალვინა ტანსაცმლის მწარმოებელი ფირმის დასახელებებიც კი იყოს, არ ვიცი) დადის. ჯერ კიდევ - სვანმა კოკა-კოლა იყიდა, გახსნა, თავსახურზე ნახა, რომ ქუდი ეწერა და თავზე დაიხურაო - ამ იუმორზე ღადაობენ, და რაც მთავარია: იქ სულ სხვა ქვეყანაა, იქ არ იციან, ვინ არის ბრიუს სპრინგსტინი; არ იციან, ვინ იყო ფედერიკო ფელინი; წარმოდგენა არ აქვთ ანტუან დე სენტ ეკზიუპერიზე, მხოლოდ ლექს-სენს უსმენენ და "იმღერე რამეს" უყურებენ. ცოდოები არიან.

ღმერთმანი, მეც მყავს ძალიან ბევრი ახლობელი, რომლებიც სწორედ მაგ უბანში ცხოვრობენ (აბა, ისე იქ რა მინდოდა), მაგრამ არ არიან ისეთები, როგორებზეც ვლაპარაკობ. ისინი, ვისზეც ნერვები მაქვს აშლილი რაღაცნაირები, სხვანაირები არიან, ისეთები, რომლებიც არ უნდა ცხოვრობდნენ პოსტ-ვარდებისრევოლუციურ ქვეყანაში. მართალი გითხრათ, სულ ცალ ფეხზე მკიდია, ვარდების რევოლუცია ერქმევა, თუ გვირილების გადატრიალება, ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ ვიცი, ვინც დამაყაჩაღა, მეტი გზა არ ჰქონია. მისი შანსი ჩემი დაყაჩაღება იყო. ღმერთმა მისცეს, ათასჯერ იმაზე მეტი, რაც ჩემგან წაიღო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს არ არის გამოსავალი, ამ მთავრობამ პირველ რიგში პენსიონერებს კი არა, იმათ უნდა მიხედოს, ვინც იმ მდგომარეობაშია, რომ პურის გულისთვის კაცი დააყაჩაღოს. არაფერ შუაშია ის, რომ მისმა მშობლებმა მას განათლება ვერ მისცეს. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც განათლების მიღება უნდოდეს და ვერ მიიღოს. უბრალოდ, მე ერთი მინდა ვთქვა: ჩემო პრეზიდენტო, მიხედე იმას, ვინც შენი მომავალია, დანარჩენი შემდეგისთვის გადადე. შენი დღეგრძელობა ხომ ჩვენს ხელშია, შენ, ჩვენ აგირჩიეთ. თესლი ჩაკალი, რომ არ გაიზარდოს. კენწეროში რო ჭრი, რა აზრი აქვს, ის ხო მაინც იზრდება?!

**P.S.** უფრთხილდით ტაქსებს. თურმე, ტაქსი ისეთივე სახიფათო ყოფილა მგზავრისთვის, როგორც მგზავრი ტაქსისთვის.

# მაგრამ, მამ, მე მინდა ბუღალტერი გავხდე

"მოკეტე და გააგრძელე რეპეტიცია!" არ არის ადვილი როკ-ვარსკვლავის შვილობა, თუ რა თქმა უნდა, თანატოლებთან არ თამაშობ თამაშს - "ჩემი მამა უფრო მაგარია, ვიდრე შენი"

## Bloodline

ამ ჯგუფს თავისუფლად შეგიძლიათ შვილები დავუძახოთ: ხუთი კაცისგან შემდგარი ჯგუფის სამი მეხუთედი სისხლით არის დაკავშირებული როკ-ენ-როლის დიდების დარბაზთან. გიტარისტი ვეილონ კრიგერი "დორსის" გიტარისტის, რობის შვილია, ბასისტი ბერი ოუკლი (უმცროსი) - Allman Brothers-ის ბასისტის, ხოლო დასარტყმელებზე შემსრულებელი ერინ დევისი - გენიალური ჯაზმენის, მაილსის. დანარჩენი ორი წევრი, ამ მხრივ არაფრით გამოირჩევა.

სახელი Bloodline (სისხლის ხაზი) მენეჯმენტის არჩეულია. მაგრამ შეიძლება უარესიც ყოფილიყო - თავიდან მათ Sons (შვილები) ერქვათ. როცა ისინი პირველად შეიკრიბნენ და საკუთარი ჟღერადობა ჩამოაყალიბეს, ცხადი გახდა - პრობლემა არ იყო, რომ ისინი საკუთარი მამების შვილები იყვნენ. მამების დიდი სახელები მათზე გავლენას არ ახდენდა.

" ბუნებრივია, მამების სახელები გვეხმარება ყურადღების მიპყრობაში და ჩვენც გვეამაყება, რომ არ ვარცხვენთ მათ", ამბობს ოუკლი.

## დვიზილ ზაპა

მამა-შვილის ბედი პროფესიულად ადრეულ ეტაპზევე გადაიკვეთა. მისი სასცენო დებიუტი 12 წლის ასაკში შედგა, როცა "ჰემერსმიტ ოდეონში" მამასთან და სტივ ვეისთან ერთად სოლოებს ასრულებდა.

"მე მგონი საკმაოდ კარგად დავუკარი", ამბობს დვიზილი. მამას უნდოდა ჩევენებინა ხალხისათვის ჩემი დაკვრა; ცემთვის ეს საოცარი განცდა იყო - ვუკრავდი სუპერ-მუსიკოსებთან ერთად."

ბიჭი, რომელიც ისე გაიზარდა, რომ უნდოდა გამხდარიყო ჟაკ-ივ კუსტო (სანამ "ყბებს" ნახავდა), და ბეისბოლისტი, რვა წლის ასაკში ღებულობს გიტარას. "ყოველთვის მომწონდა მამაჩემის მუსიკა, მაგრამ ვან ჰალენის გიტარის ხმა ძალიან მიზიდავდა - აგრესიულობის სიმძიმის და მელოდიურობის დიდი კომბინაცია".

მისი დებიუტი სინგლზე 13 წლის ასაკში შედგა. სინგლის პროდიუსერი ედი ვან ჰალენი იყო: "ძალიან ვიმხიარულე - მუსიკოსები 12-13 წლისანი იყვნენ, ჩემი დის, მუნის გარდა, რომელიც 14-სა იყო."

მოგვიანებით ის მამამისის ზოგიერთი ალბომის ჩანაწერში იღებს მონაწილეობას, თუმცა, არ ახსოვს რომლებში: " მას ხომ 65 ალბომი აქვს გამოშვებული".

## ჩესტიტი ბონო

შერის და სონი ბონოს სიყარულის ნაყოფის დებიუტი მშობლების ტელეშოუზე შედგა. ექვსი წლის იყო, როცა დედ-მამა გაიყარა. მშობლების ცხოვრება მისთვის "სამაგალითო" იყო: გაყრის შემდეგ მამას ოთხი ცოლი ჰყავდა; შერის ქმრებს შორის კი ჯგუფების Allman Brothers-ის და "კისის" წევრები გრეგ ოლმენი და ჯინ სიმონსი იყვნენ. ჩესს ისღა დარჩენოდა, რომ დედას მორცხვობით და მორიდებულობით აჯანყებოდა. 14 წლის ასაკში ის ნიუ იორკის საშემსრულებლო ხელოვნების სკოლაში შედის. "ერთხელ ჯინმა დამინახა, როგორ ავიღე დასარტყამი საკრავების ჯოხები. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მისგან დასარტყმელების კომპლექტი მიმეღო".

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მან შექმნა ჯგუფი Ceremony და 1993 წელს პირველი ალბომი გამოუშვა, ხოლო მათი პირველი კონცერტის შესახებ 350-მა გაზეთმა (!!!) დაწერა. ბევრს მოსწონს მისი შემოქმედება, თუმცა არც მათი რიცხვია მცირე, ვისი აზრითაც ერთადერთი რაც ამ გოგომ გააკეთა, ის არის, რომ ის შერის შვილია.

## ჯეისონ ბონემი

ჯეისონი ოჯახური ტრადიციების ნამდვილად ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდა. ლეგენდარული მამის სიკვდილიდან რვა წლის შემდეგ მან დამაჯერებლად დაიჭირა მისი ადგილი დასარტყამ საკრავებთან "ლედ ზეპელინის" ერთჯერადი აღდგენის დროს.

დაკვრა ოთხი წლის ასაკიდან დაიწყო - ინსტრუმენტებით მამა ამარაგებდა. მამა უკვე აღარ იყო ცოცხალი, როცა "ლედ ზეპელინის" ყოფილი მენეჯერის პიტერ გრანტის რეკომენდაციით მოხვდა ჯგუფში Airrace. ცოტა ხანში Queen-ის როჯერ ტეილორს დაუახლოვდა. შემდეგ ჯიმი პეიჯის ალბომი Outrider იყო. "ეს მართლაც ფანტასტიკური იყო - ძია ჯიმი რეალურად სწორედ მაშინ გავიცანი!!"

მერე საკუთარი ჯგუფი შექმნა და პირველი ალბომი მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. "რაც დრო გადის, მით უფრო ხშირად მეუბნებიან, რომ ძალიან ვემსგავსები მამას, თვით ლაპარაკის მანერითაც. ძალიან დიდ პატივს ვცემ მას, როგორც მუსიკოსს, ისევე პიროვნებას - ამ მხრივ, ის ჩემი იდეალია.



*დიდი ბობის შვილი, ჯეიკობ დილანი საკმაოდ წარმატებული ლოს ანჯელესური ჯგუფის Wallflowers-ის ლიდერია.*

## ჯეიკობ დილანი

დიდი ბობის შვილი, ჯეიკობ დილანი საკმაოდ წარმატებული ლოს ანჯელესური ჯგუფის Wallflowers-ის ლიდერია. ჯგუფმა პირველი ალბომი 1993 წელს გამოუშვა. ჯგუფის მენეჯერის, ენდი სლეიტერის თქმით, "ჯეიკობი მაქსიმალურად ცდილობს ჩრდილში ყოფნას და ჯულიან ლენონისგან განსხვავებით არ სპეკულირებს მამის სახელით"

## ჯოი სამნერი

სტინგის შვილი, ჯოი გარეგნულად და მანერებით ძალიან ჰგავს სახელოვან მამიკოს, თუმცა, მუსიკალური კრიტიკოსების აზრით, მას მშობლამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლია. "ჩვენი ჯგუფი, Australian Nightmare არ არის სტინგის შვილის ჯგუფი. ჩვენ ვართ ჯგუფი, არავისთან არ ვიგივდებით და გვაქვს ჩვენი მუსიკა", ამბობს ჯოი.

... და სხვანი

ლეგენდარული "ქრიმის" ბასისტის ჯეკ ბრიუსის შვილებიც მუსიკალურ ინდუსტრიაში მოღვაწეობენ. მართალია, მალკოლმი ძირითადად სცენარებს წერს, მაგრამ ლონდონის ერთ პაბში ბლუზის საღამოებსაც აწყობს ხოლმე. მისი უფროსი ძმა ჯონსი კი ხმის ინჟინერია და ჩანაწერების პროდიუსირებით არის დაკავებული.

მუსიკალური თვალსაზრისით, შვილებს შორის ყველაზე დიდ წარმატებას გრემის მფლობელმა, ჰენკ ვილიამს უმცროსმა მიაღწია. მამამისი კი ქანტრის ხატი იყო.

წარმატება არც ნატ კინგ კოლის შვილს, ნატალი კოლს აკლია და არც "ვილსონ-ფილიპსის" ტრიოს წევრებს, რომელთა მშობლები შესაბამისად "ბიჩ ბოისის" და "მამას ენდ პაპას" წევრები იყვნენ.

რაც შეეხებათ ჯონ ლენონის, რინგო სტარის და ბობ მარლის შვილებს - ჯულიანს, ზაქს და ზიგის, ისინი დამოუკიდებელი წერილის თემას წარმოადგენენ.

# ალტერნატივის ალტერნატივა

## ფესტივალი ძველი რეპუტაციით ცოცხლობს, მაგრამ ამ რეპუტაციას არ უფრთხილდება

ხელოვნების პოპულარული ფესტივალი "ფრინჯი" ედინბურგში უკვე დაიწყო. ერთი თვის განმავლობაში შოტლანდიის დედაქალაქის ყველა წერტილში, თეატრალური დარბაზებიდან დაწყებული სკოლებით, ეკლესიებითა და რესტორნებით დამთავრებული, თეატრალური სანახაობები, კომიკური, მუსიკალური და საცეკვაო შოუები გაიმართება.

ფესტივალი ტრადიციული საზეიმო მსვლელობით გაიხსნა, რომელიც ქუჩაში იმართება ხოლმე. მასში 3 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. ამ მსვლელობას 170 ათასი მაყურებელი დაესწრო.

"ფრინჯის" ისტორია 58 წლის წინ დაიწყო. ამ ფესტივალს საფუძველი ჩაეყარა, როგორც ედინბურგის ოფიციალური ფესტივალის ალტერნატივას. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ფესტივალის მასშტაბები გაიზარდა. ახლა "ფრინჯის" მონაწილე სპექტაკლების რიცხვი უკვე ათეულობით ათასს ითვლის.

წლევანდელ ფესტივალზე ერთი სიახლეა. ექსპერიმენტის სახით საფუძველი ჩაეყრება "ფრინჯის" ალტერნატიულ ფესტივალს.

ალტერნატიული ფესტივალის იდეის მეამბოხე ავტორები მიიჩნევენ, რომ "ფრინჯი" ბოლო ხანებში მეტისმეტად კომერციულ ხასიათს იძენს. ისინი შეწუხებულნი არიან იმ გარემოებით, რომ ფესტივალზე წარმოდგენილი მასალის (სპექტაკლის თუ სხვა სანახაობის) ხარისხს თანდათანობით ნაკლები ყურადღება ექცევა, მთავარია, სპექტაკლი პრესტიჟულ დარბაზში გაიმართოს და ცნობილი პირების აღიარება მოიპოვოს.

ედინბურგის არაფორმალური ფესტივალის არსებობის პირველ ხანებში "ფრინჯი" მოყვარულების, ავანგარდისტებისა და ნაკლებად ცნობილი ხელოვანების თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. კაბარე ეკლესიის შენობაში, იაფფასიანი ბილეთები, სტუდენტური "კაპუსტნიკები" - ასეთ ასოციაციებს იწვევდა მაყურებელში თავდაპირველი "ფრინჯი". ახლა ვითარება შეიცვალა. ავანგარდისტებს პოპულარული ვარსკვლავები ჩაენაცვლნენ, იაფფასიანი ბილეთები შეცვალა შემოსავლიანმა კონტრაქტებმა და საქმიანმა მოლაპარაკებებმა ლონდონის უესტ-ენდში წარმოდგენის გამართვის თაობაზე. ამ ცვლილების კლასიკური მაგალითია ბრიტანელი იუმორისტის - პოლ მერტონის გამოსვლები. მერტონი არაერთი პოპულარული ტელე და რადიოპროგრამის მუდმივი მონაწილე გახლავთ. ის რამდენიმე დღის განმავლობაში გამართავს შოუს ფესტივალის ფარგლებში და გვარიან ჰონორარსაც მიიღებს - ათეულობით ათას გირვანქა სტერლინგს.



ერთი თვის განმავლობაში შოტლანდიის დედაქალაქის ყველა წერტილში, თეატრალური დარბაზებიდან დაწყებული სკოლებით, ეკლესიებითა და რესტორნებით დამთავრებული, თეატრალური სანახაობები, კომიკური, მუსიკალური და საცეკვაო შოუები გაიმართება.

"ფრინჯის" დირექტორი ამბობს, რომ ცნობილი სახელებისა და დიდძალი ფინანსების მოზიდვა ფესტივალის რეპუტაციის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა. დღეს, როდესაც მთელ მსოფლიოში, მათ შორის, დიდ ბრიტანეთშიც, ასე მომრავლდა ხელოვნების ფესტივალები, ეს საჭიროა იმისათვის, რომ "ფრინჯმა" თავისი სახე არ დაკარგოს.

თუმცა, იმ მოყვარულებთან ერთად, რომელთათვისაც ნამდვილად ძნელია ხელოვნების გიგანტებთან ჭიდილი, ალტერნატიულ ჯგუფს საკმაოდ პოპულარული შემსრულებლებიც შეუერთდნენ. ისინი რისკს არ შეუშინდნენ. გაბედულ ბრიტანელ ხელოვანთა შორის არიან: უესტ-ენდის გახმაურებული მიუზიკლის - "ოპერა: ჯერი სპრინგერი" თანაავტორი სტიუარტ ლი და კომიკოსები - დენიელ კიტსონი და ჯენი ეკლერი.

ახალი ალტერნატივის მომხრეებს შორის არის რიჩარდ დემარკო, თეატრ "ტრავერსის" ერთ-ერთი დამაარსებელი (ეს თეატრი ედინბურგის თეატრების ე.წ. "ოქროს სამეულშია" შესული). "ფესტივალმა ზედმეტად ეკონომიკური შინაარსი შეიძინა. როდესაც აქ თავის დროზე გამოდიოდნენ პიტერ კუკი, დადლი მური და რიჩარდ ბერტონი, მათ თავიანთი საქმის დიდი სიყვარული ამოძრავებდათ. ახლანდელი ფესტივალი ამ რეპუტაციით ცოცხლობს, სინამდვილეში კი ამ რეპუტაციას დიდად არ უფრთხილდება," - განაცხადა დემარკომ გაზეთ "ობზერვერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

წარმატებული გამოდგა თუ არა ახალი "ფრინჯის" იდეა, ამას უახლოეს მომავალში გავიგებთ. ჭორები კარგი დადგმებისა და ახალბედა ნიჭიერი შემსრულებლების შესახებ ედინბურგში, ისევე როგორც ყველგან, ელვისებური სისწრაფით ვრცელდება. ჯერჯერობით ხელოვანები მაყურებელს საკუთარ თავს აცნობენ - ზოგი მარტივი თვითრეკლამით, ზოგი კი - ძვირადღირებული სარეკლამო პლაკატებით.

ალტერნატიული ფესტივალის მარშრუტის ყველაზე საინტერესო და ორიგინალური პუნქტი ინდური რესტორანი, სპორტული ავტომობილი და ლიფტის კაბინა გახლავთ.

მაყურებელი მოუთმენლად ელის ამასწინათ გამოქვეყნებული "ჯეფრი არჩერის დღიურის" დადგმას. ბრიტანელებს კარგად ახსოვთ ცნობილი ბრიტანელი პოლიტიკოსის, კონსერვატიული პარტიის ყოფილი ვიცე-თავმჯდომარის, მწერლისა და მილიონერის - ჯეფრი არჩერის სასამართლო პროცესი. არჩერმა შეცდომაში შეიყვანა მოსამართლე, რომელიც მეძავთან მისი ურთიერთობის საქმეს იძიებდა და პატიმრობაც ამის გამო მიუსაჯეს.

ჰოლივუდის ვარსკვლავს, კრისტიან სლეიტერს ამჯერად არ გაუმართლა. ის მიულოდნელად ავად გახდა და იძულებულია, გადადოს თავისი ბრიტანული დებიუტი სპექტაკლში - "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა".

ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო წარმოდგენა ალტერნატიულ ფესტივალზე იქნება დუეტი, რომელსაც ასეთი სახელწოდება აქვს: "პოპულარობით მეოთხე ახალზელანდიური ხალხური პაროდიის დუეტი". თუმცა, სახელწოდებით თუ ვიმსჯელებთ, მას არც "მარკ უოტსონის სუპერამბიციური 24-საათიანი შოუ" ჩამოუვარდება.

"ფრინჯზე" პოლიტიკური სატირაც გაიჟღერებს. ბუნებრივია, ყველაზე აქტუალური ერაყის ომის თემა იქნება.

კრიტიკოსების პროგნოზით, დიდ ინტერესს გამოიწვევს ესპანური ჯგუფის - La Fura del Baus-ის წარმოდგენა "XXX", რომელიც თამამი სცენური ჩანაფიქრით იქცევს ყურადღებას.

ფესტივალი 30 აგვისტომდე გაგრძელდება.

### ათეულები

| კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით | | | |
|---|---|---|---|
| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
| ალენ კარი | ბოლო სიგარეტი – მარტივი გზა | რუსთაველი პრინტი | 5.2 |
| [illegible] | შელები | შპს "ინტელექტი" | 2.0 |
| კრებული | პენ მარათონი 2004 | დიოგენე | 2.0 |
| დათო ტურაშვილი | გურჯი ხათუნი | ლიტერა | 1.6 |
| რეზო გაბრიაძე | კრებული | [illegible] | 1.2 |
| გიორგი მაისაშვილი | ქართული სახელმძღვანელო მშენებლობისათვის | | 1.2 |
| აკა მორჩილაძე | წიგნი | | 1.2 |
| მიხო მოსულიშვილი | ერთი მამის შვილები | [illegible] | 1.2 |
| ჭაბუა ამირეჯიბი | დათა თუთაშხია | | |
| ხუან რამონ ხიმენესი | პლატერო და მე | საარი | 1.2 |

| წლის ყველაზე შემოსავლიანი ფილმები ამერიკაში | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფილმის სახელწოდება | რეჟისორი | მსახიობები | საერთო შემოსავალი მილიონ $-ში | ეკრანებზე გამოსვლა |
| შრეკი 2 | ენდრიუ ადამსონი, კონრად ვერნონი, კელი ესბერი | მაიკ მაიერსი, ედი მერფი | 434.4 | 11 კვირა და 5 დღე |
| ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება | პიტერ ჯექსონი | ელაიჯა ვუდი, შონ ასტინი | 377.0 | 23 კვირა და 6 დღე |
| ქრისტეს ვნებანი | მელ გიბსონი | ჯეიმს კავიზელი, მონიკა ბელუჩი | 370.3 | 21 კვირა და 5 დღე |
| ადამიანი-ობობა 2 | სემ რაიმი | [illegible] | 354.5 | 5 კვირა და 5 დღე |
| ჰარი პოტერი აზკაბანის ტყვე | ალფონსო კუარონი | დენიელ რედკლიფი, ემა უოტსონი, გარი ოლდმანი | 245.3 | 9 კვირა და 3 დღე |
| დღე ხვალის შემდეგ | როლანდ ემერიხი | დენის ქვეიდი, იან ჰოლმი | 185.2 | 10 კვირა და 3 დღე |
| ელფი | ჯონ ფავრო | [illegible] | 173.4 | 16 კვირა და 3 დღე |
| მატრიცა: რევოლუცია | ლარი და ენდი ვაჩოვსკები | კიანუ რივზი, [illegible] | 139.3 | 15 კვირა და 5 დღე |
| Cheaper By The Dozen | შონ ლევი | სტივ მარტინი, ბონი ჰანტი | 138.6 | 23 კვირა და 4 დღე |
| ტროა | ვოლფგანგ პეტერსენი | ბრედ პიტი, პიტერ ო' ტული, ერიკ ბანა | 133.1 | 12 კვირა და 3 დღე |




| კვირის ცხელი მუსიკალური ათეული ზრდასრულთათვის ჟურნალ "ბი ლბორდის" მიხედვით | | |
|---|---|---|
| შემსრულებელი | სახელწოდება | ხმისჩამწერი კომპანია |
| Red Hot Chili Peppers | Live In Hyde Park | "უორნერ ბროსი" |
| ანასტასია | ანასტასია | "ეპიკი" |
| ავრილ ლავინი | Under My Skin | "არისტა" |
| აშერი | Confessions | "არისტა" |
| Maroon 5 | Songs About Jane | JPMG |
| Bohse Onkelz | Adios | Regal/23/SPV |
| Keane | Hopes And Fears | Island |
| The Streets | A Grand Don't Come For Free | Locked On/679 Recordings |
| ნორა ჯონსი | Feels Like Home | Blue Note |
| Scissor Sisters | Scissor Sisters | Polydor |



# ნახევრად შიშველი მისკინა „დათვის" კლანჭებში

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ბერძნული მითოლოგიის მოყვარული შედარებისგან თავს ვერ შეიკავებდა და აუცილებლად გაიხსენებდა ხარად ქცეულ ზევსს, რომელმაც მშვენიერი ევროპა მოიტაცა. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მითოლოგია არ გამოგვადგება. რუსული ჟურნალი "მედვედ" ("დათვი") ზევსობას ნამდვილად ვერ ქაჩავს, ჩოგბურთელი ანასტასია მისკინა კი, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ღია პირველობაზე გაიმარჯვა, მშვენიერი ევროპა მაინც არაა. და საერთოდ, აქ მითოსზე კი არა, სასამართლოზეა საუბარი.



ანასტასია მისკინამ ნიუ იორკში, მანჰეტენის საოლქო სასამართლოში ჟურნალ GQ-ს, მისი მფლობელი კომპანიის, Conde Nast Publications-ის და ფოტოგრაფ მარკ სელიგერის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. ის მათგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, 8 მილიონ დოლარს ითხოვს. ამისთანა რვამილიონიანი რა ჩაიდინა ამ არცთუ წმინდა სამებამ? აი, რა მოხდა: 2002 წლის ოქტომბრის ნომერში ჟურნალმა GQ-მ ანასტასიას ფოტოები გამოაქვეყნა, რომლებზეც ის წელსზემოთ შიშველია გამოსახული (დანარჩენებს ჯინსები უფარავდა). მაშინ მისკინა ჯერ კიდევ არ იყო **მისკინა**, ჯერ არც საფრანგეთის ღია პირველობა ჩანდა, და იმხანად ანასტასიას არც ასაკი ჰქონდა დიდი და არც ფული.

მაგრამ ჩოგბურთის ამორძალი ამის გამო არ ჩივის. რუსულ ჟურნალში მამაკაცებისთვის, რომელსაც ერთობ მრავლისმთქმელი სახელწოდება აქვს - "დათვი", წელსზემოთ გახდილი მისკინას ფოტოსურათებმა 2002 წლის ოქტომბრიდან წლევანდელ ივლის-აგვისტოს ნომერში გადაინაცვლა. ერთი ფოტოსურათი გარეკანზეც კი იყო დაბეჭდილი.

მისკინას სარჩელში ნათქვამია, რომ GQ-მ და Conde Nast Publications-მა არ შეასრულეს ის პირობები, რომელთა თანახმადაც მათ სელიგერის მიერ გადაღებული ფოტოსურათების ანასტასიას თანხმობის გარეშე გამოქვეყნების უფლება არ ჰქონდათ. ეს ფოტოსურათები მხოლოდ და მხოლოდ GQ-სთვის იყო განკუთვნილი და სხვა არავითარ ბეჭდურ ფაუნას არ უნდა ჩავარდნოდა ხელში, მათ შორის არც რუსულ "დათვს". ჩოგბურთელის ადვოკატების მიერ შედგენილ სარჩელში ნათქვამია, რომ "დათვის" მიერ გამოქვეყნებული ფოტოსურათები "უარლესად უხერხულია და მათ ქალბატონ მისკინას დიდი ემოციური ტანჯვა და ეკონომიკური ზარალი მიაყენეს". სარჩელში სელიგერს ბრალი ედება იმაში, რომ მან მისკინას პოპულარობაზე მოითბო ხელი, ხოლო და GQ-მ და Conde Nast Publications-მა მისი სტუდიის მიერ მისკინას ფოტოსურათების "დათვისთვის" მიყიდვის ამბავი იცოდნენ, მაგრამ ამაში ხელი არ შეუშლიათ, თუმცა ეს მათი ვალი იყო.

სელიგერის ფოტოსტუდიამაც და Conde Nast Publications-ის წარმომადგენელმა, ქალბატონმა მეიური პერლმაც სარჩელის კომენტირებაზე უარი განაცხადეს, ხოლო მისკინას ადვოკატმა ალექსანდრ ბერკოვიჩმა ბრძანა: "საქმე ის კი არაა, რომ ჩემს კლიენტს ნიუდ გადაუღეს სურათი. საქმე ისაა, რომ სხვებმა გადაწყვეტილება მისი ნებართვის გარეშე მიიღეს". მისი თქმით, წელს ზემოთ გახდილის ეს ფოტოსურათი დასაბეჭდად არ იყო განკუთვნილი. "ანასტასიასთვის და ჩემთვისაც ეს სრული მოულოდნელობა იყო," - თქვა ბერკოვიჩმა. მან დასძინა, რომ ბრალდებულები მისკინას სტატუსზე აპირებდნენ ზეწოლას (ეს ფოტოსურათები მანამდე ორი წლის განმავლობაში არსად გამოჩენილა). ამჟამად 23 წლის ჩოგბურთელი უკვე დიდი მუზარადის მფლობელია და საკვალიფიკაციო ტაბულაშიც მეოთხე ადგილზე დგას.

აი, ასეთია დიდებისა და წარმატების ფასი - მოცემულ შემთხვევაში, რვა მილიონი დოლარი.

ანასტასია პირველი და უკანასკნელი "დაზარალებული" როდია. კლასიკური მაგალითი "ფლეიბოიში" გამოჭენებული დედიშობილა მერლინ მონროა - ამ სურათის გადაღების დროს ის ლამის მოზარდი იყო. მისკინასთან ერთად სასამართლოში სარჩელი შეიტანა კინოვარსკვლავმა კემერონ დიასმაც - ის ცდილობს, წინ აღუდგეს ფოტოგრაფ ჯონ რატერის მიერ პორნოგრაფიული ვიდეოფილმის გაყიდვას, რომელშიც ის 19 წლის ასაკში მონაწილეობდა. დიასი რატერს "გამოძალვისთვის" ციხითაც კი დაემუქრა. ამ ფილმში შიშველი დიასი მიჯაჭვულ მამაკაცს საჯდომზე ურტყამს მათრახს. თუმცა, ეს არავის უნდა გაუკვირდეს, თუ მსახიობს "ჩარლის ანგელოზებსა" და სხვა "დეკამერონებში" გავიხსენებთ. თავისი სარჩელით დიასმა საპირისპირო შედეგს მიაღწია: ვებგვერდზე "სკანდალ-ინკ.com" მისი პორნოვიდეო 39 დოლარად და 95 ცენტად იყიდება. ყველაზე სამარცხვინო ისაა, რომ ფილმში კემერონი სრულიად უნიჭო პორნოვარსკვლავია, იმდენად უნიჭო, რომ კადრში რატერი მის გაცოცხლებას ცდილობს და უყვირის: "ეცადე, საძაგელი იყო, კემერონ, მეტისმეტად კარგი გოგო ხარ!"

არ ვიცი, გაუწიეს თუ არა სკანდალურმა საიტებმა მისკინას ანალოგიური დათვური სამსახური. ასეთ დათვებზე სანადიროდ სერიოზული იარაღია საჭირო, ანასტასიამ კი, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩოგანის ხმარება იცის...



## ქომაგის ღრიანკალი



სანდრო ნავერიანი

# ეჰ, - თქვა წრუწუნამ

რა დროს ბათუმები, გონიოები და ანტალიებია, როცა საბერძნეთის მითიურ მიწაზე მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური სპორტული ღონისძიება იმართება.

არადა, რა ქნას ამ ხალხმა, დასვენება ხომ უნდა; ზღვა, დიდი ტალღები, მზე და გარუჯვაც ხომ უნდა; უნდა, აბა, არ უნდა?!

არადა, ამ ხალხს ფული რომ ჰქონდეს, ბათუმში და გონიოში კი არა, ათენში წავიდოდა, ათენში.

არადა, როგორ სჭირდებათ ჩვენს სპორტსმენებს მხარდაჭერა; ჰაერივით სჭირდებათ ერთი ორასი-სამასი ქართველის გვერდში დგომა.

არადა, სადაა ბიძიკო, ათენში წასასვლელი ფული, თორემ რას ამბობ, ვინ არ წავიდოდა, ან ვის არ აქვს სურვილი; წავიდოდა, ზღვასაც ნახავდა, დიდ ტალღებსაც, მზესაც და გაირუჯებოდა კიდეც, მაგრამ...

არადა, ჩვენ-ქართველები არ უნდა ვიმსახურებდეთ იმას, რომ ერთხელ მაინც მსოფლიო მნიშვნელობის სპორტულ ღონისძიებაზე გულშემატკივართა დიდი არმია ჩავიყვანოთ?

ეჰ, ძნელია ამ ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ რას იზამ, მშობლიურ მიწას ხომ არ დატოვებ და შენგენის ემიგრანტი ხომ არ გახდები. იქ, იცოცხლე, კი აქვთ ყველაფერი, მაგრამ სული არ აქვთ, ქართული სული.

არადა, რა დროს ქართული სულია, როცა ხალხს საკვების ფული არ აქვს.

არადა, საკვების გარეშე, ვერც სპორტსმენებს გავზრდით და ვერც პრეზიდენტებს.

არადა, პრეზიდენტი გვყავს. ჩვენ სპორტსმენები გვჭირდება. ბევრი, ძლიერი, შეუპოვარი, სამშობლოს სიყვარულით აღსავსე სპორტსმენები გვჭირდება.

არადა, სპორტსმენებს ფული სჭირდებათ - ვიტამინები ხომ უნდათ! სპორტული ინვენტარი ხომ უნდათ!

არადა, ფული არ არის. მაგრამ, სული არის, ქართული სული, რომლის წყალობითაც, ათენიდან ოქროს მედლების საქართველოში გადმოქაჩვას ვაპირებთ და გადმოვქაჩავთ კიდეც, აი ეგრე, უშ!!!

რამდენი "არადა" არის ამ ცხოვრებაში, არა? მაგრამ, არაუშავს, ყველაფერი კარგად იქნება და ჩვენს ქვეყანასაც გადმოხედავს ნიკე (მაინც გამარჯვების ქალღმერთია და იმიტომ, თორემ თუ არ გავინძერით, არაფერი გვეშველება).

არადა, პრეზიდენტის სიტყვებმა, რომელიც ოლიმპიელებთან შეხვედრაზე გააკეთა, გული ამიჩუყა, სიამაყის გრძნობა შემმატა, იმედი მომცა და, რაც მთავარია, პირველად ვნახე ცხოვრებაში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ქართველ სპორტსმენებს როგორც თანასწორებს ისე ელაპარაკებოდა, და საერთოდ, თუ არ ვცდები, პირველად ვნახე, რომ პრეზიდენტი ასეთ შეხვედრას უწყობდეს ქართველ სპორტსმენებს, თორემ საზღვარგარეთ ისეთები მაქვს ნანახი, რომ... არ გეგონოთ, საზღვარგარეთ დავდიოდე, ჩემი ჰონორარი ამის საშუალებას არ მაძლევს, უბრალოდ, ტელევიზორში მინახავს, როგორი გულთბილი დახვედრა მოუწყო ჯორჯ ბუშმა "სან-ანტონიო სფურზს", როდესაც ისინი, ზედიზედ მეორედ, გახდნენ ჩემპიონები. კიდევ ბევრი მინახავს, მაგრამ ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ქართველებო, ოლიმპიელებო, ჩამოგვიტანეთ ოქროები, ბევრი ოქრო ჩამოგვიტანეთ! ისეთი ოქროები, რომ სიბრჭყვიალით დავბრმავდეთ; ისეთი ოქროები ჩამოგვიტანეთ, რომ ათასწლეულებმაც არ შეჭამოს და დააჟანგოს; ისეთი ოქროები, რომ ყველამ დაინახოს! ვერ დავიკვეხნი, ოლიმპიადოლოგი ვარ-მეთქი, მაგრამ რაღაც-რაღაცები ვიცი. ისიც ვიცი, რომ როდესაც გამარჯვებულები თავის ქვეყანაში ბრუნდებოდნენ, გრანდიოზულ დახვედრებს უწყობდნენ. დამიჯერეთ, საქართველოშიც ასე იქნება - ოღონდ თქვენ მოიგეთ-ბიჭებო და გოგოებო და, დახვედრა ჩვენზე იყოს. ისეთი დაგხვდეთ, რომ არასოდეს დაგავიწყდებათ და, შეიძლება, სიამაყისგან ტირილიც კი დაიწყოთ.

ქენით ისე, რომ ჯერ საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა აფრიალდეს და მერე დანარჩენი ქვეყნების. თუ წინააღმდეგი არ ხართ, მაშინ სამივე დროშა საქართველოსი იყოს და ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაოც თქვენ გაიყავით.

იყო ასეთი მწერალი - ფრანც კაფკა და მას ერთი პატარა, საინტერესო შინაარსის იგავი აქვს დაწერილი, რომელსაც ახლა მოგიყვებით: ეჰ,- თქვა წრუწუნამ - ეს ქვეყანა ვიწროვდება და ვიწროვდება. ადრე იმხელა იყო, რომ შიშისგან გავრბოდი და გავრბოდი და როდესაც მოშორებით, მარჯვნივ და მარცხნივ კედლებს ვხედავდი, მიხაროდა, მაგრამ ეს კედლები ისეთი სისწრაფით უახლოვდება ერთმანეთს, რომ ბოლოში ერთი პატარა ოთახია დარჩენილი, რომლის კუთხეშიც სათაგური დევს და მეშინია, არ გავება. ამიტომ, მიმართულება უნდა შეიცვალოო, - უთხრა კატამ და წრუწუნა შეჭამა. ამ იგავის შინაარსს მიმხვედრი მიხვდება. ვინც ვერ მიხვდება, მე ვერაფრით დავეხმარები. ასე რომ, ჩვენო საამაყო სპორტსმენებო, დამარცხებულის სინდრომი მოიშორეთ და მოაშორეთ ჩვენს საყვარელ საქართველოს. წაგების ტენდენცია გამარჯვებით ჩაახშეთ. ნუ გექნებათ იმის შიში, რომ, თუნდაც მარცხის შემთხვევაში, იტყვიან, - ისევ დამარცხდნენო. მორჩა, დამთავრდა, აღარ გვინდა იმაზე წუწუნი, რაც იყო. გავიღიმოთ, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი იყო (ეს სიტყვები მარკესს მოვპარე). ჩვენ ახალ სახელმწიფოს ვაშენებთ და მოდით, დიდი წვლილი შეიტანეთ ახალი საქართველოს შენებაში. შეიცვალეთ მიმართულება, რომ კატამ არ შეგჭამოს.

ალბათ, ალბათ კი არა და, აქედან ლაპარაკი გაცილებით იოლია ვიდრე მანდ საქმის გაკეთება, მაგრამ ეს ყველაფერი გულიდან მოდის. მინდა, რომ ჩვენმა შვილებმა, საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების დაკარგული თაობა კი არა, ოლიმპიური ჩემპიონები გაიხსენონ. მინდა, რომ, როდესაც დავბერდები და შვილიშვილთან ერთად სტადიონზე წავალ, მოვუყვე, თუ რა დიდი სპორტსმენები გვყავდა. მინდა, იმდენი ჩემპიონი გვყავდეს, რომ ვერც კი დავიმახსოვრო ყველას სახელი და გვარი. აი, ეგრეა - მინდა და, რა ვქნა?! ყველაზე მეტად კი ის მინდა, რომ კარგ, სასიამოვნო და საამაყო თემებზე მომიწიოს წერა. არ მინდა, რომ დამარცხებულ ქართველებზე ვწერო, არ მინდა!

არადა, ჩემი საქმე წერაა, რასაც ვაკეთებ კიდეც, მაგრამ აბა, თქვენი თავი წარმოიდგინეთ ჩემს ამპლუაში - სულ იმაზე ვწერ, თუ როგორ დამარცხდა ესა და ეს ქართველი სპორტსმენი. ბოლოს და ბოლოს მომბეზრდება და სამსახურიდან წავალ. სამსახურიდან თუ წაველი, ფული აღარ მექნება. ფული თუ აღარ მექნება, რა ვქნა, რითი ვიარსებო? მოკლედ, ისე ქენით, რომ სამსახური არ დავტოვო.

არადა, რად გინდათ თავი, ბიჭი (ანუ მე) თუ დაგეჩაგრათ.

P.S. რაც ზემოთ წერია, უმეტესობა გულიდან მოდიოდა და, რაც უბრალოდ წამოვაყრანტალე, იმას ყურადღებას ნუ მიაქცევთ. მე თქვენთან ვარ მთელი სულით და გულით. გაუმარჯოს საქართველოს ოლიმპიელებს!!! უშ!!!

**თქვენი წერილები მოიტანეთ შემდეგ მისამართზე:**
**ვაჟა ფშაველას N45 ან გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე snaveriani@24hours.ge**

ფეხბურთი

# გადაწყვეტილია - ოუენი "რეალში" ითამაშებს

### ვიეირა კი "არსენალში" რჩება



*ოუენი კარიერას "რეალში" გააგრძელებს*

ინგლისური ფეხბურთის "ოქროს ბიჭუნა", მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული თავდამსხმელი, "ლივერპულის" სიმბოლო, ინგლისის ნაკრების უმთავრესი იმედი, მაიკლ ოუენი მშობლიურ "ლივერპულს" ტოვებს. ის იმავე გზას დაადგა, რომელსაც დევიდ ბექჰემი ერთი წლის წინათ - მადრიდის "რეალის" მიმართულებით.

წლევანდელი ზაფხულის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი შედგა და ამ ტრანსფერის ავტორად, ისევე, როგორც შარშან (ბექჰემი), შარშანწინ (რონალდო), შარშანწინისწინ (ზიდანი) და კიდევ იმის წინ (ფიგუ), კვლავინდებურად სამეფო კლუბი გვევლინება.

მარჩიელობა, თუ ვის შეიძენდა "რეალი" წლევანდელ სატრანსფერო ზაფხულში, ჯერ კიდევ ზამთრიდან დაიწყო. ანრი, ნისტელროოი, ტოტი, ვინ მოთვლის, რამდენი გვარი დასახელდა. კანდიდატურა, მართლაც, ბევრი იყო, თანაც ყველა შემტევი სტილის ფეხბურთელი - თავდამსხმელები და ნახევარმცველები.

თუმცა, გასული სეზონი "რეალმა" პირწმინდად ჩააგდო. ნათლად გამოჩნდა, რომ გუნდს, უპირველეს ყოვლისა, დაცვის გაძლიერება სჭირდებოდა და არა ფორვარდები. "რეალმა", მართლაც, გამოიტანა დასკვნები და სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე ცენტრალური მცველი, არგენტინელი ვალტერ სამუელი შეიძინა "რომასაგან". უშუალოდ, დაცვის ხაზის გაძლიერებასთან ერთად, სამეფო კლუბმა დაცვითი სტილის ნახევარმცველის შეძენაც გადაწყვიტა და ამ პოზიციაზე ლონდონის "არსენალის" საყრდენი ნახევარმცველი, ფრანგი პატრიკ ვიეირას შეგულება სცადა. ლონდონელებთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ეს საკითხი, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილი იყო. მთელი მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები და, მათ შორის, ჩვენი გაზეთიც, იუწყებოდნენ, რომ ვიეირა უკვე "რეალის" წევრი გახდა, თუმცა...

ვიეირასთან განშორება ლონდონელებს არაფრის დიდებით არ სურდათ, თუმცა მსოფლიოს უდიდეს კლუბში თამაშის სურვილი თავად ფეხბურთელს ჰქონდა. "არსენალი" მადრიდელებთან მოლაპარაკების დაწყებას საბოლოოდ მაინც დასთანხმდა. კლუბები ტრანსფერის ღირებულებაზეც შეთანხმდნენ, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ლონდონელებმა გადაიფიქრეს და ვიეირა კიდევ უფრო გააძვირეს. სამეფო კლუბის პრეზიდენტმა პერესმა "არსენალის" ხელმძღვანელობის ოინების მოთმენა აღარ ისურვა და ლონდონელთა სპორტულ დირექტორ დევიდ დეინთან დაგეგმილი შეხვედრა გააუქმა. ასე და ამრიგად, ვიეირა "არსენალში" რჩება. ფეხბურთელმა ოფიციალური განცხადებაც გააკეთა და თქვა, რომ "არსენალისადმი" მისი სიყვარული იმდენად დიდია, რომ ამ გუნდს ვერაფრის დიდებით მიატოვებს. ასეთი "ერთგულება" ვიეირას მალე დაუფასდება - "არსენალი" მას ახალ, ორწლიან კონტრაქტს გაუფორმებს და ხელფასსაც საგრძნობლად გაუზრდის.

ვიეირას ტრანსფერის ჩაშლის და ოუენის "რეალში" გადასვლის შესახებ ინფორმაციები, დაახლოებით, ერთდროულად გავრცელდა. თუმცა, არ იქნება მართალი, თუ ვიტყვით, რომ "რეალმა" ოუენი ვიეირას ნაცვლად იყიდა. როგორც ჩანს, "ლივერპულთან" მოლაპარაკებებს "რეალი" პარალელურად აწარმოებდა, თანაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამ მოსაზრებას ის ადასტურებს, რომ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში, როდესაც "ლივერპული" "გრაცს" ეთამაშებოდა, მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა ოუენი სათადარიგოთა სკამზე დატოვა და მოედანზე გასვლის საშუალება ერთი წუთითაც არ მისცა. გრაციდან დაბრუნების შემდეგ კი ოუენმა "ლივერპულის" დუბლშემადგენლობასთან ერთად განაგრძო ვარჯიში. და რას უნდა ნიშნავდეს ეს ყოველივე? - იმას, რომ "გრაცის" წინააღმდეგ მატჩის დღეს ოუენის "რეალში" გადასვლის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. ბენიტესმა ის იმიტომ არ ათამაშა, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, "რეალი" ოუენს ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში ვეღარ გამოიყენებდა.

მართალია, კლუბსა და ფეხბურთელს შორის კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ ეს ფორმალობა მალე მოგვარდება. "რეალი" უკვე ყველა დეტალზე შეუთანხმდა "ლივერპულსაც" და თავად ოუენსაც. 25 წლის თავდამსხმელი 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს სამეფო კლუბთან და, ამ ხელშეკრულების თანახმად, წელიწადში ოთხ მილიონ ევროს მიიღებს.

რაც შეეხება "ლივერპულს", ოუენის სანაცვლოდ, ეს კლუბი 12 მილიონ ევროს და, დამატებით, "რეალის" ერთ ფეხბურთელს მიიღებს. ინგლისელთა ახლად დანიშნულმა ესპანელმა მწვრთნელმა "რეალის" მიერ შეთავაზებულ ფეხბურთელებს შორის ახალგაზრდა ნახევარმცველი, ნუნიესი აირჩია.

ნუნიესი, მართლაც, ნიჭიერი ფეხბურთელია და ევროპაში მას ბევრი მსურველი ჰყავს, არც 12 მილიონი ევროა პატარა ფული. თუმცა, ოუენის სანაცვლოდ, მეტის მიღებაც შეიძლებოდა. რატომ დასთანხმდა "ლივერპული" მადრიდელთა წინადადებას? - ამას მარტივი ახსნა აქვს. "ლივერპულთან" ოუენის კონტრაქტის ვადა ერთ წელიწადში იწურებოდა. ის რომ ახლა არ გაეყიდათ, ერთი წლის შემდეგ, ოუენის სანაცვლოდ, კაპიკსაც ვერ მიიღებდნენ. სულ არაფერს, "ლივერპულმა" 12 მილიონი და ნუნიესი არჩია. ამას არც თავად რაფაელ ბენიტესი მალავს: "ოუენი შესანიშნავი ფეხბურთელია და მისი წასვლა ძალიან გულდასაწყვეტია. თუმცა, ოუენის კონტრაქტი ერთ წელიწადში სრულდებოდა და "რეალმა" ეს კარგად იცოდა. ბოლო, როდესაც საქმეში "რეალის" დარი გუნდი ერევა, შენ უძლური ხდები. მაიკლის სანაცვლოდ მიღებულ თანხას გუნდის დასაბალანსებლად გამოვიყენებთ".

მაშ ასე, "რეალს" კიდევ ერთი ვარსკვლავი შეემატა, თანაც - ისევ თავდამსხმელი. და რა ეშველება საყრდენი ნახევარმცველის ვაკანტურ ადგილს? უკანასკნელი ინფორმაციით, ვიეირას ტრანსფერის ჩაშლის შემდეგ მადრიდელები "რეალ სოსიედადის" ნახევარმცველის ხაბი ალონსოს გადაბირებას ლამობენ.

# დღეს პრემიერლიგა იწყება

პაატა თოთაძე



*აბრამოვიჩის "ჩელსის" წელს დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ.*

როგორი იქნება წლევანდელი პრემიერლიგა? შეძლებს თუ არა მუდამ მეორე პლანზე მდგომი ლონდონის "ჩელსი" ჩემპიონობის მოპოვებას? თქმა არ უნდა, "ლურჯები" წლევანდელი პირველობის მოგების ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატები არიან. თუკი ეს მოახერხეს, ფეხბურთის მოყვარულები მიიღებენ პასუხს კითხვაზე - რაში დახარჯა რომან აბრამოვიჩმა მილიონები.

წლევანდელი სეზონი გულშემატკივრებს დიდ ინტრიგას არ ჰპირდება, რადგან პირველობის მაძიებელთა რიცხვი, გასული სეზონის მსგავსად, სამი გუნდითაა შემოფარგლული - "არსენალი", "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ჩელსი".

"არსენალს" თავისი ტიტულის დაცვა მოუწევს, რაც არცთუ ისე იოლი იქნება. შარშანდელთან შედარებით, არსენ ვენგერის თქმით, გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა. ამის დასტურია ინგლისის სუპერთასზე "მანჩესტერის" დამარცხება - 3:1. გუშინდლამდე "მეთოფეთა" ყველაზე დიდ პრობლემას პატრიკ ვიეირა წარმოადგენდა; უფრო სწორად, მწვრთნელებმა არ იცოდნენ, მის ადგილას ვის უნდა ეთამაშა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ფეხბურთელი ლონდონში რჩება, პრობლემა მოიხსნა.

მიუხედავად ყველაფრისა, ბევრი ფიქრობს, რომ წლევანდელი სეზონი "ჩელსის" იქნება. რუსი ოლიგარქის რომან აბრამოვიჩის მიერ გუნდის ყიდვის პირველ წელს "ჩელსიმ" დიდ შედეგებს ვერ მიაღწია. მართალია, ის მუდამ მოწინავეთა შორის იმყოფებოდა, მაგრამ ამბიციური აბრამოვიჩისთვის ეს საკმარისი არაა. "აბრამოვიჩის ერის" მეორე წელს გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა და ეს სამწვრთნელო შტაბსაც შეეხო და ფეხბურთელებსაც. სწორედ ამან აქცია "ლურჯები" წლევანდელი ჩემპიონატის მოგების უპირველეს ფავორიტებად. გუნდიდან წავიდნენ - ხუან სებასტიან ვერონი, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, ერნან კრესპო. მათ ნაცვლად კი, გუნდში მოვიდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებმაც უკვე მოასწრეს თავის გამოჩენა ევროპაში. ეს არის ჰოლანდიის ბოლო წლების ჩემპიონატების ბომბარდირი მატეა კეჟმანი, "მარსელის" თავდამსხმელი დიდიე დროგბა, ევრო 2004-ის საუკეთესო ცენტრალური მცველი რიკარდუ კარვალიუ. კონკურენცია იქნება მეკარეთა შორისაც - კარლო კუდიჩინის პეტერ ჩეჰი შეეცილება. ერთი სიტყვით, "ჩელსის" ძლიერ შემადგენლობასთან ერთად მაღალი კლასისი ბევრი ფეხბურთელი ჰყავს – ანუ, როგორც იტყვიან, გრძელი სკამი აქვს. ეს კი მას ერთდროულად ორ ფრონტზე ბრძოლის შანსს მისცემს. აბრამოვიჩის და მაურინიოს ამბიციებს პირველი გამოცდა ხვალ ელით - პირველი ტურს "ჩელსი"-"მანჩესტერის" მატჩი დააგვირგვინებს.

"მანჩესტერი" ამჟამად არცთუ კარგ ფორმაშია. ამის მიზეზი რუუდ ვან ნისტელროოის და სოლსკიაერს ტრავმებია. ამასთანავე რონალდო და ჰაინცე ოლიმპიადაზე არიან; რიო ფერდინანდი კი, კარგა ხანია, დისკვალიფიცირებულია.

ჩემპინობის მაძიებელთა მეორე რიგში "ნიუკასლი" და "ლივერპული" დგანან. მათგან ჩემპიონობას, ალბათ, არავინ ელის, თუმცა ერთ-ერთი მათგანი, შესაძლოა, გაერიოს კიდეც ლიდერთა შორის. ეს, უპირველსად, "ლივერპულისგანაა" მოსალოდნელი, რომლის მთავარ მწვრთნელად, ჟერარ ულიეს ნაცვლად, რაფაელ ბენიტესი დაინიშნა. გუნდში რამდენიმე ახალწვეულია, თუმცა, თუკი მაიკლ ოუენის წასვლა გადაწყდა, მერსისაიდელთა შანსი, ჩემპიონობას თუ არა, ლიგის საგზურს მაინც გამოჰკრან ხელი, მნიშვნელოვნად შემცირდება. ოუენის წასვლის შესახებ ცნობებს არაერთი სააგენტო ავრცელებს. ერთმა, ამის დასტურად, ბენიტესის კომენტარიც კი მოიშველია. გარდა ამისა, ახალ გუნდთან მუშაობა პირველ წელს, როგორც წესი, მწვრთნელების უმეტესობას უჭირს.

ამ მხრივ, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია ბობი რობსონი. "ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელის რანგში ეს მისი ბოლო სეზონია; ამდენად, შეეცდება, მაქსიმალურ შედეგს მიაღწიოს; თანაც, წინა სეზონისგან განსხვავებით, "კაჭკაჭები" მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ. ნიკი ბათი და პატრიკ კლუივერტი ის ფეხბურთელები არიან, რომელთაც "ნიუკასლისთვის" წარმატების მოტანა შეუძლიათ.

# ათენში ოლიმპიური წამწზომი აწიკწიკდა



ბიგა გურასაშვილი

*სრულიად საბერძნეთი, განსაკუთრებით ათენელები, ამ დღეს - 108 წელიწადს, ხოლო მსოფლიოს სპორტული სამყარო ოთხ წელიწადს ელოდა. ველოდით ჩვენც. საერთოდ, ბევრ რამეს ველით - ველით, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, პირველ ოლიმპიურ "ოქროს" დაისაკუთრებს; რომ ბრინჯაოს ხანიდან ოქროს ხანაში გადავალთ. ...გუშინ ათენის ოლიმპიური სტადიონის ფიალაში ოლიმპიური ცეცხლი აგიზგიზდა, რაც იმას ნიშნავს, რომ XXVIII ათენის ოლიმპიური თამაშები დაიწყო. ერთი სიტყვით, ოლიმპიური თამაშები ისტორიულ სამშობლოს - საბერძნეთს დაუბრუნდა.*

დაიწყო აჟიოტაჟი, გულშემატკივართა შეძახილები, მწვრთნელების ყვირილი ხმის ჩახლეჩამდე... ოლიმპიელთა აღტკინებული და გამეხებული სახეები;

დაიწყო XXVIII ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. ისტორიას ჩაბარდა ის ვნებათაღელვა, რომელიც ოლიმპიადის სამზადისს უძღოდა წინ. მისი ადგილი ბევრად მძაფრმა გრძნობებმა - სიხარულმა და სინანულმა დაიკავა. ბუნებრივია, ათენის ოლიმპიურ სარბიელზე იქნება ცრემლები სიხარულისაც და სინანულისაც. საუკუნეზე მეტია, ასეა და ასე იქნება. ყველაფერი კი ასე დაიწყო.

### ჯერ იყო საღვთო ზავი

ოლიმპიური თამაშების დაარსების თაობაზე ისტორიამ მრავალი ლეგენდა შემოინახა. ერთნი მას ღმერთთა ღმერთის ზევსის საპატივცემულოდ გამართულ ასპარეზობებს მიაწერენ, მეორენი – ზევსის შვილს ჰერაკლეს, მესამენი - ზევსის შვილიშვილს პელოპს...

და მაინც, ეს ყველაფერი ლეგენდებია და, რა მომნუსხველი და ლამაზიც უნდა ჩანდეს, ლეგენდა ლეგენდად რჩება, მაგრამ...

არის ერთი ლეგენდა, რომელიც ბევრად ჰგავს რეალობას. უფრო სწორად, იგი რეალურ ფაქტებზეა დამყარებული.

საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქ-სახელმწიფოს შორის გაუთავებელი ომებით დაუძლურებული ქვეყნის ბედით შეჭირვებულმა ძლევამოსილმა სპარტის მეფე ლიკურგემ ელიდის მეფე იფიტეს სამშვიდობო ზავით მიმართა - დაეარსებინათ ისეთი თამაშები, რათა ერთმანეთს გადამტერებული ძმების ურთიერთობა, სპორტული თამაშების წყალობით, აღმდგარიყო. გამოცხადდა ერთთვიანი საღვთო ზავი – "ეკეჰეირია"; ზავი, რომელიც მებრძოლ მხარეებს იარაღის დაყრას ავალდებულებდა. ხოლო ის, ვინც "ეკეჰეირიას" დაარღვევდა, ბერძნული სახელმწიფოებიდან მოკვეთა ემუქრებოდა. იყო კიდეც ამგვარი შემთხვევა - არკადიელები არ დაემორჩილნენ ლიკურგესა და იფიტესეულ "ეკეჰეირიას", რის გამოც, მათ ბერძნული სახელმწიფოები განუდგნენ.

სპარტისა და ელიდის მეფეთა ხელშეკრულების ტექსტი მეტალის ბადროზე იყო ამოტვიფრული და ორი საუკუნის განმავლობაში ჰერას ტაძარში ინახებოდა. სამშვიდობო ხელშეკრულებას მოჰყვა ის, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წელს ევროპის უკიდურეს სამხრეთში, პელოპონესის ნახევარკუნძულზე, მდინარეების - ალფეოსისა და კლადეოს შორის მოქცეულ ოლიმპიაში პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა. თამაშები ტარდებოდა ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ნაკიან წელიწადს, უფრო ზუსტად – ყოველ 1417 დღეში ერთხელ. აქედან დაიწყო საბერძნეთში ახლი წელთაღრიცხვა, რომლის მიხედვითაც, ორ ოლიმპიურ თამაშს შორის მოქცეული ოთხი წელი "ერთ ოლიმპიადად" ითვლებოდა.

### ქრისტიანობა და თამაშები

ანტიკური ოლიმპიური თამაშები, ასე თუ ისე, მაინც რელიგიურ დღესასწაულად მიაჩნდათ. მას შემდეგ, რაც რომის მიერ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ხოლო ოლიმპიური თამაშები წარმართობის დღესასწაულად იქნა შერაცხული, ქრისტეს შობიდან 395 წელს, მილანის ეპისკოპოსის ამბრუაზის დაჟინებული თხოვნით, ოლიმპიური თამაშები აიკრძალა. საბერძნეთი კი იმხანად რომის იმპერიაში შედიოდა. აქედან გამომდინარე, საკუთარი ინტერესების გატარება წარმოუდგენელი იყო.

### ისტორიიდან

395 წლიდან 1896 წლამდე ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეამ ბევრს დაუკარგა მოსვენება. იყო კიდეც მცდელობა, გაეცოცხლებინათ ანტიკური ოლიმპიური თამაშები, მაგრამ მცდელობა მცდელობადვე რჩებოდა.

მრავალი მემატიანე დღემდე ფრანგ ბარონს პიერ დე კუბერტენს მიაწერს ახალი დროის ოლიმპიური მოძრაობის აღდგენის ინიციატივას. ფრანგი სწავლულის ძალისხმევამ შედეგი, მართლაც, გამოიღო. კუბერტენმა ააღორძინა ოლიმპიური თამაშები და სათავე დაუდო თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებს. 1894 წლის 16 ივნისს სორბონის უნივერსიტეტში ისტორიკოსმა, ლიტერატორმა და ფრიად ერუდირებულმა ფრანგმა ბარონმა პიერ დე კუბერტენმა შემოიკრიბა თანამოაზრეები – ოლიმპიზმის მომხრეები. 12 ქვეყნის 72 დელეგატის წინაშე კუბერტენმა ოლიმპიური თამაშების დანერგვასა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) შექმნის თაობაზე დაწვრილებითი პროექტი წაიკითხა. ფრანგი ბარონის წამოწყებას ყველამ დაუჭირა მხარი და 23 ივნისს შეიქმნა სოკ-იც რომლის შემადგენლობაშიც 12 ქვეყნის 14 წარმომადგენელი შევიდა. იმავე თავყრილობაზე გადაწყდა, რომ, ელინური ოლიმპიადების მსგავსად, ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარებულიყო თამაშები, აღდგენილი პირველი ოლიმპიური თამაშებისთვის კი 1896 წელს ათენს ემასპინძლა.

### საქართველო და თამაშები

გარკვეული მიზეზების გამო, ქართველ ოლიმპიელებს სხვა საბჭოელებთან ერთად მსოფლიოს სპორტული მოძრაობის მწვერვალად შერაცხულ ასპარეზობებზე მონაწილეობის საშუალება ჰელსინკის (1952წ.) ოლიმპიადამდე არ ჰქონიათ. მიზეზი მარტივია: საქართველოს სუვერენიტეტი ჰქონდა დაკარგული. ამასთან, ქართველ სპორტსმენთა ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლას აფერხებდა ის ფაქტიც, რომ სსრკ მსოფლიო ოლიმპიური ოჯახის წევრი არ გახლდათ. ხოლო იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირი სოკ-ში გაეწევრიანებინათ, სსრკ ოლიმპიური კომიტეტი იყო დასაფუძნებელი. სსრკ ოლიმპიური კომიტეტი კი 1950 წელს დაარსდა. იმავე წელს საბჭოელები მსოფლიო ოლიმპიურ ოჯახშიც მიიღეს. ერთი სიტყვით, ჰელსინკიდან იღებს სათავეს ქართველ სპორტსმენთა ოლიმპიური ტრადიცია, რომელსაც 31 ოქროს, 23 ვერცხლისა და 47 ბრინჯაოს მედალთან მივყავართ.

### უახლესი ისტორიიდან

ბერძნებს პრეტენზიაც ჰქონდათ და ამბიციაც, თან – სამართლიანი, 1996 წელს ემასპინძლათ მე-100, ანუ საიუბილეო, თამაშებისთვის, მაგრამ მაშინ ასეთი პატივი ოლიმპიზმის მამებმა ატლანტას არგუნეს. აბობდნენ, - XXVI ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად ატლანტა რომ დასახელდა, "კოკა-კოლას" დამსახურებააო. მოგეხსენებათ, აღნიშნული მარკის გამაგრილებელი სასმელის სამშობლო ჯორჯიის შტატი, ატლანტაა. "კოკა-კოლა" კი, რა ხანია, ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი უმთავრესი სპონსორია.

### ათენი დღეს

XXVIII ოლიმპიური თამაშების დედაქალაქში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული. ოლიმპიური თამაშების სიმშვიდისთვის ზრუნავს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი; საბერძნეთის აკვატორია კონტროლდება ნატოს ავიამზიდებისა თუ წყალქვეშა ნავების მიერ; საჰაერო სივრცეს კი გამანადგურებლები და შვეულმფრენები სერავენ. გარდა ამისა, ერთ კვადრატულ მეტრზე თითო პოლიციელი მოდის. ამასთან, ათენის თავზე 70 მეტრის სიგრძის დირიჟაბლი დაფრინავს, რომელიც ზემგრძნობიარე კამერებითაა აღჭურვილი და 24 საათის განმავლობაში აფიქსირებს ყველაფერს, რაც ქალაქში ხდება, მათ შორის, ოლიმპიურ ობიექტებს, ქუჩებსა და სახლებს.



### ცეცხლი დაინთო, თამაში დაიწყო

მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალის სცენარი, ტრადიციულად, მკაცრადაა გასაიდუმლოებული, საიდუმლოს შენახვა მაინც შეუძლებელი აღმოჩნდა. ბრიტანულმა Sunday Mirror-მა, საკუთარი მზვერავების წყალობით, სცენარის შინაარსი შეიტყო და... ბერძენთა ნალოლიავები სცენარი საყოველთაოდ გაცხადდა.

თუ რა ხდებოდა უმთავრეს ოლიმპიურ სტადიონზე, ამის ზედმიწევნით აღწერა წარმოუდგენლია. ზოგადად, ბერძნები საკუთარ ისტორიას ყოველთვის ჰიპერბოლიზებულად გადმოსცემენ და, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ანტიკური მითოლოგიის 400 პერსონაჟს უხმეს; მით უმეტეს, რომ, 300 ტელეარხის მეშვეობით, ათენისკენ ოთხ მილიარდზე მეტი ტელემაყურებლის მზერა იქნებოდა მიპყრობილი! სცენარისტების ჩანაფიქრით, მითოლოგია თანამედროვეობასთან იყო შერწყმული, რაც ფრიად ეფექტურ სანახაობას წარმოადგენდა.

გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ოდნავი დაბნევა გამოიწვია მონაწილე ქვეყნების გამოსვლის თანმიმდევრობამ - დელეგაციები ბერძნული ალფავიტის მიხედვით გამოდიოდნენ.

ათენის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალი, მასობრიობის თვალსაზრისით, ძალიან შთამბეჭდავი სანახაობა გახლდათ - ათენში 202 ქვეყნის დელეგაციამ მოიყარა თავი.

ალღუმზე საქართველოს ოლიმპიური ნაკრებიც ვიხილეთ. ათენის ოლიმპიური თამაშების გახსნის გუშინდელ ცერემონიალზე ხუთჯვრიანი დროშის ერთგვარი დებიუტი შედგა. დროშს ტარების პატივი მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონს, ძიუდოისტ ზურაბ ზვიადაურს ხვდა.

საიდუმლოდ დარჩა მხოლოდ ის, თუ ვინ დაანთებდა ცეცხლს ოლიმპიურ ფიალაში. განიხილებოდა რამდენიმე კანდიდატი. მისი ვინაობის გაცხადება კი კულმინაცია გახლდათ. კულმინაცია, რომელიც XXVIII ოლიმპიური თამაშების გახსნას იუწყებოდა...

და ბოლოს, ათენის ოლიმპიადის გახსნის შესახებ სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონის, აფროსანი ნიკოს კაკლამანიკისის მიერ ანთებულმა გიგანტურმა ჩირაღდანმა გვაუწყა.







## ქართველ სპორტსმენთა ასპარეზობის განრიგი

| თარიღი | სპორტის სახეობა | სახელი, გვარი | დაწყების დრო |
|---|---|---|---|
| 14 აგვისტო | ძიუდო | ნ. ხერგიანი | 10:30 |
| 14 აგვისტო | კრივი | ნ. იზორია | 13:30 |
| 14 აგვისტო | სპ. ტანვარჯ. | ი. გიორგაძე | 12:30 |
| 15 აგვისტო | ძიუდო | დ. მარგოშვილი | 10:30 |
| 15 აგვისტო | სროლა | ნ. სალუქვაძე | 09:00 |
| 15 აგვისტო | მშვილდოსნობა | ქ. ესებუა, ხ. ნარიმანიძე | 08:30 |
| 15 აგვისტო | ცურვა | ზ. ბომასურიძე | 10:00 |
| 16 აგვისტო | ძიუდო | დ. ქევხიშვილი | 10:30 |
| 16 აგვისტო | ცურვა | ზ. ბომასურიძე | 20:30 |
| 16 აგვისტო | კრივი | კ. კუპატაძე | 13:30 |
| 17 აგვისტო | ძიუდო | გ. მამრიკიშვილი | 10:30 |
| 17 აგვისტო | სროლა | ნ. სალუქვაძე | 09:00 |
| 17 აგვისტო | მშვილდოსნობა | ქ. ესებუა, ხ. ნარიმანიძე | 08:30 |
| 17 აგვისტო | ნ. იზორია | ნ. იზორია | 13:30 |
| 18 აგვისტო | ძიუდო | ზ. ზვიადაური | 10:30 |
| 18 აგვისტო | სპ. ტანვარჯ. | ი. გიორგაძე | 20:30 |
| 18 აგვისტო | მშვილდოსნობა | ქ. ესებუა, ხ. ნარიმანიძე | 08:30 |
| 19 აგვისტო | ძიუდო | ი. ჯიქურაული | 10:30 |
| 20 აგვისტო | ძიუდო | ლ. გუჯეჯიანი | 10:30 |
| 20 აგვისტო | ბატუტზე ხტომა | რ. ბოფერია | 16:30 |
| 20 აგვისტო | კრივი | კ. კუპატაძე | 13:30 |
| 21 აგვისტო | ძალოსნობა | გ. ასანიძე | 10:30 |
| 21 აგვისტო | კრივი | ნ. იზორია | 19:30 |
| 21 აგვისტო | მძლეოსნობა | ი. დუბინა | 19:30 |
| 22 აგვისტო | სპ. ტანვარჯ. | ი. გიორგაძე | 20:00 |
| 23 აგვისტო | ძალოსნობა | ა. კასაბიევი | 10:30 |
| 23 აგვისტო | სპ. ტანვარჯ. | ი. გიორგაძე | 20:00 |
| 23 აგვისტო | კრივი | კ. კუპატაძე | 19:30 |
| 23 აგვისტო | მძლეოსნობა | ი. დუბინა | 18:30 |
| 24 აგვისტო | ბ/რ ჭიდაობა | ი. აოჭუა | 09:30 |
| 24 აგვისტო | ბ/რ ჭიდაობა | მ. კვირკველია | 09:30 |
| 24 აგვისტო | ბ/რ ჭიდაობა | მ. ვახტანგაძე | 09:30 |
| 24 აგვისტო | ბ/რ ჭიდაობა | მ. გიორგაძე | 09:30 |
| 24 აგვისტო | კრივი | ნ. იზორია | 19:30 |
| 24 აგვისტო | მძლეოსნობა | მ. ქევხიშვილი, დ. ილარიანი | 09:00 |
| 25 აგვისტო | ბ/რ ჭიდაობა | ი. აოჭუა | 09:30 |
| 25 აგვისტო | ბ/რ ჭიდაობა | მ. კვირკველია | 09:30 |
| 25 აგვისტო | ბ/რ ჭიდაობა | მ. ვახტანგაძე | 09:30 |
| 25 აგვისტო | ბ/რ ჭიდაობა | მ. გიორგაძე | 09:30 |
| 25 აგვისტო | ბ/რ ჭიდაობა | ა. ჩაჩუა | 09:30 |
| 25 აგვისტო | ბ/რ ჭიდაობა | რ. ნოზაძე | 09:30 |
| 25 აგვისტო | კრივი | ნ. იზორია | 19:30 |
| 25 აგვისტო | მძლეოსნობა | დ. ილარიანი | 19:30 |
| 26 აგვისტო | ბ/რ ჭიდაობა | ა. ჩაჩუა | 09:30 |
| 26 აგვისტო | ბ/რ ჭიდაობა | რ. ნოზაძე | 09:30 |
| 26 აგვისტო | მძლეოსნობა | დ. ილარიანი | 19:30 |
| 27 აგვისტო | თავ. ჭიდაობა | ო. თუშიშვილი | 09:30 |
| 27 აგვისტო | თავ. ჭიდაობა | რ. მინდორაშვილი | 13:30 |
| 27 აგვისტო | თავ. ჭიდაობა | ა. მოდებაძე | 09:30 |
| 27 აგვისტო | კრივი | ნ. იზორია | 19:30 |
| 27 აგვისტო | კრივი | კ. კუპატაძე | 09:30 |
| 27 აგვისტო | მძლეოსნობა | დ. ილარიანი | 19:30 |
| 28 აგვისტო | თავ. ჭიდაობა | დ. პოღოსიანი | 09:30 |
| 28 აგვისტო | თავ. ჭიდაობა | ო. თუშიშვილი | 09:30 |
| 28 აგვისტო | თავ. ჭიდაობა | გ. საღირაშვილი | 09:30 |
| 28 აგვისტო | თავ. ჭიდაობა | რ. მინდორაშვილი | 09:30 |
| 28 აგვისტო | თავ. ჭიდაობა | ე. კურტანიძე | 09:30 |
| 28 აგვისტო | თავ. ჭიდაობა | ა. მოდებაძე | 09:30 |
| 28 აგვისტო | კრივი | ნ. იზორია | 19:30 |
| 28 აგვისტო | კრივი | კ. კუპატაძე | 09:30 |
| 29 აგვისტო | თავ. ჭიდაობა | დ. პოღოსიანი | 09:30 |
| 29 აგვისტო | თავ. ჭიდაობა | გ. საღირაშვილი | 09:30 |
| 29 აგვისტო | თავ. ჭიდაობა | ე. კურტანიძე | 09:30 |



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ბუნგალოს უცვლელი სიმბოლურობა









წლების განმავლობაში განსხვავებული ასაკის, ხასიათის, საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის, მაგრამ ერთი საერთო მთავარის არმქონე - ჭეშმარიტი ბათუმელის სახელის მატარებელი ახალგაზრდების და მათი თბილისელი, მოსკოველი თუ პარიზელი სტუმრების ყოველდღიური შეხვედრების ადგილი - ბულვარის პატარა, მყუდრო, მზის ჩასვლის ულამაზესი ხედით, უაზარმაზარი ლეღვის ხის და კეთილგანწყობლი აურის მქონე ბუნგალო იყო, სადაც უგემრიელეს პიცას, ბერძნულ სალათას და კოქტეილებს ამზადებდნენ. მიმტანებიდან და ბუნგალოს ადმინისტრაციიდან დაწყებული, სტუმრებით დამთავრებული - ყველა ყველას იცნობდა და მეგობრობდა. ბუნგალოში განსაკუთრებული გემოვნებით შერჩეული, დანარჩენი საქართველოსთვის ჯერ უცნობი, ნოვატორული მუსიკა ჟღერდა და მხოლოდ და მხოლოდ ბათუმისთვის, მისი მაცხოვრებლებისთვის დამახასიათებელი მეგობრულობა, სითბო და სიმშვიდე სუფევდა. ერთი სვამდა და ათი - გადასახდელად გარბოდა. ყველა მაგიდა თითქოს ერთ დიდ საერთო მაგიდად იყო გაერთიანებული. არასდროს მთავრდებოდა ერთმანეთთან ურთიერთობის, მაგიდიდან მაგიდასთან გადასვლის, გულწრფელობის სურვილი.

ამდენი პლუსების პარალელურად ბუნგალოს, აჭარაში იმ წლებში არსებული რეალობით გამოწვეული, მანკიერი მხარეებიც ჰქონდა. კუთხეში აშენებული ფიცრული ქოხის უკაცრიელი ვიპ-დანიშნულება, რომელიც მხოლოდ ერთი პიროვნების და მისი ექსკლუზიური სტუმრების გარდა არავის მასპინძლობდა. ჩვეულებრივ მოკვდავებს იქ ასვლის არც უფლება და, სიმართლე უნდა ითქვას, სურვილიც არ გვქონია - გარშემო არსებული სილამაზისა და სიმყუდროვის ფონზე, ქოხის სრულ იზოლაციაში მომწყვდევა რატომ უნდა მოგინდეს? შეიარაღებული დაცვის თანამშრომელთა რაოდენობაც გამაღიზიანებელი იყო. მაგრამ ყველაზე შემაწუხებელი და დამძაბავი ბუნგალოს დაბალი, გამწვანების ღობეებს მიღმა შეკრებილი და "ელიტის" დროსტარების შორიდან მჭვრეტელი ასობით უბრალი აჭარელი ახალგაზრდა იყო, რომელთაც უფასო შესვლის მიუხედავად (თუ კონცერტი არ იყო), ერთი ჭიქა კოკა-კოლის ყიდვის საშუალებაც კი არ ჰქონდათ.

ბათუმში ყოველი ჩამოსვლის პირველივე საღამოს ბუნგალოში მივიჩქაროდი და ზუსტად ვიცოდი, რომ საღამოს განმავლობაში ყველა ჩემი ახლო მეგობარი თუ უბრალოდ კარგი ნაცნობი ბათუმელი ან თბილისელი ადრე თუ გვიან აუცილებლად ბუნგალოში შემოივლიდა. ეს იყო წლების განმავლობაში შეუთანხმებელი შეხვედრის საყვარელი, ტრადიციული ადგილი. ამ ჩამოსვლაზეც ჩვევას არ ვუღალატე და ბათუმის პირველივე საღამოს მეგობრების ნახვისა და სასიამოვნო დროის გატარების იმედით აღსავსემ "განახლებულ" ბუნგალოს მივაშურე.

ბულვარში ერთი შეხედვით თითქოს არაფერი შეცვლილა, თუმცა ძვირადღირებული მანქანების რაოდენობამაც და მათი დაყენების თავხედურმა სტილმაც იმატა. ბუნგალოს შესასვლელთან ისევ უამრავი უფულო, შესვლის იმედგადაწურული ხალხი, აურაცხელი, ოღონდ ამჯერად არა მარტო იარაღით, არამედ ხელკეტებითაც აღჭურვილი საკმაოდ აგრესიული დაცვის თანამშრომლები და მთავარი, ყველაზე შთამბეჭდავი და ყოვლად მოულოდნელი - რაოდენობრივად წარმოუდგენლად, ფაქტობრივად, სოკოებივით მომრავლებული ვიპ-ქოხები და ვიპ-კარვები, რომელიც არავის კონკრეტულ სახელს აღარ უკავშირდება, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათში ჩამოჯდომა ბევრად უფრო არარეალური და მიუწვდომელი გახდა. ნეტავ, ვისზეა 150 ლარად დაფასებული ვიპ-ლოჟები გათვალისწინებული? ნეტავ საკუთარი რბილი ადგილის სკამზე ჩამოდებას ამ თანხად ვინ აფასებს, ვინც გუშინ იპარავდა თუ ვინც დღეს უკვე მოასწრო?

ბათუმის სხვადასხვა ადგილებში მორჩენილი და ბუნგალოს ახალი მფლობელების მიერ ასე ოპერატიულად დათრეული სრულიად განსხვავებული, ერთმანეთთან შეუხამებელი სტილის ავეჯის კომპლექტები, რომლის ამგვარმა "დათრევითმა" აღრევამ ეკლექტური second hand-ის ნაფტალინის, ბათუმური ნოტიო კლიმატიდან გამომდინარე კი უფრო შმორის სუნის ასოციაცია შექმნა. საგრძნობლად გაძვირებული და ხარისხობრივად გაფუჭებული სასმელი არამომღიმარ, კონტაქტში არშემომსვლელ მიმტანებს მოჰქონდათ. საკმაოდ კარგად შერჩეული მუსიკა უკრავდა, მაგრამ მოცეკვავეთა რაოდენობა მაინც მცირე მომეჩვენა. ხალხი, რომლის უმეტესობა ახალგაზრდები იყვნენ, ჭიქებით ხელში მაგიდიდან მაგიდასთან ცეკვა-ცეკვით გადაადგილდებოდა და გზადაგზა ერთმანეთის ენით აღუწერელი ჩაცმულობის, ქოშების, ჯინსებისა და მზის სათვალეების ხარისხს აფიქსირებდა. ბუნგალოს საზოგადოების სტილების და გემოვნების ნიუანსების აღსაწერად ცალკე წერილია საჭირო.

ბუნგალოს მფლობელი კომერციის თვალსაზრისით საკმაოდ გამჭრიახი მომეჩვენა - შესვლა ფასიანი, ვიპი - ზეფასიანი, სასმელი - ალკოჰოლგანახევრებული, ფასი - გაორმაგებული, ლუდი - სამჯერ გაყინულ-გამლღვალი, გემოდაკარგული, მაგიდების რაოდენობის მოსამატებლად და ადგილის მოსაგებად - ბარი მომგებიანად გადატანილი, დაცვა - ხელკეტებით აღჭურვილი, ბუნგალოს ცნობილი მზის ჩასვლის და ზღვის ხედი - წინდახედულად ამაღლებული ღობეებით დაფარული. რომანტიზმში ფული არ კეთდება, მაგრამ, ჰამაკებში ჩაჯდომა, რომანტიკულობის მიუხედავად, ფასიანია. ჩემი შთაბეჭდილებების ბოლო და ყველაზე მძიმე აკორდი კი ვერც ერთი ბათუმელის, ნაცნობი სახის ნახვა იყო. თითქოს, ბათუმში კი არა, ქუთაისში ვარ და, სამწუხაროდ, არავის ვიცნობ. ეტყობა, ადგილობრივი ახალგაზრდობა მშობლიურ ბუნგალოში კომერციული გენიის ახლებურ ვარიანტს ვერ ეგუება და ფინანსურადაც ვერ წვდება. ამ ყველაფრის მიუხედავად, აგვისტოს სეზონის ორი-სამი კვირა იერსახე, განწყობა და სიმყუდროვედაკარგული ბუნგალო მაინც იმუშავებს, ნინო ქათამაძე ან კიდევ ვინმე სხვა მოწვეული მომღერალი ცოტა დაზარებითა და დამადლებით, მაგრამ მაინც იმღერებს, გაწყალებული ლუდი მაინც გაიყიდება. ასეთია აგვისტო, მაგრამ მოვა სექტემბერი, ოქტომბერი, ბათუმისთვის ჯერ კიდევ თბილი, მზიანი, მაგრამ უთბილისელებო თვეები და მერე? ნეტავ, რამდენ პროცენტიან ფასდაკლებას გამოაცხადებენ ბუნგალოს სხვადასხვა ადგილებიდან გადმოტანილ სავარძლებში ჯდომაზე? ან კი ვინ ჩაჯდება?

# ძალა ერთობაშია

ბათუმში ცირკი საუკუნის პირველ ათწლეულში გაიხსნა. თავდაპირველად, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე, საცირკო წარმოდგენები ცირკ-შაპიტოში იმართებოდა. 1925 წელს ცირკს ხის შენობა აუშენეს და 1932 წელს ამ სახით სახელმწიფო ცირკების ცენტრალურ სამმართველოში, "Гос.Цирк"-ში შევიდა. 1957 წელს ხის ნაგებობა დაანგრიეს და მის ადგილზე ახალი ააშენეს, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა, უამრავ ჩამოსულ გასტროლიორსა თუ ადგილობრივ მსახიობს მასპინძლობდა და ბათუმელი ბავშვების საყვარელი ადგილი იყო. 1997 წელს ცირკი დაიწვა.

აქ მთავრდება ბათუმის ცირკის მრავალწლიანი, შემოქმედებითი, სიხარულის მომტანი ბიოგრაფია და უსიცოცხლო წლები იწყება, რომლებიც დღემდე გრძელდებოდა და კიდევ გაგრძელდებოდა, ბათუმელები რომ არა.

ერთი ბათუმელი - მოქალაქეა; ათი ბათუმელი კი - ძალა, რომელიც თავისი ქვეყნის და ქალაქის სიყვარულით ნებისმიერ სირთულეს შეეჭიდება და დაძლევს კიდეც. ასე მოხდა ცირკის შემთხვევაში. წლების განმავლობაში გაპარტახებული, დამწვარი, მკვდარი, გამოშიგნული, ერთ დროს ლამაზი ცირკის შენობის და მისი კეთილშობილი ფუნქციის გადასარჩენად ბათუმელები შეიკრიბნენ. ჯერ ერთი ბათუმელი იყო - ცირკის ყოფილი დირექტორის ქალიშვილი. მას სრულიად განსაკუთრებული პროფესიის, ინტერესების, ფინანსური მდგომარეობის, შეხედულებების მქონე მეგობრები ამოუდგნენ მხარში და შეიქმნა ძალა, რომელმაც ცირკის გაცოცხლება, ბავშვებისთვის კი ღიმილის დაბრუნება დაისახა მიზნად. ზოგიერთ სკეპტიკოსს ეს ალტრუიზმი, იდიოტიზმი, რომანტიზმი, ავანტურიზმი ან, თუ გნებავთ, მერკანტილიზმი შეიძლება ეგონოს.



არადა, ეს ელემენტარული პატრიოტიზმი და საკუთარი თავის, ქალაქის, მეგობრის და, რაც მთავარია, შვილების ერთგულებაა.

ბათუმს წლების წინ ცირკი ჰქონდა და აღარ აქვს. ბათუმელ ბავშვებს საყვარელი გასართობი ადგილი ჰქონდათ და აღარ აქვთ, რამდენიმე წლის წინ ბათუმში ინიციატივის გამოჩენას არავითარი აზრი არ ჰქონდა, ახლა კი აქვს. თვეების წინ ბათუმელებს რწმენა არ ჰქონდათ, ახლა კი აქვთ. ჰოდა, ბათუმელი მეგობრების ერთმა ჯგუფმა ფული შეაგროვა, ისესხა, სახლიდან მოიტანა, მუშები შეითანხმა, ცირკის ტერიტორია ნანგრევებისგან გაწმინდა, კედლები შეღება, დეკორაციები შეუკვეთა, რეჟისორს მოელაპარაკა, ჯამბაზები, ილუზიონისტები მოძებნა. სპეკულაციისა და პოპულარიზაციის თავიდან ასაცილებლად ფინანსურ დახმარებაზე, "სპონსორზე" და საკუთარი სახელების დასახელებაზე უარი განაცხადა. თუნდაც დროებით ბათუმის ცირკის გაცოცხლება და ხელმოკლე ოჯახებიდან უდედმამო, ინვალიდი ბავშვებისთვის წარმოდგენა-აქციის მოწყობა მოინდომა. ხუთ ბათუმელს კიდევ ხუთი, მერე კიდევ ხუთი შეემატა. ძველი ცირკის გამნათებელმა ცირკის გაცოცხლების ამბავი შეიტყო და ათწლიანი ინტერვალის შემდეგ სამსახურში უსასყიდლოდ გამოცხადდა. გამნათებელს - საქსოფონისტი, საქსოფონისტს - დამლაგებელი, დამლაგებელს - მღებავი, მღებავს - დურგალი მოჰყვა და აქციაც დაიწყო, რომლის ბოლო და მთავარი აკორდი ამ კვირაში გულისამაჩუყებელი, ცრემლებისმომგვრელი, იმედიანი წარმოდგენა და ღიმილი - ბავშვების სახეებზე დაბრუნებული ღიმილი იყო.

ძალა ერთობაშიაო, ხომ ნათქვამია. ეს არის ბათუმის განსაკუთრებულობა! ეს არის რამდენიმე ბათუმელის ერთობლივი ძალა! ეს არის ამ პატარა, ულამაზესი ქალაქის მკვიდრთათვის დამახასიათებელი მშობლიური ქალაქის უსაზღვრო სიყვარული, შესაშური თანადგომა, მეგობრობა, ურთიერთგამტანობა და პატრიოტიზმი1

აი, ეს არის ბათუმი1

ეს კი მისი დამწვარი ცირკია, რომლის გადასარჩენად მთელი ქალაქი დღეს ფეხზე დგება და მერწმუნეთ, ცირკს შეინარჩუნებენ.











# ფოტოგრაფი აგილერას ემართლება



ფოტოგრაფი დევიდ კილერი პოპ-ვარსკვლავ კრისტინა აგილერას და მისი პირადი დაცვის წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილს აპირებს.

კილერი ამტკიცებს, რომ 2001 წლის 21 მაისს ჰოლივუდის ერთ-ერთ ღამის კლუბთან, როდესაც იგი ვარსკვლავის გადაღებას აპირებდა, მისმა დაცვამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

კილერის თქმით, აგილერა ძლივს იდგა ფეხზე და აშკარად შველას საჭიროებდა, რომ მანქანამდე მიეღწია.

როდესაც ფოტოგრაფმა მომღერლის გადაღება სცადა, მისმა პირადმა მცველმა ვერონ უორენმა განუცხადა, რომ უმჯობესია ადამიანების პატივისცემა ესწავლა და შემდეგ მუშტებით გაუსწორდა. ამის შემდეგ პოპ-ვარსკვლავი და მისი მცველი შემთხვევის ადგილს გაეცალნენ, ნაცემი ფოტოგრაფი კი იქვე დააგდეს.

კილერი ამტკიცებს, რომ უორენს მსგავსი საქციელის ჩადენის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა, თუკი რომელიმე ფოტოგრაფი აგილერას მისთვის არასასურველ დროს გადაუღებდა სურათს.

ფოტოგრაფის სარჩელში ასევე ფიგურირებს ფირმების AD Entertainment და Three Wishes Inc სახელწოდება, რომლებმაც უორენი აგილერას დასაცავად სამსახურში აიყვანეს.

"ქრისტინა თვლის, რომ ამ ინცედენტის არსებობა უსაფუძვლოა", - აცხადებენ მომღერლის წარმომადგენლები პრესისასთივის მიცემულ ინტერვიუში.

# როგორ ვერ იცნეს ჯასტინ ტიმბერლეიკი



მსახიობი კემერონ დიასი და მომღერალი ჯასტინ ტიმბერლეიკი მაიამის სამხრეთ სანაპიროზე ისვენებენ. მართალია, პოპულარულ ვარსკვლავებს ეგონათ, რომ შედარებით მშვიდად და მყუდროდ გაატარებდნენ ზაფხულის დღეებს, მაგრამ პაპარაცების ფოკუსს მათი არცერთი ნაბიჯი არ გამოჰპარვია. მედიაში ელვის სისწრაფით გავრცელდა ტიმბერლეიკისა და დაკარგული ბავშვის ისტორია. ეს ამბავი კი ასეთი გახლავთ. კამერონ დიასმა და ჯასტინ ტიმბერლეიკმა ნაპირზე ოთხი წლის ბიჭი იპოვეს, რომელსაც ფეხი შუშის ნამსხვრევზე გაეჭრა და ტიროდა. მერე გაირკვა, რომ ტკივილზე მეტად დედის დაკარგვა აწუხებდა. ჯასტინმა ჭრილობაც მოჰბანა და დედის მოძებნაშიც დაეხმარა. როგორც აღმოჩნდა, ბავშვს ღრმა ჭრილობა ჰქონდა და ექიმის ჩარევა აუცილებელი იყო. მაგრამ დედას ფული არ აღმოაჩნდა. კამერონმა და ჯასტინმა დედა-შვილი უახლოეს კლინიკაში მიიყვანეს, მკურნალობის ფულიც ტიმბერლეიკმა გადაიხადა. დედა ბედნიერი იყო – თვალცრემლიანი მადლობას უხდიდა პოპ-ვარსკვლავს. თუმცა, ისინი ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ ქალმა ვერც ჯასტინ ტიმბერლეიკი და ვერც კამერონ დიასი ვერ იცნო.

# გველო, გველო

ის-ის იყო, ჰარდ-როკის ვეტერანი ელის კუპერი კონექტიკუტში სცენაზე აპირებდა ასვლას, რომ აღმოჩნდა - მისი უმნიშვნელოვანესი პარტნიორი, ალბინოსი პითონი, ავადაა და სასწრაფოდ საავადმყოფოში უნდა გააქანონ. 240 სანტიმეტრის სიგრძის გველმა გამათბობელი მოწყობილობა ჩასანსლა და ისეთ დღეში მოექცა, რომ ოპერაცია დასჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ ელისმა მას ვახშმად დიდი ვირთხა მიართვა, მას ეს თბილი ნივთი მაინც მოსწონებია.

როცა კუპერის თანამშრომელმა გველის უჩვეულო ფორმა შენიშნა, მან უმალვე პითონის პირად ექიმს უხმო. ეს კაცი გველების დიდი სპეციალისტია, მაგრამ ისიც დაფრთხა - მსგავსი არაფერი ენახა.

პითონს ოპერაცია გაუკეთეს და გადაარჩინეს. ერთი ისაა, რომ ცოტა ხანი სცენაზე ასვლა არ უწერია, და მის ნაცვლად ელის კუპერმა ვილაცისგან ყვითელი ანაკონდა იქირავა. აბა, ელისი უგველოდ ვის გაუგონია...

# დიდი იმედები



სულ რაღაც რვა კვირის წინ პატრიკ დოელი 450 კილოგრამს იწონიდა, ამჟამად კი ეს მამაკაცი მხოლოდ 330 კილოგრამს იწონის. იმისთვის, რომ ადამიანის სახე დაუბრუნდეს, მან კიდევ 200 კილო უნდა დაიკლოს.

ნებრასკას შტატის ერთ-ერთ საავადმყოფოში ამ ყოფილი რესტორნის მენეჯერის გადასარჩენად რვა ექიმია დარაზმული. "აქ რომ არ მოგვეყვანა, უკვე მკვდარი იქნებოდა," - თქვა მთავარმა ექიმმა, ფრედ ჰარისმა.

გასული წლის თებერვლის შემდეგ დოელი სულ ლოგინში წევს. ახლა მას იმედი გაუჩნდა, რომ მალე კიდევ დაიკლებს და ოდესმე საკუთარი ფეხით შეძლებს გასეირნებას.

არ გეგონოთ, რომ პატრიკი ავად იყო. უბრალოდ, ძალიან ბევრს ჭამდა, ესაა და ეს.

# დაუვიწყარი ძმები ბლუზები



დიდ ბრიტანეთში საუკეთესო "საუნდთრეკად" (ფილმის თანმხლები მუსიკა) "ძმები ბლუზების" მუსიკა აღიარეს. "ბი-ბი-სის" გამოკითხვის შედეგებით, "ძმები ბლუზები" ამ მხრივ ისეთი საკულტო ფილმების წინ აღმოჩნდნენ, როგორებიცაა: "მაკულატურა", და 'Trainspotting. "ეს სურათი, ჯონ ბელუშითა და დენ ეიკროიდით, უბრალოდ უნიკალურია, - ამბობს "ბი-ბი-სის" წარმომადგენელი, გამოკითხვის ავტორი, რომელმაც ეს შედეგები 10 ათასი ბრიტანელის აზრის გაცნობის შემდეგ წარუდგინა ფართო საზოგადოებას, - ფილმისადმი ინტერესი დღესაც მაღალია, იმის მიუხედავად, რომ ჯგუფი Blues Brothers მხოლოდ ეკრანზე არსებობდა".

ფილმში სტუმრის სტატუსით მონაწილეობას იღებდნენ: რეი ჩარლზი, ჯეიმს ბრაუნი, არეტა ფრანკლინი და სხვები.

რაც შეეხება გამოკითხვის შედეგებს, ათეულის დანარჩენი ადგილები წილად ხვდათ ფილმებს: "ციებ-ცხელება შაბათ საღამოს", "ბინძური ცეკვები", Grosse Point Blank, The Royal Tenenbaums, "მებრძოლთა კლუბი"; ათეულში მოხვდნენ უკანასკნელი წლების გახმაურებული ფილმებიც: "მოკალი ბილი 2" და "თარგმანში დაკარგულები".

## TV პროგრამა

14 აგვისტო

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.05** ოქროს ვარდის გამოქვაბული **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი "შიშის ფასი" **15.20** მხ. ფილმი "აუტანელი სისასტიკე" **17.00** ველური სამყაროს ამბები **18.00, 21.00, 00.00** კურიერი **18.20** თანამედროვე ტექნოლოგიები **19.15** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **22.00** "ფსიქო"- "ვირთხებზე მონადირე". რეჟ. ლინ რემსეი (15). **00.20** მხ. ფილმი "წითელი სირენა" მთ. რ-ში: აზია არჯენტო, ჟან-მარკ ბარი (15).

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.25(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ჩვენი პლანეტა. ისლამი. **08.25** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" **12.15** სიმენონი ტროპიკებიდან. ტელესერიალი. **16.30** რეპორტაჟი: ლაშქრობა. **18.35** კითხვები ემპიონისვის. ტელეთამაში. **20.25** ფრანკ რივა. ტელესერიალი. **23.00** უდიდესი სპორტული დუელები. დოკ. ფილმი. **24.30** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი. **04.20** გადაცემა: ფრთები და ფესვები.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** საცირკო სანახაობა **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.20** მხ. ფილმი "გაალე პოლიციაა-2" (გ) **14.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **14.55** "ფორმულა-1" (რეპორტაჟი უნგრეთიდან) **17.05** დოკ. სერიალი "ცხოველთა ბედი" **18.00** ვესტნიკი **18.45** იმღერე რამე **19.15** ტელეზღაპარი **19.30** ისტორიანი **20.35** ფორტუნა **21.15** "პოლიტიკური მკვლელობები" **22.00** "საღამოს საუბარი" **22.50** "ეთნოგრაფიული ჩანახატი" **23.05** "ყველაზე, ყველაზე საკვირველი"-მანქანები **00.15** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.35** მუს. არჩევნები **01.10** მხ. ფილმი "ინდოჩინეთი" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "მუმია" (გ) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "პიკის საათი-2" (ჯეკი ჩანი) (გ) **17.00** მუსიკა **18.00** მულტფილმი **20.00** მხ. ფილმი "ქეითი და ლეო" (მეგ რაიანი) (გ) **22.00** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "დოგმა" (ბენ აფლეკი) (15)

### მზე

**09.00** მულტფილმი "პრინცესა შეჰერაზადა" **09.30** საბ. სერიალი "პატარა მოჩვენებები" **10.00** მულტფილმი "ბალტო" **11.35** საბ. სერიალი "ნოე კიდობანი" **12.30** მხ. ფილმი "ბავშვი სასეირნოდ მიდის" (გ) **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.30** მხ. ფილმი "ფრანგული ამბორი" (გ) (ტიმოტი ჰატტონი) **16.30** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **17.10** ვესტერნი მზეზე "მარტოხელა მტრედის დაბრუნება" **18.05** სერიალი "მობი დიკი" **19.00** სერიალი "ოთხთა ნიშანი" **20.30** მხ. ფილმი "როგორ მოვკლათ მეზობლის ძაღლი" (გ) (კენეტ ბრანა) **22.30** მხ. ფილმი "ბედისწერა" (15) (გვინეტ პელტროუ)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** ქიმერიონი **22.00** მხ. ფილმი "რისკით უნდა იცხოვრო" (15)

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00** ქრონიკა **09.15, 02.00** ტვ-მარკეტი **09.45** ათენის ოლიმპიური თამაშები - ფრენბურთი, ძიუდო, ხელბურთი (კაცები) უნგრეთი-ეგვიპტე **13.10** ოლიმპიური თამაშები - ხელბურთი (კაცები) უნგრეთი-ეგვიპტე **15.10** ოლიმპიური თამაშები **15.30** ოლიმპიური თამაშები - კალათბურთი (ქალები) აშშ - ახ.ზელანდია **17.10** ოლიმპიური თამაშები - კალათბურთი (ქალები) აშშ - ახ.ზელანდია (გაგრ.), ძიუდო (ფინალები), ტანვარჯიში. **19.20** ოლიმპიური თამაშები - ცურვა, ფარიკაობა (ფინალები), კრივი **22.00, 02.30** ქრონიკა **22.20** კლიპ-ლოტო **22.50** ოლიმპიური თამაშები - ხელბურთი (კაცები) საფრანგეთი-ბრაზილია. ფრენბურთი (კაცები) ჩინეთი-აშშ. **00.30** ოლიმპიური თამაშები -დღის მიმოხილვა **02.45** იმედის მელოდიები

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "ქანდარის შვილები" 1-ლი ს. **19.50** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.50** დოკ. ფილმი **22.20** მხ. ფილმი "შეგირდები" (15)

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости **06.10** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Белые акулы" **06.30** Футбольные страсти в фильме **"Удар! Еще удар!" 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря **09.10** Здоровье **10.10** "Смак" **10.30** Тайны века. "Убить Версаче" **11.10** "Возвращение домой. Эдита Пьеха. Польша" **12.10 Комедия "Мимино" 14.00** Дисней-клуб. "Приключения Мики и Дональда" **14.30** Эдвард Радзинский. "В России все секрет...и ничего не тайна". "Роковые минуты истории". Фильм 1-й **15.20** "Крылья". Лучшие пилоты мира **16.00** На XXVIII летних Олимпийских играх **17.50** Классика Уолта Диснея. Золотые годы Микки Мауса. Впервые в России **18.10 Дженнифер Лопес в комедии "Свадебный переполох" 20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время Летний вечер на Первом канале **22.30** На XXVIII летних Олимпийских играх **01.40 Комедия "Каникулы" 03.30 Комедия "Спортивные страницы" 05.00** "Империя чужих"

### НТВ

**06.25 Остросюжетный фильм "48 ЧАСОВ" 08.00, 12.00, 16.00, 19.00** Сегодня **08.20** "Улица Сезам". **08.45 Николай Крючков в комедии "НЕБЕСНЫЙ ТИХОХОД". 10.05** Кулинарный поединок. Лариса Черникова - Андре Мартин. **11.00** Квартирный вопрос. **12.20** Криминальная Россия. убийца по объявлению. **12.55** Вкусные истории. **13.00 Сериал "ЗА КУЛИСАМИ..." 15.00** Коллекция Национального географического общества. Совы. **16.20** "Женский взгляд". Алина Кабаева. **16.55 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ. ОДНА САТАНА". 5-я серия. 18.00** Своя игра. **19.35** Дмитрий Щербина в детективе **"ТРИ ДНЯ ВНЕ ЗАКОНА". 21.40** "Российская империя. Николай I". Фильм Леонида Парфенова. Часть 1. **22.50** Триллер Альфреда Хичкока **"ИССТУПЛЕНИЕ" 01.05** Фильм Такеши Китано **"ФЕЙЕРВЕРК" (Япония).**

## იაპონური ხატვა



## სკანვორდი

1. დროებითი მთავრობის მეთაური რუსეთში
2. ფრანგი კინომსახიობი ქალი
3. სოფელი მარნეულის რაიონში
4. მრავალწახნაგად თლილი ალმასი
5. მე-19 საუკუნის ჩეხი კომპოზიტორი და დირიჟორი
6. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვი
7. თვალის გუგის შიგნითა გარსი
8. საზოგადოებრივი სისუფთავის დაცვა
9. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი
10. პრესტიჟული, ძველი კოლეჯი ინგლისში
11. ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი
12. ნადირობის რომაული ქალღმერთი
13. გამოუწვავი აგური
14. ალუბლის ჯიში
15. ფეხბურთის რუსი მწვრთნელი
16. ნივთებისა და ფულის ბილეთებით გათამაშება
17. გდრ-ში წარმოებული მიკროლიტრაჟიანი ავტომობილი
18. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი
19. შეთხზული, მოკლე სასაცილო ამბავი
20. ყურის ანთება
21. უცხო სახელმწიფოს ფული
22. სასულიერო პირი ქართულ ეკლესიაში
23. საბჭოური საარტილერიო რეაქტიული დანადგარი
24. გზისპირა სამიკიტნო იტალიასა და შვეიცარიაში
25. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში
26. უფლებრივად გათანასწორება
27. რაიცენტრი დასავლეთ საქართველოში
28. რისამე ნაირსახეობა, სახეცვლილება
29. თეატრისა და კინოს რუსი მსახიობი
30. აშშ-ს სამხედრო უწყება
31. საკავშირო რადიოს დიქტორი
32. ფრანგი მწერალი, რომანიზირებული ბიოგრაფიების ავტორი
33. სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილება



# ჰამლეტივით

კურტ კობეინის გარდაცვალების შემდეგ ათი წელი გავიდა, და ახლა გადაწყდა, რომ მისი სიცოცხლის ბოლო საათების შესახებ ფილმის გადაღების დროა. რეჟისორი გას ვან სენტი "უკანასკნელი დღეების" გადაღებას გეგმავს.

ინტერნეტ-სამსახურს VH1.com-ს მან თავისი ჩანაფიქრი გაუზიარა: "არსებობს მრავალი ჰიპოთეზა იმის შესახებ, თუ რა მოხდა მაშინ. მაგრამ დანამდვილებით არავინ არაფერი იცის. უბრალოდ, ერთ დღეს მოისაკლისეს და აღმოჩნდა, რომ კურტი მკვდარია".



იმის გამო, რომ 1994 წლის 8 აპრილს სიეტლის სახლში აღმოჩენილ კურტ კობეინს თოფი სახეში ჰქონდა ნასროლი, უმალვე გადაწყდა, რომ ეს თვითმკვლელობა იყო. მანამდე მას ერთი კვირის განმავლობაში ნარკოლოგიურ კლინიკაში ეძებდნენ.

რეჟისორი ამბობს, რომ კობეინი "შექსპირის ჰამლეტივით იყო, თავისი საკუთარი დემონები და სულები ჰყავდა". ვან სენტის თქმით, მან ამ სულების შესახებ ბევრი არაფერი იცის, "მაგრამ წარმომიდგენია, როგორები შეიძლება ყოფილიყვნენ".

კობეინის ქვრივმა, კორტნი ლავმა ფილმის პროექტი მოიწონა და "უკანასკნელ დღეებში" მსახიობ აიშა არგენტოს ითამაშებს.

# ჯიმი ჰენდრიქსის უნიკალური კოლექცია



მომავალ წელს მსოფლიოს უდიდეს როკ-აუქციონზე ლეგენდარული გიტარისტის - ჯიმი ჰენდრიქსის კოლექცია გაიყიდება. ამ კოლექციაში 20 ათასამდე ნივთია, კოლექციის მთლიანი ღირებულება 15 მილიონი გირვანქა სტერლინგია. ჰენდრიქსის საგანძურის დაახლოებით ერთი მეხუთედი 9 სექტემბრიდან ლონდონის ცენტრში, ცნობილ "მარკის კლუბში" გამოიფინება.

"კოლექცია ჯიმის ცხოვრების აბსოლუტურად ყველა ასპექტს მოიცავს," - ამბობს სააუქციონო სახლის - "კუპერ ოუენის" ერთ-ერთი დამფუძნებელი ტედ ოუენი. კატალოგიზაცია ჯერ არ დასრულებულა. "კუპერ ოუენის" თანამშრომლები დაუღალავად მუშაობენ ექსპონატების აღწერაზე. ამ ექსპონატებს შორისაა 300-საათიანი ვიდეოჩანაწერი, რომლის 60 პროცენტი არასოდეს ყოფილა ნაჩვენები, 3800 ალბომი (მსოფლიოს ყველა კუთხეში გამოსული), პლაკატები, ბილეთები, ჰენდრიქსის პირადი მუსიკალური კოლექციის დიდი ნაწილი, ჰენდრიქსის ცნობილი სიმღერების ადრეული ვერსიების 47 ჩანაწერი (მაგალითად, პოპულარული Purple Haze), გიტარა ჰენდრიქსის სიმებით, რომელიც სავარაუდოდ 250 ათასი გირვანქა სტერლინგი ეღირება, კონტრაქტები, სარეკლამო მასალები, მუსიკოსის ლექსები, 6 ათასი ჟურნალი და ა.შ.

ჯიმი ჰენდრიქსის ეს უნიკალური საგანძური მუსიკოსის ამერიკელმა თაყვანისმცემელმა ბობ ტერიმ შეკრიბა. ამ კოლექციის შეგროვება მან 17 წლის ასაკში დაიწყო. მოგვიანებით ტერი ამ სამახსოვრო ნივთებს გამოეთხოვა და ერთ კოლექციონერს მიჰყიდა, ისევ ამერიკელს. საბოლოოდ კი, როგორც ხედავთ, კოლექციამ აუქციონზე ამოყო თავი.

"გამოფენა იმის მაჩვენებელი იქნება, თუ როგორ დაიპყრო ჰენდრიქსმა სცენა", - ამბობს ოუენი. ჯიმი ჰენდრიქსი 1970 წელს გარდაიცვალა ლონდონში, სადაც ის სიკვდილამდე ოთხი წლით ადრე ჩავიდა, ქარიშხალივით დაატყდა თავს ქალაქს და უდიდესი გავლენა მოახდინა ერიკ კლაპტონზე, პოლ მაკარტნიზე, ჯონ ლენონზე, სტივ ვინვუდზე...

ამასწინათ ჰენდრიქსის გამოფენა პარიზშიც გაიმართა. საფრანგეთის დედაქალაქს მაშინ ათასობით დამთვალიერებელი მიაწყდა. მაგრამ ლონდონური ექსპოზიციის ორგანიზატორების თქმით, ახალი გამოფენა, რომლის დიზაინიც "როლინგსტოუნზის" წევრის რონი ვუდის ვაჟს - ჯემის ეკუთვნის, ბევრად უფრო მასშტაბური იქნება.

"თუ "ბითლზმა" ვოკალური გადატრიალება მოახდინა მთელ მსოფლიოში, ჯიმი ჰენდრიქსი მუსიკალური გადატრიალების მოთავე გახდა. ეს გამოფენა ერთგვარი მოგზაურობა იქნება მუსიკალურ სამყაროში," - გვპირდებიან ორგანიზატორები.










თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.